

# წლიური ანგარიში

2025

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება**

სს „მიკრობანკი ემბისი“-ს აქციონერებსა და სამეთვალყურო საბჭოს:

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „მიკრობანკი ემბისი“ (შემდგომში „მიკრობანკი“) ფინანსური ანგარიშგებისა 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის და გამოვეცით არამოდიფიცირებული დასკვნა 2026 წლის 31 მარტს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2026 წლის 31 მარტის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვითარებთ მიკრობანკის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

**სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მიკრობანკის მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2026 წლის 31 მარტს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

**დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

ჩვენი აზრით, მიკრობანკის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის მიკრობანკის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)  
მპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)  
15 მაისი, 2026  
თბილისი, საქართველო



**სს მიკრობანკი „ემბისის“  
პასუხისმგებელი პირების განცხადება**

საქართველოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 07 ოქტომბრის N181/04 ბრძანების შესაბამისად, წარმოგიდგენთ სს მიკრობანკი „ემბისის“ (ს/კ 404967078) წლიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს აუდირებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებას, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ:

- I. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალსა და ხარჯებს, ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს და ფულად ნაკადებს;
- II. მმართველობის ანგარიშგება, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს ორგანიზაციის საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე ძირითადი რისკებისა და განუსაზღვრელობების აღწერას.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

**მურმან ამბროლაძე**

მურმან ამბროლაძე

გენერალური დირექტორი

**გია პეტრიაშვილი**

გია პეტრიაშვილი

# სარჩევანი

## 01 მიმოხილვა და სტრატეგიული ხედვა

- 1. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა 5
- 2. გენერალური დირექტორის მიმართვა 7
- 3. ძირითადი ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები 10

## 02 ჩვენ შესახებ

- 4. ემბისი დღეს 12
- 5. მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესი 14
- 6. განახლებული ბრენდი და მარკეტინგული პოზიციონირება 17
- 7. ჩვენი გუნდი 20
- 8. ადამიანური კაპიტალის მართვა 23
- 9. ჩვენი მომხმარებლები 33
- 10. მომხმარებელთა გამოცდილების მართვა 37
- 11. კორპორაციული მდგრადობა 40

## 03 ბაზრის მიმოხილვა

- 12. მაკროეკონომიკის მიმოხილვა 45
- 13. ბაზრის მიმოხილვა 53

## 04 ბიზნესის მიმოხილვა

- 14. ბიზნეს მოდელი და სტრატეგია 58
- 15. ძირითადი შედეგების მიმოხილვა 63
- 16. ინვესტორებთან ურთიერთობა და დაფინანსება 66
- 17. ციფრული ტრანსფორმაცია და ინოვაციები 69

## 05 ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

- 18. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 73
- 19. რისკების მართვის ჩარჩო 76
- 20. რისკების მართვის სტრუქტურა და ძირითადი პრინციპები 79

## 06 მმართველობა

- 21. კორპორაციული მართვა 83
- 22. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები 87
- 23. დირექტორთა საბჭოს წევრები 90
- 24. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა კრების საკითხები 93
- 25. აუდიტის კომიტეტი 98
- 26. რისკების კომიტეტი 101
- 27. პროდუქტების განვითარების კომიტეტი 105
- 28. ინფორმაციული ტექნოლოგიების კომიტეტი 108

## 07 ფინანსური ანგარიშგება

- 1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 112
- 2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 114
- 3. სრული შემოსავლის ანგარიშგება 115
- 4. კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 116
- 5. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 117
- 6. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 118

სამეთვალყურეო

საბჭოს

თავმჯდომარის

მიმართვა

# 1 სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა



## ძვირფასო აქციონერებო, პარტნიორებო და თანამშრომლებო,

ჩემთვის დიდი პატივი და, ამავდროულად, უდიდესი ვალდებულებაა, მოგმართოთ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციიდან. ამ საპასუხისმგებლო მისიაში მე შევცვალე ჩემი კოლეგა, ტარას ნიჟარაძე, რომლის ხელმძღვანელობითაც ორგანიზაციამ მიკრობანკის ისტორიული სტატუსი მოიპოვა. საბჭოს თავმჯდომარეობის გადმობარება 2025 წელს - მიკრობანკად ოპერირების პირველსავე წელს - განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან სწორედ ახლა ეყრება საფუძველი ემბისის განვითარების სრულიად ახალ ეტაპს.

მიუხედავად სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული საოპერაციო სირთულეებისა, 2025 წელი ემბისისთვის შედეგიანი აღმოჩნდა. ლიცენზიით მოპოვებულმა უფლებამ, გავზარდოთ დაკრედიტების ლიმიტი 1 მლნ ლარამდე, საშუალება მოგვცა, ერთი მხრივ, შევსულიყავით უფრო მსხვილი სესხების ბაზარზე, ხოლო, მეორე მხრივ, შეგვენარჩუნებინა ის მზარდი ბიზნეს-კლიენტები, რომელთა ფინანსური მოთხოვნაც 100,000 ლარს აჭარბებდა. ამ ფაქტორთა ერთობლიობამ განაპირობა სასესხო პორტფელის ბოლო წლებისთვის უპრეცედენტო, 28%-იანი ზრდა.

აქტივების ამგვარი ზრდის პარალელურად, კომპანიამ ეფექტიანად მართა დაფინანსების წყაროებიც. მოზიდული სახსრების მოცულობის მატების შედეგად, 2025 წლის ბოლოს ემბისის მთლიანმა ვალდებულებებმა 25%-იანი ზრდა აჩვენა და 165 მლნ ლარს გადააჭარბა. კომპანიამ წარმატებით შეძლო ახალი რესურსის მოზიდვა გაუმჯობესებულ და კონკურენტულ ფასში - როგორც უცხოურ, ისე ეროვნულ ვალუტაში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია 60 მლნ ლარის მოცულობის ობლიგაციების წარმატებული ემისია. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ამ ემისიის ფარგლებში ემბისის ინვესტორთა რიგებს საქართველოს საპენსიო ფონდი და სადაზღვევო კომპანია „იმედი L“ შემოუერთდნენ.

აღსანიშნავია, რომ სარეიტინგო კომპანია Scope Ratings-ის შეფასებით, ემბისი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით მუდმივად ადასტურებს საკუთარ ფინანსურ სტაბილურობას, რაც პირდაპირ აისახება როგორც ობლიგაციების წარმატებულ განთავსებაზე, ისე საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზებაზე.

საერთაშორისო ნდობის მაღალ სტანდარტს საფუძვლად უდევს შიდა მმართველობითი სისტემების მუდმივი სრულყოფა. 2025 წელს ორგანიზაციულ სტრუქტურაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება - ჩამოყალიბდა სამეთვალყურეო საბჭოს რისკების მართვის კომიტეტი. იგი აუდიტის კომიტეტთან მჭიდრო კოორდინაციით მუშაობს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლასა და რისკების იდენტიფიცირების პროცესის გაუმჯობესებას.

ახალი კომიტეტი ზედამხედველობს რისკების მართვის ჩარჩოს ეფექტიანობას და უზრუნველყოფს საქმიანობის წარმართვას რისკის დადგენილი დონის ფარგლებში. იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს ორგანიზაციის მდგრადობის შენარჩუნებაში, რაც მოიცავს რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და მენეჯმენტის მიერ გატარებული ღონისძიებების მუდმივ მონიტორინგს.

ინსტიტუციური განვითარების ეს პროცესი და თითოეული მიღწეული შედეგი ჩვენი გუნდის ერთიანი ძალისხმევით და მსახურდება. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩვენს თანამშრომლებს, პარტნიორებსა და აქციონერებს ურყევი მხარდაჭერისთვის. როგორც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მზად ვარ, ამ გუნდთან ერთად განვაგრძო ემბისის სტრატეგიული მიზნების რეალიზება, რათა საკუთარი წვლილი შევიტანოთ ქვეყანაში ჯანსაღი და კონკურენტული ფინანსური გარემოს განვითარებაში.

პატივისცემით,  
**მურმან ამბროლაძე**  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

გენერალური

დირექტორის

მიმართვა

## 2 ბენერალური დირექტორის მიმართვა



### ძვირფასო აქციონერებო, პარტნიორებო და თანამშრომლებო,

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ ემბისის 2025 წლის ანგარიში. გასული წელი კომპანიისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო. თუ 2024 წელი საქართველოში პირველი მიკრობანკის ლიცენზიის მოპოვებით დავასრულეთ, 2025 წელი ამ სტატუსის პრაქტიკული რეალიზაციისა და რეალური ტრანსფორმაციის პირველი წელი გახლდათ.

ბუნებრივია, ტრანსფორმაციის ეს გზა არაერთ კომპლექსურ გამოწვევასთან არის დაკავშირებული, თუმცა ჩვენ თითოეულ დაბრკოლებას ახალი გამოცდილების მიღებისა და ზრდის შესაძლებლობად აღვიქვამთ. მიუხედავად სირთულეებისა, 2025 წელი ბევრი მნიშვნელოვანი წარმატებით დავასრულეთ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი გუნდის პროფესიონალიზმსა და არჩეული სტრატეგიის სისწორეს.

დღეს ჩვენ მომავალს შემართებით ვუყურებთ, რადგან გვაქვს მკაფიო ხედვა და მყარი საფუძველი იმისა, რომ ემბისი კიდევ უფრო მაღალი სტანდარტების ფინანსურ ინსტიტუტად ჩამოვაყალიბოთ.

### ემბისი დღეს - ფინანსური ზრდა და მდგრადობა

განვითარების ახალ ეტაპზე ემბისი მზარდი ფინანსური მაჩვენებლებით გადავიდა. 2025 წელს კომპანიის მთლიანმა აქტივებმა 33%-ით მოიმატა და 193.5 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო სასესხო პორტფელი 28%-ით გაიზარდა და 153 მლნ ლარს მიაღწია. ამასთანავე, წმინდა მოგებისა და კაპიტალის უკუგების (ROE) მაჩვენებლებში დაფიქსირდა მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ჩვენი ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ფინანსური მდგრადობის მკაფიო დასტურია.

დღეს ემბისი 18 სერვისცენტრისა და თითქმის 300-წევრიანი გუნდის დახმარებით ოპერირებს, ხოლო დაარსების დღიდან კომპანიამ 220 ათასზე მეტ მომხმარებელს გაუნია მომსახურება. სტრატეგიული ფოკუსი კვლავ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე რჩება, რაც ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია.

### ნდობა ადგილობრივი თუ საერთაშორისო მასშტაბით

ემბისი კაპიტალის ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე სანდო მოთამაშედ ჩამოყალიბდა. ამას ადასტურებს 60 მილიონი ლარის მოცულობის ობლიგაციების ემისიაც. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ აღნიშნული ემისია პროგრამის - „ანარმოე საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა, რაც პროექტის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

გასული წლის განმავლობაში კომპანიამ ჯამში 114 მილიონი ლარის ფინანსური რესურსი მოიზიდა, საიდანაც საერთაშორისო ინვესტიციებმა 54 მილიონ ლარს მიაღწია. ჩვენი გამჭვირვალობისა და საიმედოობის უმაღლესი აღიარებაა ის ფაქტიც, რომ ემბისი გახდა პირველი და ერთადერთი მიკრობანკი, რომლის ინვესტორიც საქართველოს საპენსიო ფონდია. ეს ნაბიჯი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენი ორგანიზაცია ინვესტორებისთვის მაღალკვალიფიციურ და სტაბილურ პარტნიორს წარმოადგენს.

### მიკრობანკად ტრანსფორმაცია და გამოწვევები

ახალ სტატუსთან ერთად, 2025 წელს წარმატებით განვახორციელეთ რებრენდინგის პირველი ეტაპი - შეიქმნა ახალი ვიზუალური იდენტობა და სტრატეგიულ დონეზე განისაზღვრა, რომ ემბისი ადამიანებზე ცენტრირებული (Customer Centric) ორგანიზაციაა. ამ მიზნით, სტრუქტურას დაემატა მომხმარებლის გამოცდილების (CX) მართვის მიმართულება.

ბუნებრივია, ახალ სტატუსზე გადასვლას თან ახლდა არაერთი გამოწვევა, განსაკუთრებით ახალი საბანკო პროდუქტების დანერგვის პროცესში. თუმცა, მჯერა, რომ ჩვენი გუნდის პროფესიონალიზმი ამ სირთულეების წარმატებით დაძლევის გარანტიაა.

გასულ წელს დავინწყეთ მომხმარებლებისთვის ანგარიშების გახსნა და ჩავუშვიტ ანაბრები, რაც დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. საპილოტე ფაზამ საშუალება მოგვცა, დაგვეტესტა შიდა სისტემები და პროცესები, რაც მყარ საფუძველს ქმნის

## 2 გენერალური დირექტორის მიმართვა

2026 წელს ანაბრების პორტფელის აქტიური ზრდისა და ბაზარზე პოზიციონირებისთვის.

ამჟამად, ასევე, აქტიურად ვმუშაობთ სხვა საბანკო პროდუქტების პორტფელის გაფართოებაზე, სადაც ჩვენი უმთავრესი სტრატეგიული პრიორიტეტი ციფრული ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოებაა. ამის დასტურია უკვე დანერგილი თანამედროვე კიბერტექნოლოგიები და ონლაინ ბანკის განვითარების აქტიური ფაზა, რაც მომხმარებელს სრულყოფილ დისტანციურ მომსახურებას შესთავაზებს.

### 2025 წლის სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები

მოხარული ვარ, რომ ემბისი ზედიზედ მეხუთედ გახდა BARTA 2025-ის გამარჯვებული საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობისთვის. ასევე, მივიღეთ სპეციალური ჯილდო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერისთვის, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენს ღირებულებებს.

აქვე, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენთვის, როგორც პასუხისმგებელი ფინანსური ინსტიტუტისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ESG პრინციპების ინტეგრაციას როგორც შიდა პროცესებში, ისე კომპანიის გარეთ. მიგვაჩნია, რომ მდგრადი განვითარება არ არის მხოლოდ კორპორაციული პასუხისმგებლობა, არამედ გრძელვადიანი წარმატებისა და კონკურენტუნარიანობის არსებითი საფუძველია. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, ინტეგრირებული მიდგომით ვუპასუხოთ თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს და შევქმნათ ღირებულება ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

### მომავლის ხედვა

2026 წელი არანაკლებ ამბიციური იქნება. ჩვენი მთავარი გამოწვევა ახალი საბანკო პროდუქტების ეფექტური დანერგვა და ციფრული ეკოსისტემის სრულყოფაა. ვგეგმავთ ფილიალების ინტერიერისა და მომსახურების კონცეფციის სრულ განახლებას, რათა ჩვენმა მომხმარებელმა რეალურად იგრძნოს ის მაღალი სტანდარტი, რასაც მიკრობანკის სტატუსი გულისხმობს.

მადლობას ვუხდით თითოეულ თანამშრომელს ამ რთულ, მაგრამ საინტერესო გზაზე გამოჩენილი ლოიალობისა და ძალისხმევით. მადლობა ჩვენს აქციონერებს, პარტნიორებსა და მომხმარებლებს ნდობისთვის. მჯერა, რომ ერთიანი ძალისხმევით, ემბისი გააგრძელებს ზრდას, როგორც ინოვაციური და ადამიანებზე ორიენტირებული ფინანსური ინსტიტუტი.

პატივისცემით,  
**გია პეტრიაშვილი**  
გენერალური დირექტორი

ძირითადი

ფინანსური და  
საოპერაციო  
მაჩვენებლები

### 3 ძირითადი ფინანსური და საკონტროლო მაჩვენებლები

ლ **193.5** მლნ

მთლიანი აქტივები

+33%

ლ **28.6** მლნ

მთლიანი კაპიტალი

+23%

**19.2%**

ROE

+28%

ლ **114** მლნ

ფინანსური ინსტიტუტებიდან  
ნასესხები სახსრები

+16%

**18**

ფილიალების რაოდენობა

**56.433**

მომხმარებელთა რაოდენობა

ლ **153** მლნ

მთლიანი სესხები

+28%

ლ **5.5** მლნ

წმინდა მოგება

+57%

**2.84%**

ROA

+18%

**17**

ფინანსური ინსტიტუტების  
რაოდენობა

+31%

**290**

თანამშრომლების რაოდენობა

მომხმარებელთა  
კმაყოფილების ინდექსი

**85%**

მომხმარებელთა  
ლოიალობის ინდექსი

**86%**

ემბისი

დღეს

# 4 ემბისი დღეს



ბაზარზე 12-წლიანი წარმატებული ოპერირების შემდეგ, ემბისი საქართველოში პირველი მიკრობანკი გახდა. 2024 წლის 5 დეკემბერს მიღებული ლიცენზიით, კომპანიამ სათავე დაუდო ქვეყანაში ახალი ტიპის საფინანსო ინსტიტუტების განვითარებას. 2025 წელი კი ორგანიზაციისთვის ამ სტატუსის პრაქტიკული რეალიზაციის პირველი წელი გახლდათ.

ემბისი განვითარების ახალ ეტაპზე მყარი ფინანსური მაჩვენებლებით გადავიდა. 2025 წელს კომპანიის მთლიანი აქტივები 33%-ით გაიზარდა და 193.5 მლნ ლარი შეადგინა, რასაც წმინდა მოგების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მატებაც დაემატა. ორგანიზაციის მაღალ ეფექტიანობასა და ფინანსურ სიმყარეს კაპიტალის უკუგების (ROE) მაჩვენებლის მკვეთრი ზრდაც ადასტურებს.

საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილი 18 სერვისცენტრითა და თითქმის 300-წევრიანი გუნდით, ემბისი წარმატებით ახორციელებს სტრატეგიულ ფოკუსს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე. კომპანია ფლობს 153 მილიონი ლარის სასესხო პორტფელს და დაარსების დღიდან 220 ათასზე მეტ მომხმარებელს მოემსახურა. აღსანიშნავია საერთაშორისო ინვესტიციებისა და პარტნიორობის რაოდენობის ზრდაც - 2025 წლის ბოლოს ემბისის უცხოურმა ინვესტიციებმა 54 მილიონ ლარს მიაღწია.

2025 წლის მიწურულს, დაფინანსების დივერსიფიკაციის კუთხით, ემბისიმ ბაზარზე წარადგინა ანაბრები. 2026 წელს კომპანია ამ მიმართულების აქტიურ განვითარებას გეგმავს.

ემბისი კაპიტალის ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე სანდო მოთამაშეა, რასაც Scope Rating-ის მიერ შენარჩუნებული B+ რეიტინგი და 60 მილიონი ლარის მოცულობის ობლიგაციების ემისიები ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ ემისია პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა, რაც პროექტის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ამასთანავე, დღეს ემბისი ერთადერთი მიკრობანკია, რომლის ინვესტორიც საქართველოს საპენსიო ფონდი გახდა, რაც ორგანიზაციის გამჭვირვალობისა და სანდოობის აღიარებაა.

ახალ სტატუსთან ერთად, 2025 წელს ემბისიმ წარმატებით განახორციელა რებრენდინგის პირველი ეტაპი - შეიქმნა ახალი ბრენდ-კოდი და ვიზუალური იდენტობა. ამასთანავე, კომპანიის სტრუქტურაში დაემატა მომხმარებლის გამოცდილების (CX) მართვის მიმართულება და სტრატეგიულ დონეზე განისაზღვრა, რომ ემბისი ადამიანებზე ცენტრირებული ორგანიზაციაა. ტრანსფორმაციის მომდევნო ეტაპი, 2026 წელს, განახლებული ბრენდ-კოდისა და ვიზუალური იდენტობის დანერგვას, ფილიალების ინტეგრირებისა და მომსახურების კონცეფციის სრულ განახლებას ითვალისწინებს.

ციფრული ტრანსფორმაცია ემბისის მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება. 2025 წელს გადაიდა ქმედითი ნაბიჯები ტექნოლოგიური მდგრადობისკენ - მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებისთვის დაინერგა თანამედროვე კიბერტექნოლოგიები. აქტიურ ფაზაშია ონლაინ ბანკის განვითარება, რომელიც 2026 წლის ბოლოსთვის მომხმარებელს დისტანციურ მომსახურებას შესთავაზებს. 2025 წლის იანვარში დაწყებული მიმდინარე ანგარიშების გახსნის პროცესის პარალელურად, კომპანია აქტიურად მუშაობს სხვა საბანკო პროდუქტების დანერგვაზე.

ემბისი გახდა საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის კონკურსის (BARTA 2025) გამარჯვებული. ასევე, კომპანიამ მიიღო სპეციალური ჯილდო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის მიმართულებით და იყო მეწარმე ქალების პროდუქციის გამოფენის მხარდამჭერი. ემბისი აგრძელებს ESG სტანდარტების ინტეგრირებას მართვის ყველა დონეზე.

## მომავლის ხედვა

ემბისის მთავარი გამოწვევა ახალი საბანკო პროდუქტების ეფექტური დანერგვა და ციფრული ეკოსისტემის ეტაპობრივი სრულყოფა გახლავთ.

მიკრობიანკად

ტრანსფორმაციის

პროცესი

# 5 მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესი



2025 წელი ემბისისთვის ფუნდამენტური გარდაქმნის პერიოდი გახლდათ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტრანსფორმაციას ლოკალური ხასიათი არ ჰქონია - ცვლილება კომპლექსურად შეეხო ორგანიზაციის ყველა რგოლს: სტრუქტურულ მოწყობას, პროდუქტებს, IT ტექნოლოგიებს, ბრენდს და, რაც მთავარია, ადამიანურ კაპიტალს.

## რაღომ მიკრობანკი?

ემბისის მიკრობანკად ტრანსფორმაციის გადაწყვეტილება პირდაპირ უკავშირდება კომპანიის სურვილს, მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მომხმარებლების საჭიროებები და ჰქონდეს შესაძლებლობა შესთავაზოს მათ ყველა საჭირო ფინანსური პროდუქტი ერთ სივრცეში. ლიცენზიის მოპოვებამ კომპანიას საშუალება მისცა გაეზარდა დაკრედიტების ლიმიტები და დაენერგა ისეთი სერვისები, როგორცაა მიმდინარე ანგარიშები, ბარათები, დეპოზიტები და სხვა.

## სიახლეები პროდუქტებში

2025 წელს ემბისიმ დაკრედიტების ლიმიტი ეტაპობრივად 100,000-დან 300,000 ლარამდე გაზარდა და მომხმარებლებისთვის ანგარიშების გახსნის პროცესი დაიწყო. ამასთანავე, მიკრობანკის სტატუსმა კომპანიას მისცა წვდომა ანაბრების მოზიდვის ინსტრუმენტზე, რაც საანგარიშო წლის ბოლოს ჩაეშვა და 3 მილიონ ლარამდე პორტფელი დააგენერირა.

## სტრუქტურული და მმართველობითი ცვლილებები

მაღალი საბანკო სტანდარტების დასაწერად მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა კორპორაციული მართვის დონეზე. სამეთვალყურეო საბჭოს ფარგლებში შეიქმნა რისკების კომიტეტი, ასევე ჩამოყალიბდა კოლეგიალური ორგანოები პროდუქტების განვითარებისა და IT კომიტეტების სახით. აღნიშნული სტრუქტურები უზრუნველყოფენ პრიორიტეტული მიმართულებების ოპერატიულ მართვასა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების დროულ მიღებას.

ცვლილებები შეეხო სერვისცენტრებსაც. მომსახურების ხარისხისა და სამომხმარებლო გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით, სერვისცენტრებში შეიქმნა ოპერატორის პოზიცია, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მომსახურების დრო. ამავდროულად, გაძლიერდა რეგიონული მართვის მიმართულება, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას, პრიორიტეტული საკითხები ადგილზევე, ბევრად უფრო ოპერატიულად გადაჭრას და მყისიერად უპასუხოს რეგიონულ გამოწვევებს.

გარდა ამისა, მიკრობანკის სტატუსით ოპერირების ფარგლებში, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, მომხმარებლის კმაყოფილება და გამოცდილება თვისობრივად ახალ დონეზე აიყვანოს. სწორედ ამიტომ, კომპანიის სტრატეგიულ პრიორიტეტად განისაზღვრა და ჩამოყალიბდა მომხმარებლის გამოცდილების (CX) მართვის მიმართულება.

## ციფრული გამოწვევები და ტექნოლოგიური მდგრადობა

გაციფრულება ემბისის ტრანსფორმაციის სტრატეგიული პრიორიტეტია. 2025 წელს კომპანიამ დაიწყო აქტიური მუშაობა ისეთი ტექნოლოგიური ეკოსისტემის ფორმირებაზე, რომელიც მომხმარებელს სრულად დისტანციურ

# 5 მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესი

გამოცდილებას შესთავაზებს. ამ მიზნით, მოხდა IT გუნდის მნიშვნელოვანი გაძლიერება და დაიწყო AI სისტემების ინტეგრირება სამუშაო პროცესებში.

ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის პრიორიტეტული მიმართულებებია: ონლაინ ბანკისა და იმეილ-ბანკის პროექტების განვითარების დაწყება; აგროპროდუქტებში ციფრული სქორინგის დანერგვა და ანალოგიური მოდელის სხვა პროდუქტებზე გავრცელების პოლიტიკის შემუშავება; ქორ-საბანკო სისტემების ბიზნესის ახალ საჭიროებებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა; ინფორმაციული აქტივების მაქსიმალური დაცულობის უზრუნველყოფა და კიბერრისკების პრევენცია.

## ბრენდინგი, როგორც შიდა და გარე ტრანსფორმაციის ინსტრუმენტი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან მიკრობანკის სტატუსზე გადასვლა თავისთავად გულისხმობს ახალ კონკურენტულ გარემოში თავის დამკვიდრების აუცილებლობას, რაც თვისობრივად ახალი პროდუქტებისა და სერვისების დანერგვასა და ახალი სეგმენტების ათვისებას მოითხოვს. პარალელურად, კომპანიაში მიმდინარეობს მასშტაბური შიდა ტრანსფორმაცია, რაც მოიცავს სტრუქტურულ ცვლილებებს, ბიზნესპროცესების ოპტიმიზაციასა და კორპორაციული კულტურის განახლებას. ვინაიდან ახალმა სტატუსმა კომპანიის წინაშე სრულიად განსხვავებული მოთხოვნები წარმოშვა, რებრენდინგის მიზანიც არსებული იდენტობისა და სტრატეგიული ამოცანების ერთმანეთთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა გახლდათ.

ამ პროცესის ფარგლებში შეიქმნა განახლებული ბრენდ-კოდი და ვიზუალური იდენტობა, რომელიც ხაზს უსვამს ემბისის, როგორც ადამიანებზე ცენტრირებული ორგანიზაციის იმიჯს. ამასთანავე, რებრენდინგის სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს ნაწილად განისაზღვრა HR ბრენდინგი, რადგან ნებისმიერი ფუნდამენტური ცვლილება სწორედ შიგნიდან, ორგანიზაციული კულტურიდან იწყება. ჩვენი მიზანია, ტრანსფორმაციის პროცესში თანამშრომლები იყვნენ ცვლილებების მთავარი მონაწილეები, ბრენდის ელჩები და ამასთანავე, ემბისი დარჩეს საუკეთესო ადგილად მათი პროფესიული ზრდისთვის.

განახლებული

ბრენდი და

მარკეტინგული

კოზიციონირება

# 6 განახლებული ბრენდი და მარკეტინგული პოზიციონირება



## ბრენდ-კოდის ფორმირება და ახალი ვიზუალური იდენტობა

2025 წელი ემბისისთვის ბრენდის ფუნდამენტური გადააზრების წელი გახლდათ - დასრულდა მუშაობა ბრენდ-კოდსა და განახლებულ ვიზუალურ იდენტობაზე, რაც კომპანიის მიკრობანკად ტრანსფორმაციის სტრატეგიულ ბაზისს წარმოადგენს. 2026 წლიდან პროცესი გადადის აღსრულების ეტაპზე, რაც გულისხმობს ბრენდის განახლებული ფილოსოფიის ინტეგრაციას მომხმარებელთან ურთიერთობის ყველა წერტილში.

## რატომ დადგა რებრენდინგის საჭიროება

მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან მიკრობანკის სტატუსზე გადასვლა თავისთავად გულისხმობს ახალ კონკურენტულ გარემოში დამკვიდრებას, რაც თვისობრივად ახალი პროდუქტებისა და სერვისების დანერგვას, ასევე ახალი სეგმენტების ათვისებას მოითხოვს. პარალელურად, კომპანიაში მიმდინარეობს მასშტაბური შიდა ტრანსფორმაცია, რაც მოიცავს სტრუქტურულ ცვლილებებს, ბიზნესპროცესების ოპტიმიზაციასა და კორპორაციული კულტურის განახლებას. ვინაიდან ახალმა სტატუსმა კომპანიის წინაშე სრულიად განსხვავებული მოთხოვნები წარმოშვა, რებრენდინგის მიზანიც არსებული იდენტობისა და სტრატეგიული ამოცანების ერთმანეთთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა გახლდათ.

## პოზიციონირება

ბრენდის სტრატეგიული პოზიციონირება ორ ფუნდამენტურ დაპირებას ეფუძნება: „მიკრო ნიშნავს მეტ ყურადღებას“ და სტატუსი - „მოსახერხებელი ბანკი“. ეს ფორმულირება პირდაპირ ასახავს კომპანიის ამბიციას, იყოს ყველაზე ყურადღებიანი და ხელმისაწვდომი ფინანსური ინსტიტუტი ბაზარზე.

ემბისის ფილოსოფიის თანახმად, თითოეული ერთგული მომხმარებელი განიხილება, როგორც VIP კლიენტი, რაც ყველა დონეზე ინდივიდუალურ მიდგომასა და პერსონალიზებულ მომსახურებას გულისხმობს. მიკრობანკის სტატუსი კომპანიას საშუალებას აძლევს, მიაღწიოს საოპერაციო სრულყოფილებას, შეინარჩუნოს მოქნილობა და, ამავდროულად, პოზიციონირდეს, როგორც მოსახერხებელი ბანკი, რომელიც ორიენტირებულია საკუთარი კლიენტების სტრატეგიული მიზნების შესრულებაზე.

ამ პროცესში კომპანია ნერგავს სეგმენტირების ინოვაციურ მეთოდოლოგიას (Jobs to be Done), რაც გულისხმობს მომხმარებლის საჭიროებების შეფასებას არა დემოგრაფიული ნიშნით, არამედ მათი რეალური ცხოვრებისეული ინტერესებისა და ამოცანების მიხედვით.

ჩვენი პრიორიტეტია გრძელვადიანი და მყარი პარტნიორობა, სადაც ყოველი სტრატეგიული ნაბიჯი თუ ტექნოლოგიური სიახლე მომხმარებლის ინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებასა და ფინანსური საქმიანობის გამართლებას ემსახურება.

# 6 განახლებული ბრენდი და მარკეტინგული კოზიციონირება

## საოპერაციო სრულყოფილება და ფიზიკური გარემო

ემბისის ბრენდის ტრანსფორმაცია მხოლოდ ციფრულ და ვიზუალურ ცვლილებებს არ მოიცავს. კომპანიის სტრატეგიული მიზანი საოპერაციო სრულყოფილების მიღწევაა, რაც გულისხმობს შიდა პროცესების მაქსიმალურ ოპტიმიზაციას მომხმარებლის კომფორტისა და მომსახურების სისწრაფის გაუმჯობესების მიზნით.

ამავდროულად, 2026 წლიდან, იგეგმება მუშაობის დაწყება სერვის ცენტრების ინტერიერის განახლებისა და რედიზაინის პროექტზე. აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავს მომსახურების სივრცეების ბრენდის ახალ ფილოსოფიასთან შესაბამისობაში მოყვანას. ფილიალების ახალ კონცეფციაზე მუშაობა 2026 წლის პირველ კვარტალში დასრულდება, რის შემდეგაც ეტაპობრივად დაიწყება არსებული სერვის-ცენტრების გადაწყობა ახალ სტანდარტზე. ეს ცვლილება კიდევ უფრო გაუსვამს ხაზს ემბისის, როგორც თანამედროვე და მომხმარებლის დადებით გამოცდილებაზე ორიენტირებული ფინანსური ინსტიტუტის იმიჯს.

## 2026 - აღსრულების წელი

თუ 2025 წელი დაეთმო დაგეგმვას, კვლევასა და ახალი სტანდარტების ჩამოყალიბებას, 2026 წელი იქნება პერიოდი, როდესაც ჩვენი მომხმარებლები ეტაპობრივად პრაქტიკაში იგრძნობენ რებრენდინგის შედეგებს. ფიზიკური გარემოს განახლება, ციფრული სერვისების დახვეწა და საოპერაციო სრულყოფილებისკენ სწრაფვა საბოლოოდ შეკრავს იმ ეკოსისტემას, რომელიც ემბისის ბაზარზე გამორჩეულ, მოსახერხებელ და სანდო პარტნიორად კოზიციონირებას უზრუნველყოფს.

**“ჩვენ არ ვაშინდებით მხოლოდ ფინანსურ მომსახურებას - ჩვენ ვაშინდებით, შენი კარგად მარკეტინგული/დამოკიდებულება შეიცვალა შენს თავზე, შენს საქმიანობაზე და მომავალზე. ყველაფერი იწყება იმით, რომ დაიწყო: მომავალი შეიქმნება იყოს სხვანაირი. ჩვენ შენს გვარდით ვიქნებით, როცა დაიწყებ მის ახლებურად შექმნას.”**



ჩვენო

გუნდი



2025 წელი ემბისისთვის მიკრობანკად ტრანსფორმაციის საკვანძო ეტაპი იყო, რომელმაც არსებითად შეცვალა კომპანიის მასშტაბები, შიდა პროცესები და შესაძლებლობები. ამ ტრანსფორმაციაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ემბისის გუნდმა - ადამიანებმა, რომლებიც პროფესიონალიზმითა და საქმისადმი ერთგულებით უზრუნველყოფენ თითოეული ცვლილების წარმატებით განხორციელებას.

ამავე წელს კომპანიამ წარმატებით განახორციელა რებრენდინგი, რომელიც მხოლოდ ვიზუალური იდენტობის განახლებით არ შემოფარგლულა და მნიშვნელოვნად შეეხო ემბისის შიდა კულტურასა და თანამშრომელთა გამოცდილებას. მიგვაჩნია, რომ რებრენდინგის პროცესი, პირველ რიგში, სწორედ გუნდიდან იწყება - თანამშრომლების ჩართულობით, საერთო ღირებულებების გააზრებითა და ბრენდის ახალი ფილოსოფიის გაზიარებით.

2025 წლის მდგომარეობით, მიკრობანკში დასაქმებულთა რაოდენობამ 290 თანამშრომელი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 15%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. ამასთან, გუნდის 70 % -ს შეადგენენ ქალები. აღსანიშნავია, რომ მენეჯერულ პოზიციებზე კომპანია ინარჩუნებს გენდერულად დაბალანსებულ გადანაწილებას. კერძოდ: შუა რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე ქალების წილი 53 %-ს უტოლდება, ხოლო უმაღლეს მენეჯერულში 50 %-ს.

ტრანსფორმაციის პროცესის პარალელურად, ემბისი აქტიურად აგრძელებდა ინვესტირებას ადამიანურ კაპიტალში. პრიორიტეტულია პროფესიული განვითარება, ახალი უნარების ათვისება და ლიდერული პოტენციალის გაძლიერება, რათა კომპანიამ სრულად უპასუხოს საბანკო სექტორისა და თანამედროვე ბიზნესგარემოს გამოწვევებს.


ჩვენი ვქმნით სამუშაო გარემოს, სადაც თითოეულ თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა, მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი, ჩაერთოს საერთო მიზნების მიღწევაში და წვლილი შეიტანოს მიკრობანკის მდგრად განვითარებაში.

ჩვენ გვჯერა, რომ სწორედ ძლიერი, მოტივირებული და ცვლილებებისადმი ადაპტირებადი გუნდი განსაზღვრავს კომპანიის წარმატებას და იმ შესაძლებლობას, რომლითაც იქმნება მეტი ღირებულება მომხმარებლებისა და საზოგადოებისთვის.


2026 წელს კომპანია გეგმავს რებრენდინგის პროცესის შემდეგ ეტაპზე გადაყვანას და მის სრულმასშტაბიან ინტეგრაციას შიდა კულტურაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ერთიანი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებასა და იმ ღირებულებების პრაქტიკაში დანერგვას, რომლებიც განსაზღვრავს ემბისის ყოველდღიურ საქმიანობასა და მომხმარებელზე ორიენტირებულობას. კომპანიის მიზანია, რებრენდინგი იქცეს ორგანიზაციული ტრანსფორმაციის მამოძრავებელ ძალად, რაც პირდაპირ აისახება შიდა ეფექტიანობის ზრდასა და მომხმარებლისთვის მიწოდებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

# 7 ჩვენი გუნდი

## გენდერული გადანაწილება სხვადასხვა კოზიციებზე



## თანამშრომლები ლოკაციის მიხედვით



ადამიანური

კაპიტალის

მართვა

# 8 ადამიანური კაპიტალის მართვა



მიკრობანკში ადამიანური კაპიტალის მართვა წარმოადგენს სტრატეგიულ ფუნქციას, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის მიზნებთან თავსებადი ტალანტების მოზიდვას, განვითარებასა და შენარჩუნებას. აღნიშნული სისტემა ეფუძნება სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის პრინციპებს. მისი უმთავრესი მიზანია თანამშრომლებისთვის სტაბილური, განვითარებაზე ორიენტირებული და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა.

ამ ფუნქციის ეფექტიან განხორციელებას უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის მართვისა და კორპორაციული მდგრადობის განყოფილება, რომელიც საოპერაციო დირექტორს ექვემდებარება. თავის მხრივ, საოპერაციო დირექტორი ანგარიშვალდებულია დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. მართვის აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის საკითხების მჭიდრო კავშირს უმაღლეს მენეჯმენტთან და მათ სტრატეგიულ ინტეგრაციას, რაც გადამწყვეტია ორგანიზაციული განვითარების, თანამშრომელთა კეთილდღეობისა და ბანკის სტრატეგიული მიზნების ეფექტიანად მისაღწევად.

ადამიანური კაპიტალის მართვის ჩარჩო მოიცავს სრულ პროცესს, როგორცაა: ტალანტების შერჩევა, დასაქმებისა და ადაპტაციის პროცესები, ანაზღაურებისა და ბენეფიტების სისტემები, სამუშაო დროისა და შვებულებების რეგულირება, თანამშრომელთა პროფესიული ზრდა, კარიერული განვითარების მხარდაჭერა და ა.შ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შრომითი ურთიერთობების ეფექტიან მართვას, ეთიკური ქცევის სტანდარტების დაცვასა და მიკრობანკში გამჭვირვალე და ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფას. ამასთანავე, ჩარჩო მოიცავს თანამშრომელთა ჩართულობისა და უკუკავშირის მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის განვითარებას და თანამშრომელთა კმაყოფილების ზრდას.

## ადამიანური კაპიტალის მართვის ციფრული ტრანსფორმაცია

ადამიანური კაპიტალის მართვის პროცესების ეფექტიანობისა და საოპერაციო მოქნილობის გასაზრდელად, კომპანიამ გასულ წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გაციფრულების მიმართულებით. აღნიშნული ინიციატივები მიზნად ისახავს როგორც ადმინისტრაციული ტვირთის შემცირებას, ისე პროცესების გამჭვირვალობისა და სისწრაფის გაუმჯობესებას.

ადამიანური კაპიტალის მართვის ციფრული ტრანსფორმაციის ფარგლებში, 2024 წელს დაიწყო ადმინისტრირების ძირითადი პროცესების გაციფრულება. აღნიშნული ცვლილება მოიცავდა დოკუმენტბრუნვის, შვებულებების, ბიულეტენების, მივლინებებისა და სამუშაო დროის აღრიცხვის ელექტრონულ სისტემებში გადატანას. ინიციატივის მიზანია პროცესების გამარტივება, ადმინისტრაციული დატვირთვის შემცირება და მონაცემთა მართვის სიზუსტის გაუმჯობესება. 2025 წელს აღნიშნული პროცესი წარმატებით დასრულდა და სისტემაში სრულად დაინერგა ადამიანური კაპიტალის ადმინისტრირების ციფრული მოდელი. ამასთანავე, განხორციელდა ხელფასების მოდულის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ანაზღაურების ავტომატურ დაანგარიშებას, პროცესის სტანდარტიზაციასა და შეცდომების რისკის მინიმიზაციას.

2025 წელს სრულად გაციფრულდა რეკრუტინგის პროცესიც, რაც უზრუნველყოფს კანდიდატების შერჩევისა და მართვის უფრო სტრუქტურირებულ, სწრაფ და ეფექტიან მიდგომას. აღნიშნულმა ცვლილებამ გაამარტივა მიკრობანკის ვაკანსიების მართვა, კანდიდატების შეფასება და კომუნიკაცია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის რეკრუტინგის პროცესის ხარისხსა და ეფექტიანობას.

# 8 ადამიანური კაპიტალის მართვა

ამასთანავე, კომპანიამ დაანერგა შრომითი ურთიერთობების დოკუმენტებზე ელექტრონული ხელმოწერის სისტემა, რომელმაც ჩაანაცვლა ტრადიციული, ბეჭდვითი და ფიზიკური ხელმოწერის პროცესი. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს დოკუმენტაციის დამუშავების უფრო სწრაფ, უსაფრთხო და ეკოლოგიურად მდგრად პრაქტიკას, ამცირებს ადმინისტრაციულ ხარჯებს და აუმჯობესებს პროცესების საერთო ეფექტიანობას.

აღნიშნულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ადამიანური კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული პროცესების ეფექტიანობა, გააუმჯობესა ოპერაციული სიზუსტე და კიდევ უფრო გააძლიერა ადამიანური კაპიტალის მართვის თანამედროვე, ციფრულ და მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომა.

## ტალანტების განვითარება

მიკრობანკის გუნდის პროფესიული განვითარება ადამიანური კაპიტალის მართვის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა პროფესიული უნარების გაძლიერებას, კომპეტენციების განვითარებას და კომპანიის გრძელვადიანი შესაძლებლობების მხარდაჭერას.

ემბისოში ტალანტების განვითარება უწყვეტი და სისტემური პროცესია. კომპანიაში დაწესებულია განვითარების სხვადასხვა პროგრამა, რაც თანამშრომლებს განათლების მიღებისა და პროფესიული ზრდის მრავალფეროვან შესაძლებლობას აძლევს.


მიკრობანკში წლებია წარმატებით ფუნქციონირებს სტაჟირების პროგრამა, რომელიც ტალანტების განვითარების მნიშვნელოვან პლატფორმას წარმოადგენს. პროგრამა დამწყებ ტალანტებს უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნით, ისე პრაქტიკული უნარებით, რაც მათ სამუშაო გარემოსთვის ეფექტიანად ამზადებს. პროგრამის დასრულების შემდეგ, საუკეთესო მონაწილეებს ეძლევათ ორგანიზაციაში დასაქმების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, ფრონტ და ბექ-ოფისის თანამშრომლებისთვის რეგულარულად ტარდება შიდა ტრენინგები, რომლებიც ფარავს საქმიანობისთვის მნიშვნელოვან საკვანძო მიმართულებებს.


საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანია აქტიურად აგრძელებდა თანამშრომელთა პროფესიული ზრდის მხარდაჭერას. გარე სასწავლო პროგრამებისა და სერტიფიცირების შესაძლებლობების გაფართოებამ გუნდს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაძლიერების საშუალება მისცა. აღნიშნულმა ინიციატივებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პროფესიული კომპეტენციების ამაღლებას, რაც პირდაპირ აისახა სამუშაო პროცესების ხარისხსა და ეფექტიანობაზე. ამასთანავე, კიდევ უფრო განმტკიცდა შიდა ტალანტების განვითარების კულტურა და შეიქმნა კარიერული წინსვლის ფართო შესაძლებლობები.

მომდევნო წლისთვის კომპანია ადამიანური კაპიტალის სწავლებისა და განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ინიციატივების განხორციელებას გეგმავს. კერძოდ, შემუშავდება სტრატეგია, რომელიც მიკრობანკის სწავლების გრძელვადიან პრიორიტეტებსა და განვითარების ჩარჩოს განსაზღვრავს. ამასთანავე, ჩამოყალიბდება კომპეტენციების ჩარჩო (Competency Framework), რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა უნარებისა და როლების სტრუქტურირებულ მართვასა და განვითარების მიზნობრივ დაგეგმვას. პარალელურად, გაგრძელდება სასწავლო პროცესების გაციფრულება, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხელმისაწვდომობის, ეფექტიანობისა და მონიტორინგის გაუმჯობესებას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება სასწავლო პროგრამების დივერსიფიკაციაზე - როგორც ტექნიკური და პროფესიული, ისე პიროვნული და მენეჯერული უნარების მიმართულებით.

## ბარა ტრენინგები



## შიდა ტრენინგები



# 8 ადამიანური კაპიტალის მართვა



## ლიდერობის პროგრამა მენეჯერებისთვის

ბანკად ტრანსფორმაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გუნდის კომპეტენციებისა და უნარების გაძლიერებას, რათა ორგანიზაციამ ეფექტიანად უპასუხოს ახალ მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

ამ მიზნით, 2025 წელს მიკრობანკის მენეჯერული რგოლისთვის შემუშავდა და განხორციელდა ლიდერობის განვითარების პროგრამა. პროექტის მიზანი იყო მენეჯერული კომპეტენციების გაძლიერება ისეთ საკვანძო მიმართულებებში, როგორცაა ცვლილებების მართვა, ლიდერობა, გუნდის მართვა და ეფექტიანი კოლაბორაცია. პროგრამა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია **Develor Georgia**-თან პარტნიორობით წარიმართა.

## ტალანტების მოზიდვა

მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება ნიჭიერი ტალანტების მოზიდვა და შენარჩუნება, რაც კრიტიკულია კომპანიის მდგრადი ზრდისა და განვითარებისთვის. ამ ცვლილებების პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პროფესიონალების მოზიდვა, რომლებიც გამოირჩევიან განსხვავებული ხედვებითა და მრავალფეროვანი გამოცდილებით.

2025 წლის განმავლობაში ემბისიმ განაგრძო ზრდა და მნიშვნელოვნად გააფართოვა გუნდი. კერძოდ, ორგანიზაციას 123 ახალი თანამშრომელი შეუერთდა. ამასთანავე, აქტიურად ხორციელდებოდა შიდა კარიერული განვითარების და მობილობის ხელშეწყობა, რის შედეგადაც წლის განმავლობაში დაახლოებით 30-მდე თანამშრომელი დანიშნულა უფრო მაღალ პოზიციებზე, საიდანაც 60 %-მდე იყო ქალი თანამშრომელი.

ტალანტების მოზიდვის პროცესში ემბისი უპირობოდ იცავს თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს, რაც უზრუნველყოფს შერჩევის სამართლიან, ობიექტურ და ინკლუზიურ პროცესს ყველა კანდიდატისთვის. შერჩევა ეფუძნება მხოლოდ განათლების, პროფესიული კვალიფიკაციისა და კონკრეტული პოზიციის მოთხოვნებთან შესაბამისობის კრიტერიუმებს.

შიდა ტალანტების განვითარება ემბისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. კერძოდ, ვაკანტური პოზიციების შევსებისას უპირატესობა არსებულ თანამშრომლებს ენიჭებათ, რაც განსაკუთრებით მენეჯერულ რგოლზე ვრცელდება. კომპანიაში გვაქვს არაერთი მაგალითი იმისა, რომ თანამშრომელმა პროფესიული გზა საწყისი პოზიციებიდან დაიწყო და დღეს სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობს.

მსგავსი წარმატების ისტორიები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ორგანიზაცია ქმნის რეალურ შესაძლებლობებს კარიერული წინსვლისთვის და ხელს უწყობს განვითარებაზე ორიენტირებული კულტურის არსებობას.

## 8 ადამიანური კაპიტალის მართვა



გიგლამ ემბისიში საქმიანობა 2014 წელს, სტაჟირების პროგრამით, დაკრედიტების ექსპერტის პოზიციაზე დაიწყო. მას შემდეგ კი კარიერული განვითარების რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა: იყო საკრედიტო განყოფილების სპეციალისტი, საკრედიტო ადმინისტრირების მენეჯერი, მოგვიანებით კი - გაყიდვების ადმინისტრირების განყოფილების უფროსი.

**„ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც აქ ვისწავლე, ადამიანებთან ურთიერთობაა - მომხმარებლებთან, გუნდთან, კოლეგებთან. ამასთანავე, პროფესიული ზრდის კუთხით გავიარე არაერთი სერტიფიცირებული კურსი და ტრენინგი. შიდა კადრების განვითარება ყოველთვის იყო და რჩება კომპანიის პრიორიტეტად. ემბისიში ბევრი თანამშრომელი გაიზარდა და დღეს რამდენიმე მათგანი დეპარტამენტსაც ხელმძღვანელობს.**

**ახლაც, კომპანიის მხარდაჭერით, ვმონაწილეობ Uniglobal-ის კონფერენციაში, რომლის მთავარი თემა ციფრული ტრანსფორმაციაა. დარწმუნებული ვარ, ეს გამოცდილება სასარგებლო იქნება როგორც პირადად ჩემთვის, ისე ორგანიზაციისთვის, რადგან სწორედ ცვლილებების ეტაპზე ვართ და ტექნოლოგიური ცოდნა განსაკუთრებით გვჭირდება.“**

გიგლას თქმით, სამართლიანობა და უბრალოება ის მთავარი ღირებულებებია რამაც ემბისისთან მისი მრავალწლიანი მეგობრობა და თანამშრომლობა განაპირობა. მენეჯმენტის მხრიდან ამ ფასეულობების მხარდაჭერა ხელს უწყობს ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას.

### **გიგლა კაკალაშვილი**

ინფორმაციული ტექნოლოგიების პროდუქტების განვითარებისა და ხარისხის მართვის განყოფილების უფროსი

# 8 ადამიანური კაპიტალის მართვა



თამარის პროფესიული საქმიანობა ემბისიში 2014 წლიდან დაიწყო - დაკრედიტების ექსპერტის პოზიციაზე.

„თავდაპირველად ემბისიში მოლარე-ოპერატორის პოზიციაზე შემოვიტანე განაცხადი, თუმცა შერჩევის პროცესში ჩემი პოტენციური დაკრედიტების მიმართულებით გამოიკვეთა და კარიერაც სწორედ აქედან დავიწყე. მას შემდეგ კომპანიაში საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი პროფესიული გზა გავიარე.“

2017 წლიდან საქმიანობა რისკების დეპარტამენტში, შესაბამისობის სპეციალისტის პოზიციაზე გავაგრძელე, სადაც ჩემი ფუნქციები AML მიმართულებას მოიცავდა. აღნიშნულმა როლმა საშუალება მომცა, სიღრმისეულად შემესწავლა მარეგულირებელი მოთხოვნები, რისკების იდენტიფიკაციის პროცესები და კონტროლის მექანიზმები. ამ პრაქტიკამ საფუძველი ჩაუყარა ჩემს პროფესიულ ზრდას საოპერაციო რისკების მართვის მიმართულებით. გამოცდილების დაგროვებამ და პასუხისმგებლობების ეტაპობრივმა მატებამ კი, ბუნებრივია, ჩემი ლიდერულ პოზიციაზე დანიშნულება განაპირობა.

რისკების მართვის ჩარჩოს გაძლიერებასა და პროცესების ოპტიმიზაციაში მიღწეული შედეგების საფუძველზე, ჩავიბარე საოპერაციო რისკების და AML განყოფილება, რომელიც დღეს ამ ორი მიმართულების ინტეგრირებულ მართვას უზრუნველყოფს. ემბისის სწრაფმა განვითარებამ და ტრანსფორმაციულმა პროცესებმა პირდაპირი გავლენა მოახდინა ჩემს კარიერულ წინსვლაზე - ყოველი ახალი გამოწვევა ჩემთვის პროფესიული განვითარებისა და პროცესების კიდევ უფრო დახვეწის შესაძლებლობად იქცა.

სხვადასხვა კრიტიკულ მიმართულებაში ჩართულობამ პროცესების სიღრმისეული ცოდნა შემიძინა, რაც დღეს ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებასა და რისკების მართვის სისტემების გაუმჯობესებაში მეხმარება.“


თამარისთვის ემბისის წარმატებაში შეტანილ განსაკუთრებულ წვლილს მიკრობანკის ლიცენზიის მოპოვების პერიოდში გაღებული ძალისხმევა და მიღებული ექსპერტიზა წარმოადგენს. მისი თქმით, სწორედ ეს იყო ყველაზე დიდი კონტრიბუცია კომპანიის წინსვლაში.

თამარის თქმით, ემბისის ღირებულება ჯანსაღ ურთიერთობებშია, რაც დაარსების დღიდან მოჰყვება ორგანიზაციას. ეს უზრუნველყოფს ისეთი გარემოს ფორმირებას, სადაც თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა მოინდომონ, განვითარდნენ და მენეჯმენტის ხელშეწყობით მიაღწიონ მნიშვნელოვან პროფესიულ წარმატებებს.


## თამარ გაბელაშვილი

საოპერაციო რისკებისა და AML განყოფილების უფროსი

2025 წელს აყვანილი ყველა თანამშრომელი სქანის მიხედვით



2025 წელს აყვანილი ყველა თანამშრომელი სატაპო/სმარტის ცენტრის მიხედვით



# 8 ადამიანური კაპიტალის მართვა

## თანამშრომლის გამოცდილება

კორპორაციული კულტურის გაძლიერების მიზნით, კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი რეგულარულად ინარჩუნებენ აქტიურ კომუნიკაციას ყველა რგოლის თანამშრომელთან. ეს ურთიერთობა მოიცავს როგორც ონლაინ ფორმატს, ასევე პირისპირ შეხვედრებსა და გუნდურ შეკრებებს („თიმბილდინგებს“).

### ჭადრაკის ჩემპიონატი



ემბისის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გუნდური სულისკვეთების გაძლიერებასა და თანამშრომლებში ინტელექტუალური დასვენების კულტურის დამკვიდრებას. ამ მიზნით, 2025 წელს კომპანიაში ჩატარდა შიდა ჭადრაკის ჩემპიონატი. ტურნირის გამარჯვებული კომპანიის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

### ჩოგბურთის ჩემპიონატი



4 მაისს, აფხაზეთის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციაში, ემბისის 2025 წლის მაგიდის ჩოგბურთის ჩემპიონატი გაიმართა, რომელმაც თანამშრომლები სპორტულ და მეგობრულ გარემოში გააერთიანა. ტურნირი მაღალი ჩართულობითა და ჯანსაღი კონკურენციით გამოირჩეოდა. შეჯიბრების შედეგად გამოვლინდნენ საპრიზო ადგილების მფლობელები (პირველი, მეორე და მესამე ადგილი), ფედერაციამ კი ტურნირის რჩეული მოთამაშე დაასახელა.

### ფეხბურთის ჩემპიონატი



მიკრობანკში ჩატარდა შიდა საფეხბურთო ჩემპიონატი - „ემბისის თასი“, რომელშიც კომპანიის თანამშრომლები თბილისიდან და რეგიონებიდან მონაწილეობდნენ. აღნიშნული ტურნირიც მაღალი ჩართულობითა და გუნდური სულისკვეთებით გამოირჩეოდა. ჩემპიონატის შედეგად გამოვლინდნენ საპრიზო ადგილების მფლობელი გუნდები, ხოლო კაპიტნებისა და ორგანიზატორების კენჭისყრით დასახელდნენ საუკეთესო მოთამაშე და საუკეთესო მეკარე.

# 8 ადამიანური კაპიტალის მართვა



**ბავშვთა დაცვის დღე ემბისიში**

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, თანამშრომლების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, მოვიწვიეთ თამარ გაგოშიძე - ნეიროფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის დოქტორი და პროფესორი. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა თანამშრომლებში ბავშვთა განვითარების, აღზრდისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება, ასევე პრაქტიკული ცოდნის გაზიარება, რომელიც დაეხმარება მათ როგორც პირად, ისე პროფესიულ ურთიერთობებში უფრო ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი მიდგომების ჩამოყალიბებაში. შეხვედრის ფარგლებში თანამშრომლებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაესვათ მნიშვნელოვანი კითხვები და მიეღოთ სპიკერისგან ამომწურავი და კვალიფიციური პასუხები.



**BOOK CHALLENGE**

23 აპრილს, წიგნის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ემბისიში ჩატარდა შიდა კამპანია #bookchallenge, რომლის მიზანი იყო თანამშრომლების წიგნების გაზიარებისა და კითხვის კულტურის წახალისება და ასევე, კამპანიაში მონაწილეობით მათი ჩართულობის ზრდა. კამპანიამ თანამშრომლების მაღალი ინტერესი გამოიწვია და შედეგად, დაახლოებით 50 წიგნი ახალ მფლობელებს გადაეცა.



**MBC TALK**

პროექტი წარმოადგენს სალექციო შეხვედრების სერიას, რომლის მიზანია თანამშრომლებისთვის საინტერესო პიროვნებებისა და სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების მოწვევა. შეხვედრები არაფორმალური, თბილი და დინამიკური ატმოსფეროთი გამოირჩევა, რაც ხელს უწყობს მსმენელთა აქტიურ ჩართულობას, სპიკერებთან დიალოგს, ცოდნის გაზიარებასა და სასიამოვნო განტვირთვას.

MBC Talk ქმნის უნიკალურ სივრცეს როგორც პროფესიული განვითარებისთვის, ისე ინსპირაციისა და ახალი იდეების გაცვლისთვის. 2025 წელს, ამ ინიციატივის ფარგლებში, ჩატარდა საინტერესო შეხვედრები სხვადასხვა სფეროს ექსპერტებთან, რომელთა შორის იყვნენ: ზურა მხეიძე, თამარ გაგოშიძე, ლალი ბადრიძე, შოთა ჩინჩალაძე და ალექსანდრე ასათიანი.

აღნიშნული პროექტი სრულად შეესაბამება კომპანიის ფასეულობებს, რომლებიც მიმართულია თანამშრომელთა უწყვეტი ზრდისა და ძლიერი კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებისკენ.

# 8 ადამიანური კაპიტალის მართვა

## თიბილდინგი და კორპორაციული საღამო



ემბისიში თიბილდინგის აქტივობები მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამშრომლებს შორის ძლიერი პროფესიული და პიროვნული კავშირების ჩამოყალიბებაში, ურთიერთნდობის გაღრმავებასა და ერთიანი გუნდური კულტურის განვითარებაში.

2025 წელს აღნიშნული ღონისძიებები მრავალფეროვანი ფორმატით - როგორც გასვლითი, ისე შიდა აქტივობების სახით განხორციელდა, რამაც თანამშრომლებს განსხვავებულ გარემოში ერთმანეთის უკეთ გაცნობის შესაძლებლობა მისცა. თითოეული ინიციატივა აერთიანებდა გუნდს საერთო მიზნების ირგვლივ და ხელს უწყობდა მოტივაციის, ჩართულობისა და გუნდური ერთობის ზრდას.

გარდა ამისა, ტრადიციისამებრ გაიმართა კორპორაციული საღამო, რომელიც კიდევ უფრო ამყარებს გუნდურ სულისკვეთებას, ქმნის პოზიტიურ სამუშაო ატმოსფეროს და აძლიერებს თანამშრომელთა შორის ემოციურ კავშირს.

## ჯანმრთელობა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე



კომპანია განაგრძობს თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე სისტემურ ზრუნვას. ამ მიმართულებით კომპანიაში ფუნქციონირებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პოზიცია, რომელიც პასუხისმგებელია სამუშაო გარემოში უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, რისკების პრევენციასა და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების ეფექტიან განხორციელებაზე.

კომპანიაში სისტემატურად ხორციელდება ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების რისკების შეფასება, საჭიროებათა ანალიზი და გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება.

თანამშრომელთა ინფორმირებულობისა და უსაფრთხოების ამაღლების მიზნით, 2025 წელს ჩატარდა გეგმური ტრენინგები სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით, სადაც კომპანიის თანამშრომლებს კიდევ ერთხელ შევახსენეთ ის წესები და პროცედურები, რომლებიც აუცილებელია ხანძრის პრევენციისთვის, საგანგებო სიტუაციებში სწორი და სწრაფი რეაგირებისთვის, ასევე საკუთარი და სხვათა უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

# 8 ადამიანური კაპიტალის მართვა

## ბანკირის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება



ბანკირის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ნათია თურნავამ, ემბისის რისკების დირექტორს - ნინო დევდარიანს, საბანკო სექტორში განეული ფასდაუდებელი შრომისთვის ჯილდო გადასცა.

ღონისძიებას საქართველოს ეროვნულ ბანკმა უმასპინძლა და საბანკო სექტორის გამორჩეული თანამშრომლები დააჯილდოვა.

ნინო დევდარიანი 10 წელია იკავებს ემბისის რისკების დირექტორის პოზიციას და უზრუნველყოფს კომპანიის რისკების მართვის სისტემის სტრატეგიულ ზედამხედველობასა და ოპერირებას. მისი პასუხისმგებლობის სფერო მოიცავს ისეთ კრიტიკულ მიმართულებას, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციის ფინანსურ სტაბილურობასა და ეფექტიანობას. ამასთან აღსანიშნავია, ნინო დევდარიანის წვლილი სექტორულ განვითარებაში, რაც განპირობებულია საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაციის თავმჯდომარის როლით.

ემბისისთვის განსაკუთრებით საამაყოა ნინო დევდარიანის შრომის დაფასება და საბანკო სექტორის განვითარებაში შეტანილი წვლილის აღიარება.

## MFC-ის რიგით 27-ე ყოველწლიური კონფერენცია



მიკრობანკი ემბისის მენეჯმენტმა მონაწილეობა მიიღო მიკროსაფინანსო ცენტრის (MFC) ორგანიზებულ რიგით 27-ე ყოველწლიურ კონფერენციაში - "ცვლილებები, შოკები და გადაწყვეტები: მიკროფინანსები გეოპოლიტიკის ჩრდილში". ღონისძიება 27-29 მაისს თბილისში, საქართველოს ეროვნული ბანკის მხარდაჭერით გაიმართა. კონფერენციის მთავარი მიზანი გახლდათ ინკლუზიური ფინანსების განვითარებისა და ხელმისაწვდომობის შესაძლებლობების განხილვა იმ გლობალური გამოწვევების ფონზე, როგორცაა გეოპოლიტიკური რისკები და კლიმატური ცვლილებები.

ემბისის რისკების დირექტორმა, ნინო დევდარიანმა, მონაწილეობა მიიღო პანელურ დისკუსიაში - "მიკროსაფინანსო სექტორი საქართველოში: მდგრადობის მოდელი ცვალებად რეგიონში," სადაც განიხილა სექტორის როლი ეკონომიკური სტაბილურობისა და ფინანსური ჩართულობის უზრუნველყოფაში.

კონფერენციას სხვადასხვა ქვეყნის 400-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა, მათ შორის იყვნენ ფინანსური ინსტიტუტების, საინვესტიციო ფონდების, ფინანსურ სფეროს მარეგულირებლების, პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოებისა და სოციალური ფინანსების ინოვაციური კომპანიების წარმომადგენლები. მთავარი თემები მოიცავდა მდგრად დაკრედიტებას, ქალთა გაძლიერებას, ციფრულ ინოვაციებსა და ზეგავლენის შეფასებას.

**ჩვენო**

**მომხმარებლები**

# 9 ჩვენი მომხმარებლები



ემბისის მიზანი არასდროს ყოფილა მხოლოდ მომხმარებლების რაოდენობრივი ზრდა. ჩვენი ფოკუსი მუდმივად იყო და სამომავლოდაც იქნება იმ სეგმენტის გაძლიერებაზე, რომელიც საქართველოს ეკონომიკის დინამიკას ქმნის - ეს გახლავთ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი.

ემბისის მისია ამ სეგმენტის სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული პროდუქტების შექმნაა. ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას კი სესხის გაცემის გამარტივებული პროცედურებით, ოპერატიული მომსახურებითა და მიზნობრივი შეთავაზებებით ვგეგმავთ. ჩვენი მიზანია, მუდმივად ვგრძნობდეთ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის პულსს და მომხმარებლებს მინიმალური ბიუროკრატიით, უმოკლეს დროში შევთავაზოთ მაღალი საბანკო სტანდარტის, სანდო და მრავალფეროვანი მომსახურება.

2025 წელს, აღნიშნული მიმართულებით გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გახლდათ საკრედიტო ლიმიტების ზრდა 100 ათასიდან 300 ათას ლარამდე - 2026 წელს კი იგეგმება აღნიშნული ლიმიტის 1 მლნ ლარამდე გაზრდა. ფინანსური რესურსის გაფართოებამ მენარმეებს საშუალება მისცა, ოპერატიულად ეპასუხათ ბაზრის მოთხოვნებისთვის. ლიმიტების ზრდა არ ყოფილა მხოლოდ ტექნიკური გადაწყვეტილება - ეს იყო პასუხი ჩვენი კლიენტების მზარდ საჭიროებებზე, რომელთაც განვითარებისთვის მეტი ფინანსური მხარდაჭერა დასჭირდათ.


ამ პროცესს კიდევ უფრო მეტი მოქნილობა შესძინა მომხმარებლებისთვის მიმდინარე ანგარიშების გახსნამ, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა ბანკთან ყოველდღიური ურთიერთობა, სესხის მომსახურება თუ ფინანსური რესურსების ოპერატიული განკარგვა.

აღსანიშნავია, რომ ემბისის პორტფელის სტრუქტურა მკაფიოდ გამოხატავს კომპანიის მისიას - პორტფელის 63%-მდე ბიზნეს სექტორზე მოდის, რაც მოიცავს მიკრო და მცირე მენარმეებს, აგრო-მეურნეობებსა და საოჯახო ბიზნესებს. აღნიშნული მიმართულება ყოველწლიურად დინამიურად იზრდება - 2025 წელს ამ სეგმენტის პორტფელის ზრდამ 20 მილიონი ლარზე მეტი შეადგინა.

კომპანიის რეგიონული განვითარების სტრატეგია ეფუძნება ფინანსების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს. ემბისის 18 მომსახურების ცენტრიდან 12 რეგიონებში ფუნქციონირებს, რაც საშუალებას გვაძლევს ვუპასუხოთ ლოკალურ გამოწვევებს. მომავალშიც, ემბისი გეგმავს განვითარებას როგორც ციფრული ხელმისაწვდომობის, ისე ფიზიკური არხების მიმართულებით, რათა მაქსიმალურად მოვერგოთ მომხმარებლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და კომფორტს.

# 9 ჩვენი მომხმარებლები

## მომხმარებლების რეგიონული გადანაწილება



2025 წლის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო CX (Customer Experience) სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა, რომლის მიზანია ემბისის სრული გარდაქმნა მომხმარებელზე ცენტრირებულ ორგანიზაციად. პარალელურად, ახალ ბრენდ-კოდში მკაფიოდ აისახა კომპანიის მთავარი დაპირება: ვიყოთ მოსახერხებელი ბანკი, რომელსაც მომხმარებლებთან მიმართებით სერიოზული და გრძელვადიანი გეგმები აქვს.

ეს ნიშნავს, რომ კომპანიის სერვისები გახდება უფრო მარტივი, ხელმისაწვდომი და თითოეული მომხმარებლის ყოველდღიურობაზე მორგებული. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია და პოზიტიური ცვლილებები უახლოეს მომავალში ეტაპობრივად საგრძნობი გახდება.

ტრანსფორმაციის განუყოფელი ნაწილია მომსახურების ცენტრების კონცეპტუალური რებრენდინგიც - 2026 წლიდან შეიცვლება კონცეფცია და ინტერიერი, რათა ფიზიკური სივრცე კიდევ უფრო კომფორტული, ღია და მომხმარებლის საჭიროებებზე ადაპტირებული გახდეს.

მომხმარებელთა კმაყოფილება და ლოიალობა ემბისის საქმიანობის მთავარი საზომია. ჩატარებული კვლევების თანახმად, მომხმარებელთა ლოიალობისა და კმაყოფილების ინდექსები სტაბილურად 80-90%-იან დიაპაზონშია. ეს შედეგი არა მხოლოდ პროდუქტების ხარისხის, არამედ იმ უშუალო, ადამიანური ურთიერთობების დამსახურებაა, რაზეც ჩვენი გუნდი ყოველდღიურ საქმიანობას აგებს.

ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ ემბისის გაციფრულების სტრატეგია არ გულისხმობს ტექნოლოგიების ხარჯზე ადამიანური ურთიერთობების ფაქტორის მნიშვნელობის დაკნინებას. პირიქით, ჩვენი მიზანია ტექნოლოგიური პროგრესი გამოვიყენოთ მომსახურების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და ამით კიდევ უფრო მეტი სივრცე შევქმნათ უშუალო, პერსონალიზებული ურთიერთობების გასამყარებლად.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სხვადასხვა რეგიონს განსხვავებული ეკონომიკური დინამიკა და საჭიროებები აქვს. სწორედ ამიტომ, 2026 წლიდან დაიწყება რეგიონული განვითარების სპეციალური ინიციატივების განხორციელება, რაც გულისხმობს: რეგიონის სპეციფიკაზე მორგებული გადახდის გრაფიკების დანერგვას, სპეციალურ საკრედიტო ხაზებს იმ მენარმეებისთვის, რომლებიც რეგიონებში სამუშაო ადგილებს ქმნიან, და ფინანსური განათლებისა თუ ბიზნეს-კონსულტაციების სერვისს, რათა ადგილობრივმა ბიზნესმა მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენოს გაზრდილი საკრედიტო ლიმიტები.

საანგარიშო წელს, ორგანიზაციული ტრანსფორმაციის ფარგლებში, ემბისიმ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო გუნდის პროფესიულ გადამზადებას. სასწავლო პროცესი მოიცავდა 200 საათზე მეტ ხანგრძლივობის 42 სესიასა და 15 სხვადასხვა მოდულს, რაც როგორც ტექნიკურ, ისე სერვისის მიმართულებებს ფარავდა. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პერსონალის მზაობას, რათა ზრდის ტემპის პარალელურად, კომპანიამ გააუმჯობესოს მომსახურების სტანდარტი და ეფექტურად მართოს როგორც არსებული, ისე ახალი საბანკო პროდუქტები.

### მომავლის ხედვა:

2026 წელს, გვსურს, გარემოზე ზრუნვა მენარმეებისთვის ბიზნესის ეფექტურობის ამაღლებისა და განვითარების ახალ შესაძლებლობად ვაქციოთ. გვჯერა, რომ თანამედროვე, ეკომეგობრული სტანდარტების დანერგვა მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გახადონ საკუთარი საქმიანობა უფრო მომგებიანი, ოპტიმალურად მართონ რესურსები და მიიღონ საჭირო ფინანსური მხარდაჭერა „მწვანე“ ინიციატივების განსახორციელებლად. ეს მიდგომა უზრუნველყოფს ბიზნესის მდგრადობას და ზრდის მის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე.

## 9 ჩვენი მომხმარებლები

---

**ენერგოეფექტური აგრო-ტექნოლოგიების მხარდაჭერა:** პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ენერგოეფექტური სათბურების მოწყობის დაფინანსება.

**წყლის რესურსების მდგრადი მართვა:** თანამედროვე წვეთოვანი მორწყვის სისტემების დანერგვისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი მენარმებს მოსავლიანობის ზრდის, წყლის რესურსის რაციონალური გამოყენებისა და ნიადაგის ეროზიის პრევენციის შესაძლებლობას მისცემს.

**ბიომრავალფეროვნება და ეკოლოგიური სისუფთავე:** მრავალწლიან კულტურებში მულჩირების მეთოდის წახალისებით, ემბისი დაეხმარება ფერმერებს შხამ-ქიმიკატების მოხმარების შემცირებაში. შედეგად, იზრდება პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და ეკოლოგიური სისუფთავე, რაც პირდაპირ აისახება ნიადაგის ჯანმრთელობაზე.

მომხმარებელთა  
გამოცდილების  
მართვა

# 10 მომხმარებელთა გამოცდილების მართვა



ემბისიში კარგად ვაცნობიერებთ, რომ თანამედროვე ფინანსურ სამყაროში კონკურენტული უპირატესობა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ საპროცენტო განაკვეთებითა თუ პროდუქტების/სერვისების მრავალფეროვნებით. კომპანიის საქმიანობის მთავარ ქვაკუთხედს მომხმარებელი - მისი ნდობა, კმაყოფილება და ბრენდთან ემოციური კავშირი წარმოადგენს. მომხმარებლის გამოცდილების (Customer Experience) ეფექტიანი მართვა კი ორგანიზაციის მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. სწორედ ამიტომ, გლობალური ტენდენციების შესაბამისად, 2025 წელს ემბისის სტრატეგიულ პრიორიტეტად მომხმარებლის გამოცდილებაზე გაძლიერებული ზრუნვა განისაზღვრა.

## 2025 წლის ძირითადი ინიციატივები

2025 წელს გადადგმული პირველი ფუნდამენტური ნაბიჯი სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულის - მომხმარებელთა გამოცდილების მართვის ჯგუფის ჩამოყალიბება იყო. ჯგუფის მთავარ ამოცანას მომხმარებელზე მაქსიმალურად ცენტრირებული ეკოსისტემის შექმნა წარმოადგენს. აღნიშნული ცვლილება გახლავთ სტრატეგიული განაცხადი იმისა, რომ მომსახურების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება კომპანიის პრიორიტეტთა სათავეშია.

პროცესში საერთაშორისო პრაქტიკისა და ექსპერტული ცოდნის ინტეგრირების მიზნით, კომპანიამ დაიწყო თანამშრომლობა CX Hub-თან - მომხმარებლის გამოცდილების მართვის მიმართულებით წამყვან საკონსულტაციო ჯგუფთან.

### პარტნიორობის ფარგლებში:

- განხორციელდა ემბისიში არსებული პროცესების სიღრმისეული დიაგნოსტიკა;
- კომპანიის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავდა სამომავლო განვითარების სტრატეგია;
- დაიგეგმა ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ემბისის, როგორც ადამიანური, თანამედროვე და პასუხისმგებლიანი ფინანსური პარტნიორის პოზიციონირების განმტკიცებას.

აღნიშნული ინიციატივები ქმნის მყარ საფუძველს იმისათვის, რომ მომხმარებლებს შევთავაზოთ არა მხოლოდ ფინანსური მომსახურება, არამედ მათ საჭიროებებზე მორგებული, პოზიტიური და გამორჩეული (Customer-Centric) გამოცდილება.

## მომხმარებელზე ცენტრირებული კულტურის ძირითადი მიმართულებები

ტრანსფორმაციის პროცესში მოხდა არსებული ბიზნესპროცესების ფუნდამენტური გადააზრება, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა მომხმარებელზე ცენტრირებული კულტურის განვითარების სტრატეგია. აღნიშნული ხედვა ეფუძნება სამ ძირითად ფაქტორს:

- **მენეჯმენტის ჩართულობა** - კორპორაციული კულტურის ფორმირებასა და გაძლიერებაში მენეჯმენტის აქტიური და მუდმივი მონაწილეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების ეფექტიან იმპლემენტაციას ორგანიზაციის ყველა დონეზე.
- **თანამშრომელთა ჩართულობა** - მომხმარებლისთვის საუკეთესო გამოცდილების შექმნა საერთო

# 10 მომხმარებელთა გამოცდილების მართვა

პასუხისმგებლობაა. ეს გულისხმობს როგორც გარე მომხმარებელზე ზრუნვას, ისე ეფექტიანი შიდა სერვისების განვითარებას, სადაც თითოეული თანამშრომელი აცნობიერებს საკუთარ როლს საბოლოო ღირებულების შექმნის პროცესში.

• **მხარდამჭერი სისტემები და ინსტრუმენტები** - პროექტების, პრაქტიკების, ინსტრუმენტების ერთობლიობა, რომელიც ეხმარება გუნდს, ყოველდღიურ საქმიანობაში შექმნას გამორჩეული გამოცდილება და ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრად განვითარებას.

## სტრატეგიული მიმართულებები და სამომავლო ხედვა

კომპანიის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს მომხმარებელთა გამოცდილების (CX) მართვის რგოლის მანდატისა და გავლენის არეალის გაფართოება წარმოადგენს. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს სერვისული სტრატეგიის ეფექტიან კოორდინაციას ყველა არხსა და ფუნქციურ ერთეულში, რაც საშუალებას მოგვცემს, მომხმარებლის გამოცდილება ერთიანი, ძლიერი და ცენტრალიზებული პოზიციიდან ვმართოთ.

## ემბისის სტრატეგიული გადანყვეტილება, მომხმარებელზე ფოკუსირება აქციოს საქმიანობის მთავარ მამოძრავებელ პრინციპად, რაც შემდეგ ინიციატივებში გამოიხატება:

- ნებისმიერ კომპლექსურ თუ დილემურ სიტუაციაში, მომხმარებლის ინტერესები და გამოცდილება განიხილება, როგორც უალტერნატივო პრიორიტეტი.
- ახალი თანამშრომლების მიღების პროცესი ტრანსფორმირდა კულტურულ ინტეგრაციად. პირველივე დღიდან, გუნდის თითოეული წევრი ეზიარება კომპანიის მისიას და იმ ღირებულებებს, რაც აუცილებელია მომსახურების მაღალი სტანდარტის დასამკვიდრებლად.
- მომხმარებელთა გამოცდილების სტანდარტებზე ორიენტირებული ტრენინგ-პროგრამები იძენს სისტემურ ხასიათს. სწავლება ფარავს ყველა პოზიციას, რომელსაც პირდაპირი ან არაპირდაპირი შეხება აქვს მომხმარებელთან, რაც გუნდის მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციას უზრუნველყოფს.
- ინერგება წახალისების სამართლიანი მოდელი, სადაც ფინანსურ მაჩვენებლებთან ერთად, მნიშვნელოვანი წილი მომხმარებელზე ორიენტირებული ქცევის შეფასებას ეთმობა. გამორჩეული მომსახურება ხდება ხილვადი და აღიარებული, რაც თანამშრომელთა მოტივაციისთვის დამატებითი სტიმულია.
- Customer Journey-ს (მომხმარებლის გზის) პროექტირება - კომპანიის მიდგომა ეფუძნება მომხმარებლის გზის დეტალურ რუკებს. ეს საშუალებას გვძლევს, სიღრმისეულად გავაანალიზოთ შეხების ყველა წერტილი - პირველი ინტერაქციიდან პროდუქტით ხანგრძლივ სარგებლობამდე და წინასწარ განვსაზღვროთ მომხმარებლის საჭიროებები.
- ინერგება უკუკავშირის მართვის ცენტრალიზებული პლატფორმა, რომელიც ყველა არხიდან შემოსულ შეფასებას ერთიან სივრცეში აკავშირებს. ეს მონაცემები გარდაიქმნება სისტემურ ცოდნად, რაც კომპანიას დაეხმარება პრობლემების იდენტიფიცირებასა და ინოვაციური გადაჭრის გზების ოპერატიულად პოვნაში.
- მომხმარებელზე ზრუნვა თითოეული თანამშრომლის პირადი მისიაა. როგორც ფრონტ, ისე სათავო ოფისის გუნდები აცნობიერებენ საკუთარ როლს მომსახურების პროცესის თანავეტორობაში, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის ყველა დონეზე მომხმარებელზე ორიენტირებული გადანყვეტილებების მიღებას.

**საერთო კორპორაციული პასუხისმგებლობა** - მომხმარებელზე ზრუნვა თითოეული თანამშრომლის პირადი მისიაა.

მომხმარებლისთვის საუკეთესო გამოცდილების შექმნა არ არის ცალკეული სტრუქტურული ერთეულის ამოცანა - ეს არის კომპანიის ერთიანი ფილოსოფია, რომელიც ემბისის, როგორც ადამიანური, თანამედროვე და პასუხისმგებლიანი ფინანსური ინსტიტუტის პოზიციებს კიდევ უფრო გაამყარებს. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია და კომპანია მზად არის შემდგომი განვითარებისთვის.

კორპორაციული

მდგრადობა

# 11 კორპორაციული მდგრადობა

მიკრობანკის განვითარების პროცესში კორპორაციული მდგრადობა არა მხოლოდ ცალკეული მიმართულება, არამედ ის ფუნდამენტია, რომელიც ჩვენს ყოველდღიურ გადაწყვეტილებებსა და გრძელვადიან ხედვას განსაზღვრავს.

ESG პრინციპების საქმიანობის ყველა ეტაპზე ინტეგრირება გვაძლევს შესაძლებლობას შევამციროთ პოტენციური რისკები, გავაძლიეროთ მდგრადობა და შევქმნათ გრძელვადიანი ღირებულება დაინტერესებული მხარეებისთვის - თანამშრომლებისთვის, მომხმარებლებისთვის, პარტნიორებისა და ფართო საზოგადოებისთვის.

სწორედ ამიტომ, ემბისისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის ზრდა მუდმივ თანხვედრაში იყოს იმ დადებით ზეგავლენასთან, რომელსაც მის გარშემო არსებულ გარემოსა და საზოგადოებაზე ახდენს კომპანია.

## ქალების გაძლიერება

ქალთა გაძლიერება ემბისის კორპორაციული მდგრადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. როგორც გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების ხელმძღვანელი კომპანია, მიკრობანკი იზიარებს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას და აქტიურად უწყობს ხელს ქალების ეკონომიკურ და სოციალურ გაძლიერებას არა მხოლოდ გარე ინიციატივებით, არამედ შიდა კულტურის ფარგლებშიც. ემბისის თანამშრომელთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ, რაც კიდევ ერთხელ უსვამს საზს კომპანიის როლს ქალთა დასაქმებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერაში.

**მენარმე ქალების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვის მხარდაჭერა**



13-14 სექტემბერს, ემბისის მხარდაჭერით, საგამოფენო ცენტრ "ექსპო ჯორჯია"-ში მენარმე ქალების პროდუქციის მასშტაბური გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი UN Women Georgia გახლდათ. Expo2025-ში მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 200-მდე მენარმე ქალმა მიიღო. გამოფენის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ადგილზე გასცნობოდნენ და შეეძინათ მენარმეების მიერ შექმნილი პროდუქცია.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა პანელური დისკუსია, სადაც კერძო და საბანკო სექტორის წარმომადგენლებმა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაში ფინანსური ჩართულობის მნიშვნელობაზე იმსჯელეს.

ემბისის მხარდაჭერა კიდევ ერთხელ ადასტურებს მის ღირებულებებსა და მზადყოფნას, ხელი შეუწყოს ქალთა ეკონომიკურ განვითარებასა და გაძლიერებას. მიგვაჩნია, რომ ქალ მენარმეებში ინვესტირება ქმნის რეალურ, მდგრად ცვლილებებს როგორც ადგილობრივ თემებში, ისე მთლიანად ეკონომიკაში.

**ჯილდო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერისთვის**



2025 წელს ემბისიმ გაეროს ქალთა ორგანიზაციისგან მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვა. 5 დეკემბერს, ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEPIs) ყოველწლიურ კონფერენციაზე, კომპანიას სპეციალური ჯილდო გადაეცა. ემბისიმ აღიარება ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით გამოჩენილი გრძელვადიანი და თანმიმდევრული მხარდაჭერისთვის დაიმსახურა. აღნიშნული ჯილდო კომპანიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და დამატებითი მოტივაციაა ქალთა გაძლიერების კუთხით კიდევ უფრო ეფექტური ნაბიჯების გადასადგმელად.

# 11 კორპორაციული მდგრადობა

## ფინანსური განათლება

ფინანსური განათლების ხელშეწყობა მიკრობანკის კორპორაციული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მომავალმა თაობამ ადრეული ასაკიდანვე შეიძინოს ის ცოდნა და უნარები, რომლებიც მათ ფინანსურად პასუხისმგებელი გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

ამ მიზნით, ემბისი, ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პლატფორმა „ფინედუსთან“ თანამშრომლობით, აქტიურად ახორციელებს საგანმანათლებლო ინიციატივებს. პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ფინანსური წიგნიერების ამაღლებას, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებასა და ფინანსური დამოუკიდებლობის კულტურის განვითარებას.



**ფულის გლობალური კვირეული**

2025 წელს, ფულის გლობალური კვირეულის ფარგლებში, ტრადიციულად, ემბისის დესპანები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 10 სკოლის 200-მდე მოსწავლეს შეხვდნენ და ფულის დაზოგვის თემატიკაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით სახალისო გაკვეთილები ჩაუტარეს.

აქტივობა გაიმართა ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, კახეთის, სამეგრელოსა და იმერეთის სკოლების III-XII კლასის მოსწავლეებისთვის. გაკვეთილებზე ბავშვებმა ინფორმაცია მიიღეს ფულის დაზოგვის მეთოდების, დანაზოგების უსაფრთხოების, გონივრული ხარჯვის პრინციპებისა და სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ საკითხებზე.

დაზოგვის გლობალური კვირეული საქართველოში აღინიშნება 2012 წლიდან, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საგანმანათლებლო პლატფორმა „ფინედუს“ ინიციატივით.



**დაზოგვის საერთაშორისო დღე**

დაზოგვის მსოფლიო დღის აღსანიშნავად, ემბისის თანამშრომლები ჩაერთნენ ეროვნული ბანკის საგანმანათლებლო პროექტში - "მოიწვიე ფინედუ კლასში".

აქტივობის ფარგლებში, დესპანები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 10 სკოლის 300-მდე მოსწავლეს შეხვდნენ და ფულის დაზოგვის თემატიკაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით სახალისო ინტერაქციული გაკვეთილები ჩაუტარეს.

გაკვეთილები ჩატარდა ბათუმის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, კახეთის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთისა და იმერეთის სკოლების V-XII კლასის მოსწავლეებისთვის, სადაც ბავშვებმა ინფორმაცია მიიღეს ფულის დაზოგვის ეფექტური მეთოდების, გონივრული ხარჯვის პრინციპების, დანაზოგების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური საკითხების შესახებ.

გარდა დაზოგვის თემებისა, წლევანდელი აქტივობებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეროვნული ვალუტის - ლარის 30 წლის იუბილეს.

# 11 კორპორაციული მდგრადობა

**სტუდენტური კონკურსის  
"მარეგულირებლის  
დილემა" მხარდაჭერა**



მიკრობანკი ემბისი საქართველოს ეროვნული ბანკის და ფინანსური განათლების პორტალ „ფინედუს“ ინიციატივით გამართული სტუდენტური კონკურსის - „მარეგულირებლის დილემა“, მხარდაჭერი იყო. კონკურსი მიზნად ისახავდა სტუდენტებში ცენტრალური ბანკის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და მათში გონივრული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების ნახალისებას.

ღონისძიების ფარგლებში, სტუდენტურმა გუნდებმა ჟიურის წარუდგინეს ინოვაციური ხედვები და კონკრეტული გადაწყვეტის გზები, რომლებიც ცენტრალური ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებულ დილემებს ეხებოდა.

**სპორტული  
ინიციატივების  
მხარდაჭერა და ჯანსაღი  
ცხოვრების წესი**



ემბისისთვის სპორტული ინიციატივების მხარდაჭერა სცდება კორპორაციული პასუხისმგებლობის ფორმატს - ეს არის ჩვენი წვლილი აქტიური და ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

კომპანიის მხარდაჭერით, საქართველოს მასტერსის საწყლოსნო სპორტის სახეობათა ფედერაციის გუნდმა, Aquamasters Alliance-მა, სინგაპურში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა.

აღნიშნული ჩემპიონატი მასშტაბური მოვლენაა, რომელიც 25-დან 95+ წლამდე ასაკის 10,000-მდე სპორტსმენს აერთიანებს. Aquamasters Alliance-ი ასპარეზობაში ღირსეულად ჩაერთო და შესანიშნავი შედეგები აჩვენა - თითოეულმა წევრმა გააუმჯობესა პირადი მაჩვენებელი ინდივიდუალურ გაცურვებში, გუნდმა კი საპატიო ადგილი დაიკავა ტოპ ათეულში.

ჩემპიონატი მოიცავდა ხუთ დისციპლინას: ცურვა, ღია წყალზე ცურვა, მხატვრული ცურვა, წყალში ხტომა და წყალბურთი.

ემბისი მომავალშიც გააგრძელებს იმ ინიციატივების მხარდაჭერას, რომლებიც საზოგადოების კეთილდღეობასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.

# 11 კორკორაციული მდგრადობა

## გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

როგორც მიკრობანკი, ემბისი სრულად აცნობიერებს, რომ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა მისი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. ჩვენი ზეგავლენა გარემოზე, ერთი მხრივ, დაფინანსების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მხარდაჭერილ პროექტებში ვლინდება, ხოლო, მეორე მხრივ - ყოველდღიურ ოპერაციებში უფრო მდგრადი პრაქტიკის დანერგვაში.

## გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების მართვა

კომპანიამ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) რისკების მართვის მიმართულებით შეიმუშავა შესაბამისი პოლიტიკა და რისკების მართვის ჩარჩო, რომელიც წარმოადგენს კომპლექსურ და სისტემურ მიდგომას აღნიშნული რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვისთვის.

რისკების მართვის ჩარჩოს მიზანია ESG ფაქტორების ინტეგრირება გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, მათ შორის საკრედიტო გადაწყვეტილებებში, რაც უზრუნველყოფს პოტენციური რისკების ადრეულ ეტაპზე გამოვლენას და მათი ეფექტიანი მართვის შესაძლებლობას. პოლიტიკა განსაზღვრავს ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს, რომლებიც მიმართულია გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენის შემცირებისა და მმართველობითი სტანდარტების გაძლიერებისკენ.

ამ სისტემის დანერგვა კომპანიას აძლევს შესაძლებლობას, გააძლიეროს მდგრადი განვითარების პრაქტიკა და კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოს პასუხისმგებლიანი და გრძელვადიან ღირებულებებზე ორიენტირებული საქმიანობა.

## ნარჩენების მართვა

მიკრობანკის საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები ძირითადად ქაღალდს, ელექტრო და ელექტრონულ მოწყობილობებს მოიცავს.

საოფისე საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანია აქტიურად იყენებს სხვადასხვა ელექტრონულ მოწყობილობას. ამ ტიპის ნარჩენების მართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ისინი შესაძლოა შეიცავდეს გარემოსთვის მავნე კომპონენტებს, მათ შორის მძიმე მეტალებს. შესაბამისად, ამ კატეგორიის ნარჩენების სწორი და პასუხისმგებლიანი მართვა კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

კარტრიჯების შემთხვევაში კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამის კონტრაქტორ ორგანიზაციასთან, რომლის მეშვეობითაც დანერგილია მრავალჯერადი მოხმარების სისტემა. გამოყენებული კარტრიჯები არ ხვდება ნარჩენებში, არამედ ბრუნდება კონტრაქტორთან, ხდება მათი ხელახალი შევსება და კვლავ გამოყენება. რაც შეეხება ელექტრონულ მოწყობილობებს (კომპიუტერები და მასთან დაკავშირებული ტექნიკა), მათი მართვაც ხორციელდება პასუხისმგებლიანი გზით, მათ შორის მეორად ბაზარზე რეალიზაციის პრაქტიკის გამოყენებით.

ქაღალდის ნარჩენები კომპანიის ნარჩენების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ამ მიმართულებით, მიკრობანკში მიმდინარეობს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს დოკუმენტრუნვის მაქსიმალურ გაციფრულებას და ქაღალდის მოხმარების ეტაპობრივ შემცირებას, რაც პირდაპირ აისახება გარემოზე ზემოქმედების შემცირებაზე. კერძოდ, 2025 წელს სრულად გაციფრულდა ადამიანური კაპიტალის მართვის პროცესები. მათ შორის, კომპანიამ დანერგა შრომითი ურთიერთობების დოკუმენტებზე ელექტრონული ხელმოწერის სისტემა, რომელმაც ჩაანაცვლა ტრადიციული, ბეჭდვითი და ფიზიკური ხელმოწერის პროცესი. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს დოკუმენტაციის დამუშავების ეკოლოგიურად მდგრად პრაქტიკას და საგრძნობლად ამცირებს ქაღალდის მოხმარებას.

მომდევნო წლებში დაგეგმილია მოხმარებლებთან ურთიერთობის პროცესში ეტაპობრივად დაინერგოს ელექტრონული ხელმოწერის სისტემა, რომელიც ბანკში ქაღალდის გამოყენებას სრულად ჩაანაცვლებს, რაც ხელს შეუწყობს კომპანიის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

## ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლობით გამოყენება და ენერგოეფექტურობა

კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლიან გამოყენებას და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას, როგორც გარემოსდაცვითი მდგრადობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.

საოპერაციო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ემბისი მუდმივად ცდილობს რესურსების ოპტიმიზაციას და მათი ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობას. ამ მიმართულებით, კომპანია ეტაპობრივად ნერგავს პრაქტიკებს, რომლებიც მიმართულია ენერჯის მოხმარების შემცირებაზე, საოფისე რესურსების გონივრულ გამოყენებასა და ყოველდღიურ პროცესებში ეკოლოგიურად უფრო მდგრადი გადაწყვეტილებების დანერგვაზე.

2025 წელს დასრულდა სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის ძირითადი ეტაპი, რომელიც დაიწყო 2024 წელს. განახლებული ინფრასტრუქტურა არის ენერგოეფექტური, უზრუნველყოფს კომპანიის მიერ მოხმარებული ენერჯის შემცირებას და ორიენტირებულია რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაზე და ოპერაციული ეფექტიანობის ზრდასთან ერთად, უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების შემცირებაზე.

მაკროეკონომიკის  
მიმოხილვა


# 12 მაკროეკონომიკის მიმოხილვა



## მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს წინასწარი შეფასებით, 2025 წელს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 7,5%-იან ნიშნულს მიაღწია, რაც წინა წლის ზრდის ტემპთან შედარებით 1,9%-ით ნაკლებია.

## მშპ-ს რეალური ზრდა



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>


## მიმდინარე ანგარიში

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული „საქართველოს საგადასახდელო ბალანსის“ მონაცემების თანახმად, 2025 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შემცირდა და 1,008.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 2.6%-ია. 2024 წელთან შედარებით დეფიციტი 803.9 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა, რაც საქართველოსთვის ისტორიულად ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

2025 წლის მონაცემებით, მიმდინარე ანგარიშის ფორმირებაში უარყოფითი წვლილი საქონლით ვაჭრობამ და შემოსავლების ანგარიშმა შეიტანა, ხოლო დადებითი ეფექტი მომსახურებით ვაჭრობასა და მიმდინარე ტრანსფერებს ჰქონდა.

# 12 მაკროეკონომიკის მიმოხილვა

## მიმდინარე ანგარიში მშპ-სთან



## ექსპორტ-იმპორტი

2025 წლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში ექსპორტის მოცულობა 7.29 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც 2024 წლის მაჩვენებელზე 11%-ით მეტია. იმპორტის ზრდის ტენდენცია 2025 წელსაც შენარჩუნდა - დაფიქსირდა 10%-იანი მატება, რამაც ჯამში 18.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

2025 წელს საქართველოს უმსხვილეს საიმპორტო პარტნიორად კვლავ თურქეთი რჩება, რომლის წილიც მთლიან იმპორტში 14.92%-ია. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა კი ყირგიზეთია (ექსპორტის 20.56%).

საანგარიშო პერიოდის უმსხვილეს საექსპორტო ქვეყნებს შორის არიან: ყირგიზეთი (1.50 მლრდ აშშ დოლარი), ყაზახეთი (910 მლნ აშშ დოლარი), რუსეთი (749.3 მლნ აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (697 მლნ აშშ დოლარი).

უმსხვილეს საიმპორტო ქვეყნებში კი ლიდერობენ: თურქეთი (2.777 მლრდ აშშ დოლარი), აშშ (2.767 მლრდ აშშ დოლარი), ჩინეთი (1.987 მლრდ აშშ დოლარი) და რუსეთი (1.939 მლრდ აშშ დოლარი).“

წყარო: [https://www.mof.ge/ka/fl/eksportimportis\\_informatsia?page=1](https://www.mof.ge/ka/fl/eksportimportis_informatsia?page=1)


## ფულადი გზავნილები

2025 წლის განმავლობაში საქართველოში ფულადი ნაკადების სახით შემოვიდა 3.65 მილიარდი აშშ დოლარი, რაც 2024 წლის ჯამურ მაჩვენებელს დაახლოებით 10%-ით აღემატება. ქვეყნიდან გადარიცხული თანხების მოცულობამ კი 0.42 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემზე 11%-ით მეტია.

2025 წლის განმავლობაში გადმორიცხული თანხების 45% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის.

გადმორიცხვების მოცულობის მიხედვით, ქვეყნების ხუთეული ასე ნაწილდება: აშშ - 682.2 (19%) მლნ აშშ დოლარი, იტალია - 621 (18%) მლნ აშშ დოლარი, რუსეთი 467.5 (12%) მლნ აშშ დოლარი, გერმანია 318.6 (9%) მლნ დოლარი და საბერძნეთი 293.6 (8%) მლნ აშშ დოლარი.

## ფულადი გზავნილების ჩარიცხვაში უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით




წყარო: <https://nbg.gov.ge/page/puladi-gzavnilebi>

# 12 მაკროეკონომიკის მიმოხილვა

## გადარიცხვების განაწილება უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით (სულ 420 მლნ აშშ დოლარი):

თურქეთი 78.9 მლნ აშშ დოლარი, (18,8%), აზერბაიჯანი 66 (15,2%) მლნ აშშ დოლარი, რუსეთი 48 (11,4%) მლნ აშშ დოლარი, უკრაინა 27 (6,7%) მლნ აშშ დოლარი.

## ფულადი გზავნილების გადარიცხვები უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით



## ტურიზმი

2025 წლის მონაცემებით, არარეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიურმა რაოდენობამ 482.4 ათასი შეადგინა, რაც 2024 წლის მაჩვენებელს 31.4 ათასით (დაახლოებით 7%-ით) აღემატება.

ქვეყნების მიხედვით, 2025 წელს ყველაზე მეტი ვიზიტორი დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციიდან (112.1 ათასი), თურქეთიდან (81.5 ათასი), სომხეთიდან (57.6 ათასი) და ევროკავშირის ქვეყნებიდან (35.7 ათასი).


ვიზიტორების საშუალო თვიურმა ხარჯმა 1,249.8 მილიონი ლარი შეადგინა. მთლიანი თვიური ხარჯების სტრუქტურა ძირითადი კატეგორიების მიხედვით ასე ნაწილდება: საყიდლები - 354.7 მლნ ლარი, განთავსება - 317.0 მლნ ლარი, საკვები და სასმელი - 291.8 მლნ ლარი.

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika>

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2025 წლის წინასწარი მონაცემებით, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა დაახლოებით 1.7 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2024 წლის მაჩვენებელს 8%-ით აღემატება.

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# 12 მაკროეკონომიკის მიმოხილვა

## 2025 წლის უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით ასეთია:

ყველაზე დიდი პირდაპირი უცხოური ინვესტორი საქართველოში გაერთიანებული სამეფოა - ჯამური ინვესტიციების 20%-ით, შემდეგ თურქეთი - 11%, მალტა - 10%, აშშ - 9%, აზერბაიჯანი - 8,5%, ნიდერლანდები - 5,4% და ესპანეთი - 4,5%.

### პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით




წყარო: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სექტორის მიხედვით დაყოფა კი ასე გამოიყურება:

საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 35,9%, უძრავი ქონება - 11%, ტრანსპორტი - 9,8%, დამამუშავებელი მრეწველობა - 9,5%, ინფორმაცია და კომუნიკაცია - 6,8%, ენერჯეტიკა - 6,6%.

### პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორის მიხედვით




# 12 მაკროეკონომიკის მიმოხილვა

## დასაქმება და ხელფასები

2025 წლის პირველ კვარტალში უმუშევრობის დონე 13,9%-დან 14,7%-მდე გაიზარდა. წლის ბოლოსთვის კი ეს მაჩვენებელი 13,3%-მდე შემცირდა, რის შედეგადაც წლიურ ჭრილში უმუშევრობის დონე 2024 წლის მაჩვენებელს გაუტოლდა და კვლავ 13,9% შეადგინა.

## უმუშევრობის დონე



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/37/dasakmeba-khelfasebi>

2025 წლის წინასწარი მონაცემებით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შეადგენს 2,282.7 ლარს, რაც 2024 წლის მაჩვენებელს 311.90 ლარით აღემატება.

## გაცვლითი კურსი და საერთაშორისო რეზერვები


2024 წლის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის საშუალო წლიური მაჩვენებელი -5,9% იყო, ხოლო 2025 წლის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 1,9%-ს გაუტოლდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2025 წლის ბოლოს მდგომარეობით, საქართველოს საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 6.16 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2024 წლის მაჩვენებელს 38%-ით აღემატება.

## ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

2025 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ (დეკემბერი/დეკემბერთან) 4,2% შეადგინა.

2025 წელს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად, 8%-იან ნიშნულზე შენარჩუნდა.



— რეფინანსირების განაკვეთი — წლიური ინფლაცია (დეკემბერი/დეკემბერთან)

წყარო: <https://reports.nbg.gov.ge/f1a77cc6-e0e0-4ce1-b184-238b773e44f2/ff299a6a-aa21-416f-a1b9-d6d3122edee2>


# 12 მაკროეკონომიკის მიმოხილვა

## სახელმწიფო ვალი

2025 წელს, 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო ვალის მოცულობამ შეადგინა 35.9 მილიარდი ლარი, რაც მშპ-ს 34,4% არის. აქედან საგარეო ვალია 24.2 მილიარდი ლარი, ხოლო - საშინაო 11.7 მილიარდი ლარი.

ქვემოთ მოცემული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ვალის ყველაზე მაღალი მოცულობა დაფიქსირდა 2020 წელს, როდესაც ვალის მოცულობამ მშპ-თან მიმართებით შეადგინა 59,6%. 2020 წლის შემდეგ სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მშპ-თან ეტაპობრივად მცირდება და 2025 წელს ისტორიულად დაბალ ნიშნულზე - 34,4%-ზე ჩამოვიდა.

## კორტჯელის დინამიკა



წყარო: საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი

## საერთაშორისო რეიტინგი

2025 წელს საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი საერთო ჯამში უცვლელი დარჩა, თუმცა აღინიშნა ცალკეული სააგენტოების მიერ პერსპექტივის შეფასებაში განხორციელებული კორექტირებები.

- **S&P Global:** 2025 წლის დასაწყისში სარეიტინგო სააგენტო S&P Global-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი „BB“ დონეზე, „სტაბილური“ პერსპექტივით შეინარჩუნა. აგვისტოში განხორციელებული მორიგი გადახედვის შედეგად, აღნიშნული რეიტინგი და პერსპექტივა კვლავ უცვლელი დარჩა.
- **Fitch Ratings:** 2025 წლის ნოემბერში სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი BB დონეზე უცვლელად დატოვა, ხოლო პერსპექტივა „უარყოფითი“ „სტაბილურით“ შეცვალა.
- **Moody's:** სარეიტინგო სააგენტო Moody's-მა 2025 წლის დასაწყისში საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი Ba2-ზე და პერსპექტივა „ნეგატიური“ უცვლელად დატოვა.

# 12 მაკროეკონომიკის მიმოხილვა

## 2026 წლის ეკონომიკური პროგნოზი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2026 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს რეალური მშპ-ის ზრდამ 8,4%-ს მიაღწია. ამავე პროგნოზის მიხედვით, წლის ბოლოსთვის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 5,0%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი. რაც შეეხება ინფლაციას, 2025 წელს დაფიქსირებული 4,0%-იანი მაჩვენებლის შემდეგ, მარტში ინფლაციამ 4,3% შეადგინა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ვარაუდობს, რომ 2026 წლის განმავლობაში ინფლაციის დონე კვლავ მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდება.<sup>1</sup>

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წელს საქართველოს ეკონომიკა 5,3%-ით გაიზრდება. მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 2026 წლისთვის (5,3%) 0,3 პროცენტული პუნქტით (პპ) აღემატება ეკონომიკური ზრდის მთავრობის პროგნოზს (5,0%). საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში (2025-2029 წლებისთვის) ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 5,6%-ს შეადგენს.

2025 წლისთვის ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი იქნება და 2,5%-ს მიაღწევს. მთავრობის პროგნოზით კი, 2026 წელს ინფლაცია 3,0%-ს შეადგენს.

გამოცოცხლებული ეკონომიკური აქტივობის პარალელურად, კერძო ინვესტიციების მშპ-თან ფარდობა 2026 წლისათვის 17,4%-ს მიაღწევს, საშუალოვადიან პერიოდში ზრდადი ტენდენცია ექნება და 2028 წელს 20,1%-ს შეადგენს. მთავრობის პროგნოზის მიხედვით, 2025 წლისთვის კერძო ინვესტიციების მშპ-თან ფარდობის ზრდა 19,2%-მდე არის მოსალოდნელი, საშუალოვადიან პერიოდში გაიზრდება და 2028 წლისთვის 17,8%-ს გაუტოლდება.

რაც შეეხება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტს, 2026 წელს საბიუჯეტო ოფისის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელია -2,3%, რაც 0,2 პროცენტული პუნქტით განსხვავდება მთავრობის ანალოგიური მაჩვენებლისგან (-2,5%).

2026 წლისთვის საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მოსალოდნელი დეფიციტი მშპ-ის 4,3%-ია, ხოლო მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ის 3,8%-ს შეადგენს. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 2025-2029 წლებში საშუალოდ მშპ-ის -4,0%-ის ფარგლებში ჩამოყალიბდება.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, სავაჭრო დეფიციტი 2026 წელს მშპ-ს 7,6%-ს მიაღწევს, მთავრობის პროგნოზით დეფიციტი ასევე 7,3% იქნება.<sup>2</sup>

<sup>1</sup><https://www.imf.org/en/news/articles/2026/04/07/cs-04072026-georgia-staff-cs-2026-aiv>

<sup>2</sup><https://pbo.parliament.ge/ge/26-16-mo/item/1349-2025-2029.html>

ბაზრის

მიმოხილვა

# 13 ბაზრის მიმოხილვა



საქართველოს საფინანსო სექტორი დაყოფილია ოთხ ძირითად ინსტიტუციურ ჯგუფად: კომერციული ბანკები, მიკრობანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები (მისო) და არასაბანკო სადეპოზიტო ინსტიტუტები.

## ინსტიტუციური კლასიფიკაცია და ფუნქციური მახასიათებლები

სექტორის მონაწილეები განსხვავდებიან მომსახურების არეალისა და ზედამხედველობის სიმკაცრის მიხედვით:

### კომერციული ბანკები

წარმოადგენენ უნივერსალურ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობენ საბანკო მომსახურების სრულ სპექტრს.

ექვემდებარებიან მაღალი დონის საზედამხედველო სტანდარტებს.

### მიკრობანკები

ახალი, სპეციალიზებული კატეგორია. მათი მთავარი ფუნქციაა მცირე მენარმეობისა და აგროსექტორის დაკრედიტება.

**საკრედიტო პორტფელი:** არანაკლებ 70% უნდა იყოს მიმართული სამენარმეო საქმიანობის დაფინანსებაზე.

**საკრედიტო ლიმიტები:** სესხის მაქსიმალური მოცულობა - 1 მლნ ლარი.

**პრივილეგიები:** უფლება აქვთ მიიღონ დეპოზიტები (დაზღვევის სისტემის ფარგლებში) და გახსნან მიმდინარე ანგარიშები.

კომერციული ბანკების მსგავსად ექვემდებარებიან მაღალი დონის საზედამხედველო სტანდარტებს.

### მიკროსაფინანსო ორგანიზაციები (მისო)

ორიენტირებულნი არიან მცირე სესხებზე.

**საკრედიტო ლიმიტი:** სესხის მაქსიმალური მოცულობა ერთ მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე მაქსიმუმ 200,000 ლარამდე.

**შეზღუდვა:** არ აქვთ დეპოზიტების მოზიდვის უფლება.

ექვემდებარებიან შედარებით მსუბუქ საზედამხედველო ჩარჩოს.

### არასაბანკო სადეპოზიტო ინსტიტუტები

საქმიანობენ დახურული პრინციპით – იღებენ დეპოზიტებს და გასცემენ სესხებს მხოლოდ საკუთარი წევრებისთვის.

# 13 ბაზრის მიმოხილვა

შეჯამებული მონაცემები ინსტიტუციების მიხედვით:

პარამეტრი	კომერციული ბანკი	მიკრობანკი	მიკროსაფინანსო (მისო)
სესხის მაქს. ზღვარი	შეუზღუდავი	1,000,000 ლ	200,000 ლ
დეპოზიტების მიღება	დიახ	დიახ (ლიმიტით)	არა
საქმიანობის აქცენტი	უნივერსალური	ბიზნესი/აგრო (70%+)	მიკროკრედიტები
ზედამხედველობა	მკაცრი	მკაცრი	მსუბუქი

## მიკრობანკების საქტორი


2025 წლის ბოლოს საქართველოში ორი მიკრობანკი ოპერირებდა - ემბისი და კრისტალი. ემბისიმ მიკრობანკის ლიცენზია 2024 წლის დეკემბრის თვეში მოიპოვა, ხოლო კრისტალმა - 2025 წლის თებერვალში.

გასათვალისწინებელია, რომ წინამდებარე დოკუმენტი არ აღწერს სექტორის ისტორიულ ტენდენციებს, რამდენადაც ბოლო წლების განმავლობაში მიკრობანკების ბაზარი არ არსებობდა. მიმოხილვა ეყრდნობა ზემოხსენებული ორი ორგანიზაციის ისტორიულ, კონსოლიდირებულ მონაცემებს მათი მიკროსაფინანსო საქმიანობის პერიოდიდან დღემდე.


მიკრობანკების მთლიანი აქტივები 2025 წლის მდგომარეობით 867 მილიონ ლარს შეადგენს. მიკრობანკები საოპერაციო საქმიანობას უმეტესწილად ვალდებულებებით აფინანსებდნენ, კერძოდ, 2025 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულებებისა და კაპიტალის წილი, შესაბამისად, 84.3%-ით და 15.7%-ით განისაზღვრა.

სექტორის მომგებიანობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება - 2025 წელს სექტორის მოგებამ აქტივებზე 2,4% შეადგინა, ხოლო მოგებამ კაპიტალზე -15,1%.

## ათასი ლარი



## მომგებიანობა



# 13 ბაზრის მიმოხილვა

ცხრილში მოცემულია მიკრობანკების სექტორის მომგებიანობის ძირითადი მაჩვენებლები (ათას ლარში) 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

## ათას ლარებში

N	მიკრობანკის დასახელება	მთლიანი აქტივების მოცულობა	საპროცენტო შემოსავლები/ხარჯები			მოგება		
			მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	მთლიანი საპროცენტო ხარჯი	წმინდა საპროცენტო შემოსავალი	მოგება აქტივებზე ROA განლიურებული	მოგება აქტივებზე ROA განლიურებული	მოგება კაპიტალზე ROE განლიურებული
	კონსოლიდირებული	866,916	208,208	-65,640	142,568	19,262	2.40%	15.10%
1	მიკრობანკი კრისტალი	672,206	168,332	-51,750	116,583	13,664	2.14%	13.33%
2	მიკრობანკი ემბისი	194,710	39,876	-13,890	25,986	5,598	3.36%	21.80%

## საბანკო სექტორი

2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში 17 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, მათგან 3 ციფრული ბანკია. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 2025 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს საბანკო სექტორის საერთო აქტივები 107 მილიარდ ლარს შეადგენს, საიდანაც ხუთ უმსხვილეს ბანკზე სექტორის მთლიანი აქტივების 90.5% მოდის.

ბოლო წლებში საქართველოს საბანკო სექტორი სწრაფად განვითარდა, რის შედეგადაც სექტორის აქტივები 2010 წლის 16 მილიარდი ლარიდან 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 107 მილიარდ ლარამდე გაიზარდა. თუმცა, 2008 წელს კომერციულ ბანკებს გარკვეული სირთულეები შეექმნათ, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ისეთ მაჩვენებლებზე, როგორცაა წმინდა მოგება, აქტივებისა და კაპიტალის უკუგება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მონაცემებით, 2008 წელს სექტორის მდგომარეობის გაუარესება რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვია: წინა წლებში სესხების სწრაფმა ზრდამ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა („2008 წლის კონფლიქტი“), გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენამ და ლარის ნოემბრის გაუფასურებამ. სექტორი 2009 წლის განმავლობაში დასტაბილურდა და მას შემდეგ უწყვეტ ზრდას განაგრძობს. 2015 წელს ლარის აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურებამ მცირე უარყოფითი გავლენა მოახდინა პრობლემური სესხების (NPLs) მაჩვენებლებზე, თუმცა ეს ცვლილება არ ყოფილა არსებითი სექტორის საერთო ზრდის ფონზე. COVID-19 პანდემიის დასაწყისში, წინდახედული საზედამხებველო პოლიტიკის წყალობით, საქართველოს საბანკო სისტემას ლიკვიდურობისა და კაპიტალის საკმარისი ბუფერები ჰქონდა დაგროვილი. გარდა ამისა, კომერციულ ბანკებს დაევალოთ სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების წინასწარ შექმნა, რაც პანდემიით გამოწვეული შოკების შესამსუბუქებლად იყო საჭირო. შედეგად, საბანკო სისტემამ მდგრადობა შეინარჩუნა და ეკონომიკის უწყვეტი დაკრედიტება უზრუნველყო. 2022 წლის შუა პერიოდისთვის კომერციული ბანკების უმეტესობამ ათვისებული კაპიტალის ბუფერები სრულად აღადგინა.

ცხრილში მოცემულია საბანკო სექტორის მომგებიანობის ძირითადი მაჩვენებლები (ათას ლარში) 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

N	ბანკის დასახელება	მთლიანი აქტივების განვლება	საპროცენტო შემოსავლები/ხარჯები			მოგება		
			მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	მთლიანი საპროცენტო ხარჯი	წმინდა საპროცენტო შემოსავალი	მოგება აქტივებზე ROA, განლიურებული	მოგება აქტივებზე ROA, განლიურებული	მოგება კაპიტალზე ROE, განლიურებული
	კონსოლიდირებული	106,600,214	9,901,364	-4,823,869	5,077,494	3,292,191	3.29%	22.56%
1	საქართველოს ბანკი	42,474,213	3,904,798	-1,807,124	2,097,675	1,630,530	4.11%	29.90%
2	თი-ბი-სი ბანკი	39,165,008	3,478,435	-1,814,556	1,663,879	1,277,584	3.39%	23.81%
3	ლიბერთი ბანკი	6,053,045	722,742	-344,771	377,972	126,002	2.28%	18.85%
4	ბაზის ბანკი	4,871,507	413,320	-231,620	181,701	110,511	2.56%	17.25%
5	კრედო ბანკი	3,902,635	642,920	-265,011	377,909	92,630	2.73%	21.96%
6	პროკრედიტ ბანკი	2,264,768	146,339	-71,318	75,021	28,724	1.39%	8.74%
7	ტერა ბანკი	2,240,863	213,763	-128,863	84,901	30,905	1.47%	10.53%
8	ქართუ ბანკი	1,964,899	123,201	-40,193	83,008	38,348	2.05%	8.21%
9	ხალიკ ბანკი	1,108,414	92,306	-40,380	51,925	22,228	2.11%	8.49%
10	პაშა ბანკი	661,662	52,522	-29,308	23,214	2,412	0.37%	1.90%
11	იშ ბანკი	626,026	40,874	-16,542	24,332	14,275	2.90%	9.30%
12	ვი-თი-ბი ბანკი	440,361	11,986	-10,197	1,788	-54,033	-12.11%	-18.39%
13	ზირათ ბანკი	402,430	26,202	-9,051	17,151	7,114	2.23%	8.35%
14	სილქ ბანკი	218,997	25,973	-14,826	11,147	-24,227	-10.95%	-37.40%
15	პეიჯ ბანკი	115,238	1,881	-45	1,836	1,521	2.30%	19.38%
16	ჰეშბანკი	71,953	3,477	-63	3,414	-10,548	-24.96%	-27.02%
17	პეისერა	18,194	624	-3	622	-1,784	-8.68%	-19.68%

# 13 ბაზრის მიმოხილვა

## მიკროსაფინანსო სექტორი


საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი 2006 წელს დაიწყო, როდესაც პარლამენტმა მიიღო შესაბამისი კანონი. მომდევნო ათწლეულის განმავლობაში სექტორმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა. 2010-2016 წლებში სექტორის მთლიანი აქტივების საშუალო წლიური ზრდის ტემპმა (CAGR) 36,7% შეადგინა, ხოლო მთლიანი სასესხო პორტფელის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი (CAGR) იმავე პერიოდში 35,9%-ს აღწევდა.

თუმცა, 2017-2020 წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სექტორის განვითარებაზე. აღნიშნული ცვლილებები მოიცავდა ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე 50%-იან ზღვრის დაწესებას, უცხოურ ვალუტაში სესხების გაცემის შეზღუდვას, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტების დანერგვას, კაპიტალისა და ლიკვიდობის მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრას და სხვა რეგულაციებს. შედეგად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და 2025 წლის ბოლოსთვის 29-მდე დაეცა.

2025 წლის ბოლოს მდგომარეობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივები 2,2 მილიარდი ლარი (-1,5%-იანი წლიური ზრდა) იყო. 2024 წელთან შედარებით, აქტივების მოცულობის კლება გამოწვეული იყო ორი მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, რომელთა ჯამური წილი მთლიან აქტივებში 30%-მდე შეადგენდა, მიკრობანკების სექტორში გადანაცვლებით.

მიკროსაფინანსო სექტორის აქტივების სტრუქტურის დინამიკა მოცემულია ქვემოთ გრაფიკზე.


### აქტივების სტრუქტურა



გამკაცრებული მარეგულირებელი გარემოს ფონზე, მიკროსაფინანსო სექტორის შემოსავლიანობა 2016 წლიდან შემცირების ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული ტენდენცია პირდაპირ კავშირშია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრის ეტაპობრივ შემცირებასთან, რომელიც 2017 წელს 100%-ით, ხოლო 2018 წელს 50%-ით განისაზღვრა. მსგავსმა მარეგულირებელმა შეზღუდვებმა არაკვალიფიციური მოთამაშეების ბაზრიდან გასვლა განაპირობა. შედეგად, ბაზარზე დარჩენილი კვალიფიციური მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პირობებში, 2021 წლიდან დაწყებულმა პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებამ და სხვა ფაქტორებმა განაპირობა მომგებიანობის ზრდა, რის შემდეგაც აღნიშნული მაჩვენებლები სტაბილურ დონეზე შენარჩუნდა. 2025 წელს სექტორის წმინდა მოგებამ 140 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო ROAA (აქტივების მომგებიანობა) და ROAE (კაპიტალის მომგებიანობა) მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 6,8% და 18,9% შეადგინა.

სექტორის უკუგება კაპიტალზე ბოლო პერიოდში 18%-ის ფარგლებში მერყეობს.

### მომგებიანობა



ბიზნეს

მოდელი და

სტრატეგია

# 14 ბიზნეს მოდელი და სტრატეგია



მიკრობანკის ლიცენზიის მიღების შემდეგ, ემბისი მუშაობის ახალ, ჰიბრიდულ მოდელზე გადავიდა. ჩვენი მთავარი ამოცანაა შევინარჩუნოთ სისწრაფე და მოქნილობა, რაც ყოველთვის წარმოადგენდა კომპანიის მთავარ ღირებულებას, და პარალელურად უზრუნველყოთ საბანკო სექტორისთვის დამახასიათებელი სანდოობა, სიმყარე და პროდუქტების მრავალფეროვნება.

2025 წელს ემბისიმ სტრატეგიულ დონეზე მიიღო გადაწყვეტილება, ჩამოყალიბდეს ადამიანზე ცენტრირებულ კომპანიად, რომელიც მაქსიმალურად არის მორგებული მომხმარებლის საჭიროებებზე. კომპანიისთვის ყოველთვის პრიორიტეტული იყო, ახლა კი სტრატეგიულ ამოცანად იქცა ის, რომ თითოეული მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მაღალი ხარისხის საბანკო მომსახურება - ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე, მაქსიმალურად მორგებული, მოქნილი პირობებით.

სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია თანამშრომლების პროფესიული განვითარება, ცოდნაში ინვესტირება და მათთვის საინტერესო კარიერული შესაძლებლობების მხარდაჭერა, ასევე კორპორაციული სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა. ამასთან, კომპანია ცდილობს სანდო პარტნიორობა გაუწიოს პარტნიორებსა და ინვესტორებს.

ემბისი აცნობიერებს მის ზეგავლენას გარემოზე, საზოგადოებაზე, თანამშრომლებზე, პარტნიორებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე და აქტიურად ცდილობს ბიზნეს საქმიანობის შედეგად მაქსიმალურად გაზარდოს დადებითი ზეგავლენა და მინიმუმამდე შეამციროს ნებისმიერი უარყოფითი გავლენა.

საოპერაციო ეფექტურობის ამაღლებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით, ემბისიში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა. თვისობრივად დაიხვეწა კომპანიის საოპერაციო მოდელი, რაც სათავო ოფისსა და სერვისცენტრებს შორის ფუნქციების რაციონალურ განაწილებას გულისხმობს. ცვლილების მიზანი პროცესების მაქსიმალური სტანდარტიზაცია და მომსახურების ცენტრების ადმინისტრაციული დატვირთვისგან გათავისუფლება გახლდათ, რათა გუნდს დარჩეს მეტი რესურსი მომხმარებელთან უშუალო ურთიერთობისთვის.

## ამ მიმართულებით გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

**პროცესების ცენტრალიზაცია:** გარკვეული საოპერაციო ფუნქციები სრულად გადავიდა ცენტრალურ ბექ-ოფისში, რამაც უზრუნველყო ერთიანი სტანდარტის დანერგვა, შეცდომების მინიმუმამდე დაყვანა და ფრონტ-ხაზის თანამშრომელთა ფოკუსირება უშუალოდ მომხმარებელზე.

**ავტორიზაციის ოპტიმალური დელეგირება:** პროცესების ცენტრალიზაციის მიუხედავად, სერვისცენტრების მმართველ რგოლს შეუნარჩუნდა და გაუძლიერდა გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

ამ ორი მიდგომის სინთეზმა კომპანიას მისცა საშუალება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი ჰქონდეს მკაცრი შიდა კონტროლი, ხოლო მეორე მხრივ, შეინარჩუნოს სისწრაფე და მოქნილობა მომსახურებისას.

# 14 ბიზნეს მოდელი და სტრატეგია

## სერვისცენტრების მმართველი რგოლის გაძლიერება

ორგანიზაციის მასშტაბების ზრდამ დღის წესრიგში მომსახურების ცენტრების მართვის რგოლის გაძლიერების საჭიროება დააყენა. 2025 წელს ემბისიმ მიიღო გადაწყვეტილება, მნიშვნელოვნად გაეზარდა რეგიონული მენეჯერების გუნდი (ორიდან ექვს წევრამდე), რაც კომპანიას საშუალებას აძლევს, უფრო ეფექტურად მართოს საოპერაციო პროცესები და მყისიერად უპასუხოთ ლოკალურ გამოწვევებს.

### რეგიონული მენეჯერების ფუნქცია გასცდა მხოლოდ ზედამხედველობას და რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება მოიცავს:

- **მენტორობა და ცოდნის გაზიარება:** რეგიონული მენეჯერები წარმოადგენენ ხიდს სათავო ოფისსა და სერვისცენტრებს შორის. მათი ჩართულობით, ნებისმიერი სიახლე - იქნება ეს ახალი პროდუქტი თუ პროცედურული ცვლილება - ოპერატიულად და ზუსტად ინერგება ფილიალების დონეზე.
- **უშუალო ჩართულობა სამუშაო პროცესში:** რეგიონული მენეჯერები დროის ძირითად ნაწილს უშუალოდ მომსახურების ოფისებში ატარებენ, რაც გვეხმარება, რეალურ დროში დავინახოთ და აღმოვფხვრათ ხარვეზები.
- **ხარისხის კონტროლი და ანალიზი:** რეგიონული მენეჯერების გუნდი უზრუნველყოფს მომსახურების სტანდარტების მუდმივ მონიტორინგს. მონაცემების სიღრმისეული ანალიზი კი საშუალებას გვაძლევს, სერვისი კიდევ უფრო დავხვეწოთ და მოვარგოთ მომხმარებლის მოლოდინებს.

სერვისცენტრების მმართველი რგოლის გაძლიერება ემსახურება ემბისის მთავარ მიზანს - ყველა ფილიალში, გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, მომხმარებელმა მიიღოს თანაბრად მაღალი, პროფესიონალური და სწრაფი მომსახურება.

## რისკების მართვის სისტემის გაძლიერება და კონტროლის მექანიზმები

2025 წელს ემბისიმ საკრედიტო რისკების მართვის სტრუქტურის რეფორმა განახორციელა, რაც აქტივების ხარისხის მაქსიმალურ დაცვასა და გადაწყვეტილების მიღების ობიექტურობას ისახავს მიზნად.

### მთავარი სტრუქტურული ცვლილებები მოიცავს შემდეგს:

- **რისკების დიფერენცირებული მართვა:** ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, ერთმანეთისგან გაიმიჯნა ბიზნესისა და ავტოსესხების რისკების კომიტეტები. აღნიშნული სეპარაცია საშუალებას გვაძლევს, თითოეული სეგმენტი მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ინდიკატორებით შევაფასოთ, რაც პირდაპირ აისახება პორტფელის მდგრადობასა და ხარისხზე.
- **შემოსავლების შეფასების ჯგუფი:** შეიქმნა სრულიად ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელიც მსესხებლის ფინანსური მდგომარეობისა და შემოსავლების დამოუკიდებელ ანალიზს ახორციელებს. რისკების კომიტეტი სესხის მოცულობის შესახებ გადაწყვეტილებას სწორედ ამ ჯგუფის ობიექტურ შეფასებაზე დაყრდნობით იღებს. აღნიშნული მიდგომა სრულად გამოირიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და მნიშვნელოვნად ზრდის ფინანსური ანალიზის სიზუსტეს.
- **შეფასების ფუნქციის ცენტრალიზაცია:** უძრავი ქონების შეფასების პროცესის ცენტრალიზაციამ უზრუნველყო ერთიანი სტანდარტის დამკვიდრება მთელი ქსელის მასშტაბით. ცენტრალიზებული მოდელი იძლევა გარანტიას, რომ უზრუნველყოფის საგნის შეფასება არის მიუკერძოებელი, ობიექტური და რეალურ საბაზრო მონაცემებს ეყრდნობა.

ამ მექანიზმების ერთობლიობამ შექმნა მრავალსაფეხურიანი კონტროლის სისტემა, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს საკრედიტო რისკებს და კომპანიის გრძელვადიან სტაბილურობას უზრუნველყოფს.

## სერვისცენტრების სტრუქტურული რეფორმა და ფუნქციების გამიჯვნა

2025 წელს სერვისცენტრებში განხორციელდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმა, რაც მიზნად ისახავს მომსახურების სისწრაფის გაზრდასა და გუნდის წევრების სპეციალიზაციის დავინროებას.

### ამ მიმართულებით გადადგმული ძირითადი ნაბიჯებია:

- ოპერატორის პოზიციის დანერგვა - 2025 წლის დასაწყისში თითოეულ ფილიალში მხოლოდ ერთი ოპერატორი იყო წარმოდგენილი, წლის ბოლოსთვის კი, მათმა რაოდენობამ დატვირთვის შესაბამისად მოიმატა.

# 14 ბიზნეს მოდელი და სტრატეგია

• მოხდა საკრედიტო ექსპერტებისა და ოპერატორების ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა. ექსპერტები სრულად განთავისუფლდნენ ავტოსესხების მომსახურებისგან, რამაც მათ საშუალება მისცა, მთელი რესურსი მიემართათ ბიზნეს და სამომხმარებლო სეგმენტის მიმართულებით.

რეფორმის შედეგად კომპანიამ მიიღო უფრო მოქნილი სტრუქტურა, სადაც თითოეული რგოლი თავის სპეციფიკურ ამოცანაზეა ფოკუსირებული. ეს კი, საბოლოო ჯამში, ამცირებს კლიენტის ლოდინის დროს და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

## დისტანციური გაყიდვების ჯგუფის განვითარება

ემბისისათვის პრიორიტეტულია დისტანციური გაყიდვების ჯგუფის გაძლიერება. აღნიშნული გუნდი უზრუნველყოფს ონლაინ პლატფორმებიდან შემოსული ნაკადების ეფექტურ მართვას, კლიენტებისთვის მაღალი ხარისხის კონსულტაციასა და შემდგომ მომსახურებას. 2026 წლიდან ჯგუფის არეალი ფართოვდება და საკრედიტო პროდუქტების გარდა, არასაკრედიტო მიმართულების მომხმარებლების მომსახურებაც ემატება.

ამ მიმართულებით 2026 წლიდან იგეგმება მართვის მოდელის ცვლილება და პროცესის სრული ცენტრალიზაცია. თუ ამჟამად დისტანციური გაყიდვების სპეციალისტები სხვადასხვა სერვისცენტრებში არიან გადანაწილებულები, მომავალი წლიდან მათი საქმიანობა ცენტრალიზებულად წარიმართება.

## ფოკუსი მცირე ბიზნესსა და სარკისების ხელმისაწვდომობაზე

როგორც მიკრობანკი, ჩვენს სტრატეგიულ პრიორიტეტად მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას მივიჩნევთ. ამ მიმართულებით, გასულ წელს დაფინანსების ლიმიტი 100,000-დან 300,000 ლარამდე გავზარდეთ, კომპანიის სამომავლო გეგმა კი ამ ზღვრის ეტაპობრივი ზრდაა 1 მილიონ ლარამდე. კომერციული ბანკებისგან და ბაზარზე მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმრავლესობისგან განსხვავებით, ემბისი იქნება კონცენტრირებული უშუალოდ მცირე და საშუალო მენარმეებზე და აქტიურად იმუშავებს იმაზე, რომ კომპანიის შეთავაზებები იყოს უშუალოდ ამ ჯგუფის ინტერესებზე მორგებული, მათთვის საჭირო და მისაღები.

მცირე მენარმეების მხარდაჭერისა და ფინანსური სერვისების მაქსიმალური ხელმისაწვდომობის სტრატეგიას ეფუძნება კომპანიის გეოგრაფიული ექსპანსიის გეგმაც.

გვეგმავთ, რომ მცირე და საშუალო მენარმეების პულსზე გვეჭიროს ხელი და ნაკლები ბიუროკრატიით, ნაკლებ დროში, თუმცა მაღალი საბანკო სტანდარტის, სანდო, მრავალფეროვანი და ხარისხიანი მომსახურება შევთავაზოთ მათ.

ემბისისათვის ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობა უცვლელ პრიორიტეტად რჩება. კომპანიის მიზანია, მომხმარებელს შეუქმნას არჩევანის თავისუფლება: მიიღოს სრულყოფილი მომსახურება როგორც თანამედროვე ციფრული არხების მეშვეობით, ისე ფიზიკურ სერვისცენტრებში - მათთვის მოსახერხებელ ლოკაციებზე.

დღეისათვის ემბისი საქართველოს 8 რეგიონში 18 სერვისცენტრით არის წარმოდგენილი. საანგარიშო წელს თბილისის ქსელს კიდევ ერთი მომსახურების ცენტრი დაემატა. პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობს ციფრული არხების განვითარება - მუშაობა ონლაინ და იმეილ ბანკზე გადამწყვეტ ფაზაშია. 2026 წლის განმავლობაში ორივე პლატფორმა ეტაპობრივად ჩაეშვება ექსპლუატაციაში, რაც კომპანიის განვითარების მთავარ სტრატეგიას - ციფრულ ხელმისაწვდომობას უპასუხებს.

## ციფრული ტრანსფორმაცია და დისტანციური მომსახურების სტრატეგია

ემბისის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს საყრდენს ციფრული ეკოსისტემის შექმნა წარმოადგენს. ჩვენი მიზანია, მომხმარებელს შევთავაზოთ სრულფასოვანი ფინანსური გამოცდილება ფიზიკური ბარიერების გარეშე, სადაც ნებისმიერი სერვისის მიღება შესაძლებელია დისტანციურად, მაღალი ტექნოლოგიური სტანდარტების დაცვით.

## გადაწყვეტილების მიღების ავტომატიზებული სისტემა

2025 წელს ემბისიმ მონაცემთა ანალიზის ავტომატიზებული სისტემა დაანერგა, რომელიც სპეციალურად არაუზრუნველყოფილი აგრო სესხების სეგმენტისთვის შეიქმნა. აღნიშნული ტექნოლოგია კომპანიას საშუალებას აძლევს, ფუნდამენტურად შეცვალოს ფერმერებთან მუშაობის სპეციფიკა და უზრუნველყოს ფინანსებზე სწრაფი წვდომა, რაც ხშირად გადამწყვეტია სეზონური სამუშაოების შეუფერხებლად შესრულებისთვის.

სისტემის დაანერგვამ კომპანიას რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა მოუტანა, მათ შორის: მყისიერი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა ადგილზე, უშუალოდ მეურნეობაში ვიზიტისას, პროცესის 15-20 წუთამდე

# 14 ბიზნეს მოდელი და სტრატეგია

შემცირება და სპეციალური ალგორითმის დახმარებით ადამიანური შეცდომის რისკის მინიმუმამდე დაყვანა.

პროექტის წარმატებამ საფუძველი ჩაუყარა გადაწყვეტილების მიღების პროცესების სრულ ტრანსფორმაციას, რის გამოც სისტემა მიიღებს მასშტაბურ ხასიათს და ეტაპობრივად დაინერგება კომპანიის სხვა პროდუქტებშიც, მათ შორის უპირველესად ავტოსესხების მიმართულებით.

## დისტანციური იდენტიფიკაცია

დღეისათვის დისტანციური იდენტიფიკაციის სერვისი კრიტიკულად მნიშვნელოვანია ავტოსესხების მიმართულებით, სადაც მომხმარებელი სრულ ციფრულ ციკლს გადის: განაცხადის შევსებიდან - სესხის გაცემის მომენტამდე. ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელს შეუძლია ყველა ეტაპი დისტანციურად გაიაროს, რაც ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი და კომფორტული გადაწყვეტილებაა.

პარალელურად, აღნიშნული სერვისი ხელმისაწვდომია ნებისმიერი სხვა პროდუქტით დაინტერესებული მომხმარებლისთვისაც და ითვალისწინებს საკრედიტო შესაძლებლობების დისტანციურად გადამოწმების საშუალებას.

ამ ეტაპზეც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ფუნქციონალის შემდეგი მიმართულებებით გაფართოებაზე: სრულად დისტანციური ონბორდინგი ონლაინ ბანკში, ანგარიშის დისტანციური გახსნა და იმეილ ბანკინგი.

## საერთაშორისო ნდობა და დაფინანსების დივერსიფიკირებადი მოდელი

ემბისის ბიზნესმოდელის მდგრადობას დაფინანსების წყაროების მაღალი დივერსიფიკაცია და კაპიტალის ბაზარზე აქტიური პოზიციონირება განაპირობებს.


### დღეისათვის კომპანია ფინანსურ რესურსებს შემდეგი ძირითადი არხებიდან მოიზიდავს:

- **საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები (45.34%)** - დაფინანსების ყველაზე მსხვილი წილი კაპიტალის ბაზარზე განთავსებულ ბონდებზე მოდის, რაც ხაზს უსვამს ინვესტორთა მაღალ ნდობას კომპანიის მიმართ.
- **საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები (40.89%)**: მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს საერთაშორისო ინსტიტუციური ინვესტორებისგან მოზიდული სახსრები, რაც მართვის სისტემების გამჭვირვალობისა და მაღალი რეიტინგის დასტურია.
- **ფიზიკური და იურიდიული პირები (11.52%)**: დაფინანსების სტრუქტურაში სტაბილური ადგილი უკავია ადგილობრივი წყაროებიდან მოზიდულ კაპიტალს.
- **დეპოზიტები (2.25%)**: მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ანაბრების წილი მცირეა, კომპანიის სტრატეგიული გეგმა სწორედ ამ მიმართულების თვისობრივ ზრდას ითვალისწინებს.

მიკრობანკის სტატუსით ოპერირება კომპანიას საშუალებას მოსცემს, საცალო დეპოზიტები დაფინანსების ერთ-ერთ წამყვან და სტრატეგიულ ინსტრუმენტად აქციოს. რესურსების ამგვარი გადანაწილება კიდევ უფრო გააძლიერებს ემბისის ფინანსურ სტაბილურობას და შექმნის მყარ საფუძველს სამომავლო მასშტაბური ზრდისთვის.

ძირითადი  
შედეგების  
მიმოხილვა

# 15 ძირითადი შედეგების მიმოხილვა



2025 წელი, როგორც მიკრობანკის სტატუსით ოპერირების პირველი წელი, ემბისისთვის მნიშვნელოვანი სიახლეებითა და გამოწვევებით იყო სავსე. კომპანიამ წარმატებით განახორციელა საქმიანობა ახალი სტატუსით. როგორც პირველი მიკრობანკი საქართველოში, ეს მოვლენა მნიშვნელოვან პრეცედენტს ქმნის მთლიანად ბაზრისთვის, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს სექტორის დივერსიფიკაციასა და ფინანსურ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის გაძლიერებას.

მიუხედავად ახალი სტატუსით ოპერირებასთან დაკავშირებული გამოწვევებისა, 2025 წლის ბოლოს კომპანიის მთლიანმა სასესხო პორტფელმა ბოლო წლებისთვის უპრეცედენტო, 28%-იანი ზრდა აჩვენა და 153.2 მლნ ლარი შეადგინა. ზრდის ტემპის დაჩქარება მნიშვნელოვნად განაპირობა ახალი ლიცენზიით მიღებულმა დამატებითმა შესაძლებლობებმა - კერძოდ, თითოეულ მსესხებელზე დაკრედიტების ზღვრის გაზრდამ.

თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსით ემბისი მაქსიმუმ 100,000 ლარამდე სესხებს გასცემდა, როგორც მიკრობანკს, მას საშუალება მიეცა დაკრედიტების ლიმიტი 1,000,000 ლარამდე გაეზარდა. ამ ცვლილებამ კომპანიას შესაძლებლობა მისცა, ერთის მხრივ, შესულიყო უფრო მსხვილი სესხების ბაზარზე, ხოლო, მეორეს მხრივ, შეენარჩუნებინა ის მომხმარებლები, რომელთა ფინანსური მოთხოვნაც 100,000 ლარს აჭარბებდა.

ამჟამად ემბისი საქართველოს მასშტაბით 18 სერვისცენტრითაა წარმოდგენილი. სწორედ ქსელის ეფექტიანი ფუნქციონირებაა ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი, რამაც საანგარიშო პერიოდში სასესხო პორტფელის ზრდა განაპირობა.

ამასთან, 7%-ით გაიზარდა აქტიურ მსესხებელთა რაოდენობაც და 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით 9,900-ს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა საერთო რაოდენობის 70%-ს მომსახურებას რეგიონული სერვისცენტრები უწევენ.

<p><b>ლ 153,239 მლნ (+28%)</b></p> <p>სასესხო პორტფელი</p>	<p><b>9,915 (+7%)</b></p> <p>აქტიური მსესხებლები</p>	<p><b>70%</b></p> <p>რეგიონული სერვის ცენტრების წილი</p>
--	--	--

მოზიდული სახსრების მოცულობის მატების შედეგად, 2025 წლის ბოლოს ემბისის მთლიანი ვალდებულებები 25%-ით გაიზარდა და 165,024 მილიონი ლარი შეადგინა. კომპანიამ წარმატებით შეძლო ახალი სესხების მოზიდვა კონკურენტულ ფასში, როგორც უცხოურ ვალუტაში, ასევე ლარში.

2025 წლის განმავლობაში, „ანარმოე საქართველოს“ კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ემბისიმ საქართველოს საფონდო ბირჟაზე 60 მილიონი ლარის მოცულობის ორწლიანი ობლიგაციები განათავსა. ემისია „თიბისი კაპიტალის“ მხარდაჭერით განხორციელდა და კომპანიისთვის რიგით მეოთხე იყო.

# 15 ძირითადი შედეგების მიმოხილვა

ობლიგაციები ადგილობრივმა კომერციულმა ბანკებმა შეიძინეს. აღსანიშნავია, რომ ამ ემისიის ფარგლებში ემისიის ახალი ინვესტორი - საქართველოს საპენსიო ფონდი შემოუერთდა. ეს საპენსიო ფონდის მხრიდან მიკრობანკებთან პარტნიორობის დაწყების პირველი პრეცედენტია. კომპანიის ახალი პარტნიორი გახდა სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-იც, რომელმაც ასევე შეიძინა ემისიის ობლიგაციები.

ობლიგაციების წარმატებულმა გამოშვებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კომპანიის ლიკვიდურობის პოზიცია: მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები დარეფინანსირდა შედარებით გრძელვადიანი რესურსით. გარდა ამისა, ამ პროცესმა დადებითი გავლენა იქონია დაგირავებული აქტივების კოეფიციენტის მატერიალურ შემცირებაზე.



გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპანიის მთლიანი კაპიტალი. ზრდამ 23% შეადგინა, რაც 2025 წელს გაუმჯობესებული მომგებიანობის მაჩვენებლითაა განპირობებული. ემისიის აკუმულირებულმა მოგებამ 5.5 მილიონი ლარი შეადგინა.

ემისიის წლებია აქტიურად თანამშრომლობს წამყვან ევროპულ სარეიტინგო კომპანია - Scope Ratings-თან. 2024 წლის ბოლოს ორგანიზაციამ საკრედიტო რეიტინგი B-დან B+-მდე გაიუმჯობესა, 2025 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი წარმატებით შეინარჩუნა.

Scope Ratings-ის განმარტებით, ემისიის მკაცრი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით მუდმივად ადასტურებს საკუთარ ფინანსურ სტაბილურობას. კომპანიის რისკების მართვის სისტემა სრულად შეესაბამება იმ მარეგულირებელ მოთხოვნებსა და ჩარჩოს, რომლებიც საქართველოს ბაზარზე მოქმედი ბანკებისთვისაა დაწესებული.

კომპანიის ძირითადი მიმართულება მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაა, რაც სრულად შეესაბამება მიკრობანკების მანდატს. აღნიშნული მანდატის თანახმად, მიკრობანკის სასესხო პორტფელის არანაკლებ 70% სწორედ ბიზნესის დაკრედიტებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

ინვესტიციები  
ურთიერთობა და  
დაფინანსება

# 16 ინვესტორებთან ურთიერთობა და დაფინანსება



2025 წელი ემბისისთვის გამორჩეული იყო საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით. საანგარიშო პერიოდში კომპანიამ არაერთი სტრატეგიული პარტნიორი შეიძინა და მოიზიდა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები. ამავე წელს განხორციელდა ობლიგაციების წარმატებული განთავსება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ინვესტორთა ნდობას კომპანიის მიმართ.

ბემაღნიშნული მიმართულებით, ემბისის აქტივობების გაფართოებას საფუძველი ჩაუყარა 2024 წელს ინვესტორებთან ურთიერთობის ჯგუფის ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბებამ. რეფორმის შედეგად, 2025 წელს შესაძლებელი გახდა პარტნიორთა ქსელის ზრდა, არსებული კავშირების გაღრმავება და პოზიტიური შედეგების მიღწევა.

საანგარიშო პერიოდში ემბისიმ მნიშვნელოვნად გაზარდა მოზიდული სახსრების ვადიანობა. თუ 2024 წლამდე საერთაშორისო პარტნიორებისა და ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხების მაქსიმალური ვადა 2 წელს შეადგენდა, 2025 წელს კომპანიამ ადგილობრივი ბანკებიდან 5-წლიანი რესურსები მოიზიდა, საერთაშორისო პარტნიორებისგან მიღებული ყველა სესხის ვადიანობა კი 3 წელს აღემატება.

ამავდროულად, კომპანიამ წარმატებით შეძლო როგორც ახალი ინვესტიციების მოზიდვა, ისე არსებული ვალდებულებების დაფარვა ან მათი ახალი რესურსით რეფინანსირება.

2025 წელს საერთაშორისო პარტნიორებისგან მოზიდულმა სახსრებმა ჯამურად 54 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ორჯერ მეტია. ამასთანავე, 2025 წელს ემბისიმ ახალი საერთაშორისო პარტნიორი - INECOBANK შეიძინა, რომლისგანაც მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი მოიზიდა.

2025 წლის განმავლობაში, „ანარმოე საქართველოში“ კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ემბისიმ საქართველოს საფონდო ბირჟაზე ჯამში 60 მილიონი ლარის მოცულობის ორწლიანი ობლიგაციები განათავსა. აღნიშნული ემისია კომპანიისთვის რიგით მეოთხე გახლდათ.

ობლიგაციების შექმნა ძირითადად ადგილობრივი კომერციული ბანკების მხრიდან მოხდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ემისიის ფარგლებში ემბისის ინვესტორი საქართველოს საპენსიო ფონდი გახდა, რაც საპენსიო ფონდის მხრიდან მიკრობანკებთან პარტნიორობის დაწყების პირველი პრეცედენტია. გარდა ამისა, ემბისის პარტნიორთა რიგებს შეუერთდა სადაზღვევო კომპანია „იმედი L“, რომელმაც ასევე შეიძინა კომპანიის ობლიგაციები.

ეროვნულ ვალუტაში ფინანსური რესურსების მოზიდვა ემბისისთვის სტრატეგიული პრიორიტეტია, რაც სავალუტო რისკების მინიმუმამდე შემცირებას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს კომპანიამ ლარში უფრო მეტი მოცულობის რესურსი მოიზიდა, ვიდრე უცხოურ ვალუტაში. კერძოდ, ეროვნულ ვალუტაში მოზიდული სახსრების საერთო მოცულობამ 28.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც საერთაშორისო პარტნიორებისგან მიღებული მთლიანი ინვესტიციების 53%-ია.

ემბისი წლებია აქტიურად თანამშრომლობს წამყვან ევროპულ სარეიტინგო კომპანია - Scope Ratings-თან. 2024 წლის ბოლოს ორგანიზაციამ საკრედიტო რეიტინგი B-დან B+-მდე გაიუმჯობესა, 2025 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი წარმატებით შეინარჩუნა.

Scope Ratings-ის განმარტებით, ემბისი მკაცრი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით მუდმივად ადასტურებს

# 16 ინვესტორებთან ურთიერთობა და დაფინანსება

საკუთარ ფინანსურ სტაბილურობას. კომპანიის რისკების მართვის სისტემა სრულად შეესაბამება იმ მარეგულირებელ მოთხოვნებსა და ჩარჩოს, რომლებიც საქართველოს ბაზარზე მოქმედი ბანკებისთვისაა დაწესებული.

ემბისის მიზანია, კიდევ უფრო განამტკიცოს სტაბილური, მდგრადი და განვითარებაზე ორიენტირებული პარტნიორული ურთიერთობები როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებთან.

## ადგილობრივი ფინანსური პარტნიორები



## საერთაშორისო ფინანსური პარტნიორები



**€ 54,4 მლნ**

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოზიდული ფულადი სახსრები

**€ 15,2 მლნ**


ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოზიდული ფულადი სახსრები

**€ 2,9 მლნ**

დეპოზიტები

**€ 60 მლნ**

საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები



- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოზიდული ფულადი სახსრები
- ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოზიდული ფულადი სახსრები
- დეპოზიტები
- საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები

ციფრული

ტრანსფორმაცია  
და ინფორმაციული  
ტექნოლოგიები

# 17 ციფრული ტრანსფორმაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიები



2025 წელს ემბისიში აქტიურად მიმდინარეობდა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით სტრატეგიული ინიციატივების განხორციელება. ტექნოლოგიური პროგრესი კომპანიისთვის კვლავ რჩება უმთავრეს პრიორიტეტად და პირდაპირპროპორციულად აისახება საოპერაციო ეფექტიანობის ზრდასა და მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესებაზე.

გასული წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ციფრული პროდუქტებისა და სერვისების განვითარებას, რაც მიზნად ისახავს მომხმარებელთათვის დისტანციური მომსახურების არხების გაფართოებასა და ხელმისაწვდომობის გაზრდას.

პარალელურად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ინფორმაციული ტექნოლოგიების გუნდის ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით. კერძოდ, მოხდა პროექტების მართვის (PM), ბიზნესანალიზის (BA) და ხარისხის უზრუნველყოფის (QA) ფუნქციების ოპტიმიზაცია. აღნიშნული სტრუქტურული გაუმჯობესება უზრუნველყოფს მიმდინარე და დაგეგმილი სტრატეგიული ინიციატივების ეფექტიან რეალიზაციას.

2025 წელი ემბისისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა დისტანციური მომსახურების განვითარების კუთხით. კომპანიამ დაიწყო აქტიური მუშაობა ისეთი ტექნოლოგიური ეკოსისტემის ფორმირებაზე, რომელიც მომხმარებელს სრულად დისტანციურ გამოცდილებას შესთავაზებს - დაწყებული ციფრული ონბორდინგითა და ანგარიშის გახსნით, დასრულებული საკრედიტო თუ არასაკრედიტო პროდუქტებით სარგებლობით.

## ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვა და ციფრული პროდუქტები

2025 წლის პირველ ნახევარში დასრულდა სქორინგის აპლიკაციის შექმნა და ტესტირება აგრო მიმართულებით. აღნიშნული სისტემა სქორინგ მოდელზე დაყრდნობით უზრუნველყოფს სესხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის ავტომატიზაციას. წლის მეორე ნახევრიდან აპლიკაცია ხელმისაწვდომი გახდა „ფრონტ ოფისის“ თანამშრომლებისთვის, როგორც გადაწყვეტილების მიღების ეფექტური ინსტრუმენტი. ამასთან, წლის განმავლობაში გაგრძელდა სქორინგ სისტემის დახვეწა - აგრო მიმართულებასთან ერთად დაიწყო მუშაობა სხვა სასესხო პროდუქტების მიმართულებით. 2026 წლისთვის დაგეგმილია სქორინგ სისტემაში მინიმუმ ერთი დამატებითი სასესხო პროდუქტის ინტეგრაცია.

2025 წელს დაიწყო ონლაინ ბანკის ვებ-აპლიკაციის განვითარება, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ციფრული არხების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს. აპლიკაციის საპილოტე რეჟიმში გაშვება დაგეგმილია 2026 წლის პირველ ნახევარში, ხოლო ფართო მასშტაბზე ხელმისაწვდომობა - 2026 წლის ბოლომდე. შემდგომ ეტაპზე დაგეგმილია მობაილ ბანკის აპლიკაციის განვითარება, რაც კიდევ უფრო გააფართოებს მომხმარებლებისთვის დისტანციური მომსახურების მიღების შესაძლებლობებს.

ონლაინ ბანკის პარალელურად, 2025 წელს დაიწყო იმეილბანკინგის პროდუქტის შექმნა, რომელიც მომხმარებლებს მისცემს საბანკო პროდუქტებზე დისტანციური მომსახურების მიღების შესაძლებლობას. დაგეგმილია პროდუქტის საპილოტე რეჟიმში გაშვება 2026 წლის მეორე კვარტლიდან, ხოლო მასიურად კლიენტებისათვის მისი შეთავაზება მოხდება 2026 წლის მეორე ნახევრიდან.

ამასთან, 2025 წელს განხორციელდა საბარათე პროდუქტებთან დაკავშირებული უსაფრთხოების სისტემის შექმნა და დანერგვა, რაც წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას საბარათე პროდუქტების განვითარებისთვის. აღნიშნული მიმართულებით 2026 წელს დაგეგმილია საერთაშორისო ბარათების გამოშვების პროექტის დაწყება.

# 17 ციფრული ტრანსფორმაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიები

წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ქორ საბანკო სისტემების ბიზნეს საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანა. განხორციელდა ანგარიშის გახსნასთან და საბანკო გადარიცხვებთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების გაუმჯობესება, ასევე უზრუნველყოფილი იქნა სისტემების შესაბამისობა ეროვნული ბანკის RTGS სისტემის მოთხოვნებთან. ამასთან, შეიქმნა და საპილოტე რეჟიმში გაეშვა პირველი საანაბრე პროდუქტები.

2025 წელს დაიწყო მოკვლევის ეტაპი და მიღებული იქნა გადაწყვეტილება სესხების მართვის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვნად გაამარტივებს და დააჩქარებს ფრონტ ოფისის თანამშრომლების მუშაობას. აღნიშნულ პროექტზე აქტიური მუშაობა დაგეგმილია 2026 წლიდან.

ინოვაციური მიმართულების ფარგლებში დაიწყო HR ასისტენტის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, რომელიც დაფუძნებულია ხელოვნურ ინტელექტზე და წარმოადგენს თანამშრომლებთან კომუნიკაციის ციფრულ არხს. აღნიშნული პლატფორმა თანამშრომლებს საშუალებას მისცემს სწრაფად მიიღონ ინფორმაცია შიდა რეგულაციებსა და სამუშაო ინსტრუქციებზე. პროექტის საპილოტე გაშვება დაგეგმილია 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოს, ხოლო შემდგომ წლებში იგეგმება მისი ეტაპობრივი განვითარება და გაფართოება, მათ შორის მომხმარებელთან ურთიერთობის პროცესებში გამოყენების მიმართულებით.

2025 წელს დაიწყო და 2026 წლის მეორე ნახევრიდან იგეგმება კომპანიის განახლებული ვებ-გვერდის ბაზარზე გატანაც.

## ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უსაფრთხოება

2025 წელს დასრულდა სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის ძირითადი ეტაპი, რომელიც დაიწყო 2024 წელს. განახლებული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს კომპანიისთვის სტაბილურ, უსაფრთხო და მასშტაბირებად საოპერაციო გარემოს, რაც წარმოადგენს ციფრული ტრანსფორმაციის შემდგომი ინიციატივების წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვან საფუძველს.

ინფრასტრუქტურის განვითარება გაგრძელდება მომდევნო პერიოდშიც, ბიზნეს მოთხოვნებისა და ტექნოლოგიური საჭიროებების შესაბამისად.

## კიბერუსაფრთხოების გაძლიერება

2025 წელს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო კიბერუსაფრთხოების მიმართულებას. გაძლიერდა ინფორმაციული უსაფრთხოების ჯგუფი და განხორციელდა თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და დანერგვა, რაც მიზნად ისახავს კომპანიის ინფორმაციული აქტივების დაცულობის გაზრდას და კიბერ რისკების შემცირებას.

2025 წელს კიბერუსაფრთხოების გაძლიერების პროცესში გადამწყვეტი როლი ითამაშა SIEM (Security Information and Event Management) სისტემის დანერგვამ. აღნიშნული ტექნოლოგია წარმოადგენს კომპანიის ციფრული ინფრასტრუქტურის ცენტრალიზებულ „მართვის პულტს“, რომელიც რეალურ დროში აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას ყველა მოწყობილობიდან. SIEM-ის მეშვეობით, უსაფრთხოების ჯგუფს ეძლევა შესაძლებლობა, მყისიერად აღმოაჩინოს ფარული საფრთხეები და მოახდინოს მათზე ავტომატიზებული რეაგირება, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ინციდენტის მართვის დროს და უზრუნველყოფს უწყვეტ მონიტორინგს.

ინფორმაციული აქტივების დაცვის კუთხით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო DLP (Data Loss Prevention) სისტემის იმპლემენტაცია. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა სპეციალურად შეიქმნა კონფიდენციალური მონაცემების გაუთვლილად გავრეცხვის პრევენციისთვის, რაც ჩვენს შემთხვევაში მომხმარებელთა პერსონალური და საბანკო ინფორმაციის მარტივად დაცულობას ნიშნავს. DLP სისტემა მკაცრად აკონტროლებს მონაცემთა გადაადგილების ყველა არხს და ბლოკავს ნებისმიერ არასანქცირებულ მცდელობას, იქნება ეს ინფორმაციის ფოსტით გაგზავნა თუ გარე მოწყობილობებზე გადართვა, რითაც გამოირიცხება როგორც შემთხვევითი, ისე განზრახ გამოწვეული ზიანი.

ამ ორი სისტემის დანერგვა არა მხოლოდ ტექნიკურად აძლიერებს დაცვის მექანიზმებს, არამედ სრულ შესაბამისობაში მოჰყავს კომპანიის საქმიანობა საერთაშორისო სტანდარტებთან და მარეგულირებლის მოთხოვნებთან. ინვესტირება SIEM და DLP ტექნოლოგიებში არის მკაფიო დასტური იმისა, რომ ემბისისთვის პრიორიტეტულია ციფრული ნდობის შენარჩუნება და კიბერ-რისკების ეფექტური, თანამედროვე მართვა.

ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (ISMS) გაძლიერების პროცესში, 2025 წელს სრულად განახლდა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდა კომპანიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია. კერძოდ, მოხდა არსებული პოლიტიკებისა და სამუშაო ინსტრუქციების რევიზია ISO/IEC 27001 სტანდარტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის კიბერუსაფრთხოების ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით. დოკუმენტაციის

# 17 ციფრული ტრანსფორმაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიები

---

განახლება მიზნად ისახავს ინფორმაციული აქტივების მართვის პროცესების ფორმალიზებას, პასუხისმგებლობების მკაფიო განწესს და ისეთი მყარი სამართლებრივი საფუძვლის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს კიბერ-რისკების პრევენციასა და ინციდენტებზე მეთოდურ რეაგირებას ორგანიზაციის ყველა დონეზე.

ქსელური უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით განხორციელდა Firewall (ქსელური ფილტრის) სისტემების განახლება და ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების დამატება. ეს საშუალებას იძლევა ეფექტურად გაკონტროლდეს შემავალი და გამავალი ტრაფიკი, მოხდეს მავნე აქტივობების ფილტრაცია და გაძლიერდეს კომპანიის შიდა პერიმეტრის დაცვა გარე შეტევებისგან.

ემბისი მომავალშიც განაგრძობს ინვესტირებას კიბერუსაფრთხოების სისტემებისა და პროცესების განვითარებაში, რათა უზრუნველყოს რეგულაციებთან შესაბამისობა და მომხმარებელთა მონაცემების მაქსიმალური დაცვა.

ძირითადი

რისკები და

გაურკვევლობები

# 18 ძირითადი რისკები და გაურკვევლობები



მიკრობანკის მიერ იდენტიფიცირებულია და იმართება ყველა ის არსებითი რისკი, რომელიც შეიძლება გავლენას ახდენდეს ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციულ სტაბილურობასა და რეპუტაციაზე. რისკების იდენტიფიკაცია და მართვა ხორციელდება ერთიანი რისკების მართვის ჩარჩოს ფარგლებში.

## მიკრობანკი მართავს შემდეგ ძირითად რისკებს:

### საკრედიტო რისკი

ბანკის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკრედიტო რისკი წარმოადგენს მისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ძირითად რისკს. იგი გულისხმობს ფინანსური ტრანზაქციის ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად კონტრაგენტისათვის ფინანსური ზარალის მიყენების რისკს. საკრედიტო რისკის პოზიცია წარმოიქმნება ბანკის საკრედიტო ოპერაციების, ასევე პარტნიორებთან განხორციელებული სხვა ფინანსური ტრანზაქციების შედეგად, რაც განაპირობებს ფინანსური აქტივებისა და კრედიტთან დაკავშირებული გარებალანსური ვალდებულებების წარმოშობას. ცხადია, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს როგორც ბანკებისთვის, ისე საბანკო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოებისთვის. ბანკის საკრედიტო სტრატეგიის ქვაკუთხედს წარმოადგენს დივერსიფიცირებული და მომგებიანი საკრედიტო პორტფელის ფორმირება, ამასთანავე მისი მაქსიმალური ხარისხის შენარჩუნება.

### საოპერაციო რისკი

დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა არასათანადო ან წარუმატებელი შიდა პროცესების, ადამიანური შეცდომების, სისტემური ხარვეზების ან გარე მოვლენების შედეგად. ის ასევე მოიცავს თაღლითობის რისკებს, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების რისკებს. მიკრობანკი მუდმივად ახორციელებს ისეთი საოპერაციო რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და კომპონენტირებას, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სტრატეგიული მიზნებისა და საქმიანობის შესრულებაზე. საოპერაციო რისკების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად მიკრობანკში შემუშავდა RCSA მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სისუსტეები ადრეულ გამოვლენასა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას.

### შესაბამისობის რისკი

ფინანსური, სამართლებრივი ან რეპუტაციული ზიანის რისკი, რომელიც გამოწვეულია მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციების ან/და შიდა პოლიტიკებით დადგენილი სტანდარტების დარღვევით. აღნიშნული რისკი, მათ შორის მოიცავს AML/CFT რისკებს, მომხმარებელთა დაცვის მოთხოვნებს, ანგარიშებისა და გამჭვირვალობის რისკს. მიკრობანკში შესაბამისობის რისკის მართვა დაფუძნებულია დაცვის სამსახიან მოდელზე. შესაბამისობის ფუნქცია წარმოადგენს დაცვის მეორე ხაზის მნიშვნელოვან კომპონენტს და უზრუნველყოფს მიკრობანკის საქმიანობის შესაბამისობას როგორც შიდა, ისე მარეგულირებელ მოთხოვნებთან. მიკრობანკში შესაბამისობის რისკის მართვა ამცირებს სამართლებრივ და ფინანსური ზარალის ალბათობას და უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას.

### ფინანსური დანაშაულის რისკი

მიკრობანკისათვის ფინანსური, სამართლებრივი და რეპუტაციული ზიანის წარმოშობის რისკი, რომელიც უკავშირდება მიკრობანკის პროდუქტების, სერვისების, არხებისა და სისტემების გამოყენებას ფულის გათეთრების (Money Laundering), ტერორიზმის დაფინანსების (Terrorist Financing) ან სხვა ფინანსური დანაშაულების მიზნებისთვის. აღნიშნული რისკი განიხილება შესაბამისობის რისკის მნიშვნელოვან კომპონენტად და წარმოადგენს ერთ-ერთ

# 18 ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კრიტიკულ რისკს, რომლის არასათანადო მართვამ შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სანქციები, ლიცენზიის შეზღუდვა ან რეპუტაციული ზიანი. მიკრობანკში ML/TF რისკების შეფასება ხორციელდება რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით, რომელიც მათ შორის მოიცავს კლიენტისათვის რისკის მინიჭებას, ტრანზაქციების მონიტორინგს, სანქციების სერინინგს, საექვო ოპერაციების იდენტიფიკაციასა და ანგარიშგებას, რეგულარულ AML რისკის შეფასებას.

## კიბერრისკი

წარმოიქმნება დანაკარგის, ოპერაციული შეფერხების, მონაცემთა გაუონვის ან რეპუტაციული ზიანის წარმოშობის რისკს, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციული სისტემების, ქსელების, მონაცემთა ბაზებისა და ციფრული არხების წინააღმდეგ მიმართულ კიბერ შეტევებთან ან შიდა ტექნოლოგიურ ხარვეზებთან. მიკრობანკში კიბერრისკების შეფასება ხორციელდება სისტემური და უწყვეტი პროცესის ფარგლებში, ხოლო მართვა ეფუძნება უსაფრთხოების თანამედროვე და მარეგულირებელ სტანდარტებს. კიბერრისკი ინტეგრირებული არის საოპერაციო რისკის მართვის ჩარჩოში და წარმოადგენს დაცვის მესამე ხაზის მოდელის ყველა დონეზე მნიშვნელოვან კომპონენტს.

## ლიკვიდობის რისკი

წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის სტრუქტურაში არსებული შეუსაბამობებიდან. აღნიშნული შეუსაბამობა ქმნის რისკს იმისა, რომ მოზიდული სახსრების დაფარვის ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულების მომენტში მიკრობანკს არ აღმოაჩნდეს საკმარისი ლიკვიდური რესურსები. მიკრობანკში ლიკვიდობის რისკის მართვა მოიცავს ფულადი ნაკადების პროგნოზირებას, ლიკვიდური აქტივების ადეკვატური დონის შენარჩუნებას და საგანგებო დაფინანსების გეგმას.

## საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვალებადობის შედეგად, რაც გამოწვეულია საბაზრო ფასების მერყეობით. იგი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთების რისკს და სხვა საფასო რისკებს. საბაზრო რისკი გენერირდება ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებით, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ბაზარზე არსებულ ზოგად და სპეციფიკურ ცვლილებებთან, ისე საბაზრო ფასებისა და სავალუტო კურსების მერყეობის დონის ცვლილებებთან.

## სავალუტო რისკი

მიკრობანკი სრულად აცნობიერებს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული აქტივებისა და ვალდებულების გადაფასების შედეგად მიღებული შესაძლო დანაკარგების რისკს. სავალუტო რისკთან მიმართებაში მიკრობანკის სტრატეგია არ ჩაერთოს სპეკულაციურ ოპერაციებში ღია სავალუტო პოზიციების მეშვეობით. მიკრობანკისთვის სავალუტო რისკის ეფექტიანი მართვა უზრუნველყოფს კაპიტალის დაცულობის, ფინანსური სტაბილურობისა და კურსის მერყეობით გამოწვეული პოტენციური დანაკარგების მინიმიზაციას.

## საპროცენტო რისკი

მიკრობანკისათვის დამახასიათებელია ტრადიციული საბანკო საქმიანობით განპირობებული საპროცენტო რისკი, რომელიც უკავშირდება აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ვადიანობის შეუსაბამობებით გამოწვეულ გადაფასების რისკებს, რომელმაც შესაძლოა პირდაპირი გავლენა მოახდინოს შემოსავალსა და კაპიტალზე. საპროცენტო რისკის ეფექტიანი მართვა კრიტიკულია მიკრობანკის მომგებიანობის სტაბილურობისა და კაპიტალის დაცულობის უზრუნველსაყოფად.

## მაკროეკონომიკური რისკი

მაკროეკონომიკური რისკი წარმოადგენს მიკრობანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, კაპიტალის ადეკვატურობაზე და ოპერაციულ შედეგებზე უარყოფითი გავლენის რისკს, რომელიც გამოწვეულია მაკროეკონომიკური გარემოს ცვლილებით. აღნიშნული რისკი ასახავს გარე ფაქტორებს, რომლებიც ბანკის პირდაპირი კონტროლის ფარგლებს გარეთაა, თუმცა მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის რისკ-პროფილზე.

## ESG რისკი

ESG რისკები წარმოადგენს მიკრობანკისათვის ფინანსური, ოპერაციული და რეპუტაციული ზიანის წარმოშობის რისკს, რომელიც დაკავშირებულია გარემოსდაცვით (Environmental), სოციალურ (Social) და მმართველობით (Governance) ფაქტორებთან. მიკრობანკს საკუთარი საქმიანობით შესაძლოა პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენა ჰქონდეს საზოგადოებასა და გარემოზე, სადაც ის ოპერირებს. შესაბამისად, აქვს სოციალური და გარემოსდაცვითი რისკები, ასევე, დაკრედიტების პროცესში მიკრობანკის მიერ დაფინანსებული პროექტების საქმიანობით გარემოზე ან ადამიანებზე მიყენებული შესაძლო ზიანის რისკი.

როსკვიბის

მართვის

ჩარჩო

# 19 რისკების მართვის ჩარჩო



რისკების მართვის კომიტეტი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მიკრობანკში რისკების მართვის ჩარჩოს დამოუკიდებელ ზედამხედველობასა და ეფექტიანობის შეფასებას. კომიტეტის ძირითადი როლია უზრუნველყოს, რომ მიკრობანკის მიერ აღებული რისკები შეესაბამებოდეს განსაზღვრულ რისკის აპეტიტს, სტრატეგიულ მიზნებსა და კაპიტალის შესაძლებლობებს, როლო რისკების მართვის სისტემა იყოს ადეკვატური, ეფექტიანი და სრულად ინტეგრირებული მიკრობანკის საქმიანობაში.

## რისკების მართვის კომიტეტის მიზანია:

- რისკების მართვის სისტემის სტრატეგიული ზედამხედველობა;
- მიკრობანკის რისკის აპეტიტის განსაზღვრისა და შესრულების კონტროლის მხარდაჭერა;
- რისკების მართვის ჩარჩოს ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;
- კაპიტალისა და ლიკვიდობის ადეკვატურობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- მნიშვნელოვანი რისკების დროული იდენტიფიკაციისა და ესკალაციის უზრუნველყოფა;
- რისკების კულტურის გაძლიერება ორგანიზაციის ყველა დონეზე.

რისკების მართვის კომიტეტი მიკრობანკის მართვის სისტემაში წარმოადგენს კრიტიკულ რგოლს, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელ, ობიექტურ ხედვას რისკების მართვაზე და ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს დროულ, სრულ და სანდო ინფორმირებას მიკრობანკის რისკების შესახებ.

## რისკის მართვის კომიტეტის ძირითადი ფუნქციები და პასუხისმგებლობები:

- რისკის აპეტიტის ჩარჩოს განხილვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენა;
- რისკის აპეტიტის ბანკის სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობის შეფასება;
- რისკების მართვის პოლიტიკის, პროცედურებისა და მეთოდოლოგიების რეგულარული გადახედვა;
- კაპიტალის ადეკვატურობისა და ბუფერების შეფასება რისკების პროფილის გათვალისწინებით;
- საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის, საოპერაციო და შესაბამისობის რისკების რეგულარული განხილვა;
- პორტფელის ხარისხის, კონცენტრაციების და რისკის ტენდენციების ანალიზი;
- მნიშვნელოვანი რისკების კონცენტრაციების იდენტიფიკაცია და კონტროლი;
- დაცვის სამი ხაზის მოდელის ეფექტიანობის შეფასება;
- შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობის ზედამხედველობა;
- მნიშვნელოვანი კონტროლის სისუსტეების განხილვა და გამოსასწორებელი ღონისძიებების მონიტორინგი;
- მნიშვნელოვანი რისკის ინციდენტებისა და დანაკარგების განხილვა;
- ძირითადი მიზეზების ანალიზის შეფასება;
- პრევენციული და შემსუბუქებელი ღონისძიებების მონიტორინგი;
- რისკების შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგების განხილვა;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების მომზადება;
- საჭიროების შემთხვევაში რეგულატორთან კომუნიკაციის მხარდაჭერა.

# 19 რისკების მართვის ჩარჩო

## დაცვის სამი ხაზის სტრუქტურა

რისკების ეფექტიანი მართვის და კონტროლის უზრუნველსაყოფად, ბანკი იყენებს დაცვის სამი ხაზის მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის ნათელ გამიჯვნას და ეფექტურ ზედამხედველობას.



რისკების მართვის  
ორგანიზაციული  
სტრუქტურა და  
ძირითადი პრინციპები



მიკრობანკის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის ფინანსურ და არაფინანსურ რისკებთან, რომელთა ეფექტიანი იდენტიფიკაცია, შეფასება, მონიტორინგი და მართვა წარმოადგენს მიკრობანკის სტრატეგიისა და კორპორაციული მართვის მნიშვნელოვან ნაწილს. მიკრობანკი მოქმედებს წინასწარ განსაზღვრული რისკის აპეტიტის ფარგლებში, რომელიც დამტკიცებული არის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და მისი გადახედვა და განახლება ხორციელდება რეგულარულად.

მიკრობანკში დანერგილია რისკების მართვის ინტეგრირებული ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა არსებითი რისკის იდენტიფიკაციას, შეფასებას, მონიტორინგსა და ეფექტიან მართვას. აღნიშნული ჩარჩო ეფუძნება ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის პრინციპებსა და მარეგულირებელ მოთხოვნებს.

## მიკრობანკის რისკების მართვის სისტემის ძირითადი მიზნებია:

- ბანკის ფინანსური მდგრადობისა და კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველყოფა;
- პოტენციური ფინანსური და არაფინანსური დანაკარგების მინიმიზაცია;
- ბიზნესის ზრდის მხარდაჭერა კონტროლირებადი რისკის ფარგლებში;
- შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესება და გაძლიერება;
- მარეგულირებელ მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- რისკების ადრეული იდენტიფიკაცია და პრევენციული მართვა;
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესში რისკზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა.

მიკრობანკი რისკების მართვის პროცესში იყენებს როგორც რაოდენობრივი, ისე - ხარისხობრივი შეფასების მეთოდებს.

## რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით გამოიყენება სტრუქტურირებული და სისტემური მიდგომები, რომელიც მოიცავს:

- **იდენტიფიკაციას** - ახალი და არსებული რისკების დროულ გამოვლენას;
- **შეფასებას** - რისკების რაოდენობრივ და ხარისხობრივ ანალიზს;
- **მიტიგაციას** - შესაბამისი კონტროლებისა და ლიმიტების დანერგვას;
- **მონიტორინგს** - რისკების დინამიკისა და ლიმიტების დაცულობის მუდმივ კონტროლს;
- **ანგარიშგებას** - რისკების შესახებ რეგულარული და დროული ინფორმაციის მიწოდებას მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის.

რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის მნიშვნელოვან საფუძველს მიკრობანკში ქმნის „დაცვის სამი ხაზის მოდელი“, რომელიც წარმოადგენს შიდა კონტროლის საერთაშორისოდ აღიარებულ სტრუქტურას და უზრუნველყოფს ორგანიზაციაში პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას, კონტროლისა და დამოუკიდებელი

ზედამხედველობის გაძლიერებას. აღნიშნული მოდელის დანერგვით მიკრობანკში უზრუნველყოფილია რისკების მართვის ფუნქციის პასუხისმგებლობის გადანაწილება სხვადასხვა დონეზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს როგორც ოპერაციულ, ისე ფინანსურ და შესაბამისობის რისკებს. უზრუნველყოფს ბიზნესის სტაბილურობას, რისკების კონტროლს და გრძელვადიან სტაბილურ განვითარებას.

## მიკრობანკში „დაცვის სამი ხაზის“ მოდელის ძირითადი მიზნებია:

- რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა;
- ორგანიზაციაში რისკის მფლობელობის კულტურის ჩამოყალიბება;
- შიდა კონტროლის სისტემის გაძლიერება და კონტროლის ხარვეზების დროული გამოვლენა;
- დამოუკიდებელი ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
- რეგულატორულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვა;
- მიკრობანკის სტრატეგიული მიზნების მხარდაჭერა კონტროლირებადი რისკის ფარგლებში;
- ფინანსური დანაკარგების პრევენცია და მინიმიზაცია.

## დაცვის პირველი ხაზი (ბიზნეს ერთეულები):

დაცვის პირველი ხაზი არის რისკის მფლობელი და პასუხისმგებელი არის რისკის ყოველდღიურ მართვაზე. ის მოიცავს ყველა ბიზნეს და ოპერაციულ ერთეულს, რომლებიც უშუალოდ წარმოქმნიან და მართავენ რისკს ყოველდღიურ საქმიანობაში.

დაცვის პირველი ხაზის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს საკუთარი საქმიანობის ფარგლებში რისკების იდენტიფიკაციას, დადგენილი მეთოდოლოგიის ფარგლებში რისკების შეფასებას, პირველადი კონტროლების დანერგვასა და შესრულებას, დადგენილი ლიმიტებისა და პოლიტიკა-პროცედურების დაცვას, ინციდენტების დაფიქსირებას, RCSA პროცესში მონაწილეობას, ძირითადი რისკ ინდიკატორების პირველად მონიტორინგს, ახალი პროდუქტებისა და პროცესების რისკების პირველად შეფასებას.

## დაცვის მეორე ხაზი (რისკებისა და შესაბამისობის ფუნქცია):

დაცვის მეორე ხაზი უზრუნველყოფს, რომ მიკრობანკში რისკების მართვა ხორციელდებოდეს დადგენილი რისკის აპეტიტის ფარგლებსა და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. ის უზრუნველყოფს რისკების მართვის ჩარჩოს განვითარებას, მეთოდოლოგიურ მხარდაჭერასა და პირველი ხაზის დამოუკიდებელ ზედამხედველობას.

დაცვის მეორე ხაზის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას და განახლებას, რისკის აპეტიტის ფორმალიზაციასა და მონიტორინგს, რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის განსაზღვრას, ლიმიტების შემუშავებასა და მათი დაცვის კონტროლს, დაცვის პირველი ხაზის დამოუკიდებელ მონიტორინგსა და კონტროლს, რისკების ანგარიშგებების მომზადებას და მენეჯმენტისათვის/კომიტეტისათვის წარდგენას, რეგულაციებთან შესაბამისობის მონიტორინგს, ახალი პროდუქტებისა და პროცესების დამოუკიდებელ რისკ შეფასებას, მიკრობანკში რისკების კულტურის განვითარებას.

## დაცვის მესამე ხაზი (შიდა აუდიტი):

მიკრობანკში დაცვის მესამე ხაზი წარმოდგენილია შიდა აუდიტი ფუნქციით, რომელიც მოქმედებს დამოუკიდებლად, ობიექტურად და უზრუნველყოფს რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის შეფასებას.

დაცვის მესამე ხაზის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს რისკების მართვის ჩარჩოსა და კონტროლების ეფექტიანობის შეფასებას, პირველი და მეორე ხაზის საქმიანობის დამოუკიდებელ აუდიტს, შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეების იდენტიფიკაციას, რეკომენდაციების გაცემასა და შესრულების მონიტორინგს, აუდიტის შედეგების ანგარიშგებასა და სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტისთვის წარდგენას.

## მიკრობანკში დაცვის სამივე ხაზი მოქმედებს კოორდინირებულად, თუმცა დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით:

- დაცვის პირველი ხაზი არის რისკის მფლობელი და მართავს რისკს;
- მეორე ხაზი ადგენს წესებსა და აკონტროლებს მათ შესრულებას;
- მესამე ხაზი აფასებს და უზრუნველყოფს დამოუკიდებელ ანალიზს.

ინფორმაციის გაცვლა სამივე ხაზს შორის ხორციელდება რეგულარული ანგარიშგების, კომიტეტებისა და სხვა ინფორმაციის გაცვლის მექანიზმების მეშვეობით. აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს მიკრობანკის რისკების მართვის სისტემის გამჭვირვალობას, ეფექტიანობასა და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

### 2025 წელს განხორციელადელი მნიშვნელოვანი პროექტები რისკების კონტროლის და ფუნქციის გაძლიერების კუთხით

- 2025 წლის განმავლობაში ბანკმა განახორციელა რიგი მნიშვნელოვანი ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს რისკების მართვის ჩარჩოს გაძლიერებას, შიდა კონტროლის ეფექტიანობის ზრდას და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას:
- გაუმჯობესდა საოპერაციო რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასების მეთოდოლოგია, შემუშავდა RCSA სტანდარტი;
- გაძლიერდა კიბერრისკების მართვის მექანიზმები, მათ შორის ინფორმაციული უსაფრთხოების კონტროლები, წვდომის მართვის სისტემები და ინციდენტებზე რეაგირების პროცესები;
- გაუმჯობესდა მონაცემთა ხარისხის მართვის პროცესები;
- გაძლიერდა რისკზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა;
- გაძლიერდა საკრედიტო პორტფელის მონიტორინგისა და ადრეული გაფრთხილების მექანიზმები;
- განხორციელდა საკრედიტო კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების სტანდარტიზაცია, ავტომატიზაცია და ცენტრალიზაცია;
- განახლდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის მეთოდოლოგია და შესაბამისობაში მოვიდა საბანკო სტანდარტთან.

### რისკების ეფექტიანი მართვის მიდგომა

რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით გამოიყენება სტრუქტურირებული და სისტემური მიდგომები, რომელიც მოიცავს:



კორპორაციული

მართვა

# 21 კორპორაციული მართვა



ემბისის, როგორც მიკრობანკის, კორპორაციული მართვის სისტემა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, პრინციპებსა და საუკეთესო პრაქტიკას. კომპანიის ეფექტიანი ფუნქციონირება უზრუნველყოფილია მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურით, რომელიც მოიცავს:

- პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას;
- ანგარიშვალდებულებისა და უფლებამოსილების სწორ დელეგირებას;
- ჯანსაღ ადმინისტრირებას;
- რისკების ეფექტიან იდენტიფიცირებას, მართვასა და ანგარიშგებას;
- ადეკვატურ შიდა კონტროლს;
- ფინანსურ დაგეგმვასა და ანგარიშგებას;
- შესაბამის პოლიტიკა-პროცედურებს.

მიკრობანკის მართვის სტაბილურობისა და გამართული ფუნქციონირებისთვის მკაცრად არის გამიჯნული უფლებამოსილებები საზედამხედველო, აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებს შორის. ამ ორგანოების ფუნქციები სრულად უზრუნველყოფს კომპანიის მართვას და გამორიცხავს დუბლირებას.

მიკრობანკის მართვის ძირითადი ორგანოებია:

- აქციონერთა საერთო კრება;
- სამეთვალყურეო საბჭო;
- დირექტორატი.

## აქციონერთა საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭო

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს ემბისის უმაღლეს მმართველობით ორგანოს. აქციონერთა უფლებები განსაზღვრულია კომპანიის წესდებით და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მიკრობანკის საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც არჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები ემბისის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე, ხელმძღვანელობს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას და ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე.

მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია 3 წევრისგან, რომელთა შორის ორი დამოუკიდებელი წევრია და ისინი ხელმძღვანელობენ აუდიტისა და რისკების კომიტეტებს. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის 33%-ს (ერთი წევრი) ქალი წარმოადგენს.

სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი პასუხისმგებლობაა აქციონერთა უფლებებისა და მათი კაპიტალის დაცვა, ასევე მიკრობანკის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა. ამასთან, საბჭოს ფუნქციებში შედის

# 21 კორპორაციული მართვა

ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება, აღმასრულებელ ორგანოებზე ზედამხედველობის განხორციელება და ჯანსაღი კორპორაციული გარემოს დამყარებასა და შენარჩუნებაში მათი როლის მუდმივი შეფასება.

საბჭო ასევე უზრუნველყოფს ეფექტიანი შიდა კონტროლისა და რისკების მართვისთვის სათანადო პირობების არსებობას, ახორციელებს მიკრობანკის ანაზღაურების სისტემის მონიტორინგს, ამტკიცებს განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას, რისკ-აპეტიტს, ბიუჯეტს და აკონტროლებს მათ შესრულებას.

სამეთვალყურეო საბჭოს ქვეშ ფუნქციონირებს აუდიტისა და რისკების კომიტეტები.

**აუდიტის კომიტეტი:** აუდიტის კომიტეტის მთავარი მიზანია ორგანიზაციის გამართული, გამჭვირვალე და ეფექტიანი შიდა კონტროლის, რისკების მართვისა და ანგარიშგების სისტემების უზრუნველყოფა, რაც ემსახურება დაინტერესებული მხარეების ნდობის გაძლიერებას და ზედამხედველობით ფუნქციებში სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტიან მხარდაჭერას.

კომიტეტი ახორციელებს შიდა კონტროლის სისტემის მონიტორინგს და უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობის კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შესაბამისობას. აუდიტის კომიტეტის ფუნქციონირება სამეთვალყურეო საბჭოს საშუალებას აძლევს მიიღოს სანდო ინფორმაცია, რაც საფუძვლად უდევს ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას.

**რისკების კომიტეტი:** რისკების კომიტეტის უმთავრესი მისიაა ორგანიზაციაში რისკზე დაფუძნებული მართვის კულტურის დამკვიდრება და რისკების მართვის ინტეგრირებული, მდგრადი და ეფექტიანი სისტემების უზრუნველყოფა. სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერის მიზნით, კომიტეტი ზედამხედველობს და აფასებს შემდეგ საკვანძო ასპექტებს: ორგანიზაციის რისკ-აპეტიტის განსაზღვრა; რისკის მართვის მარეგულირებელი პოლიტიკების, სტანდარტებისა და პროცედურების სტრუქტურული გამართულობა და ადეკვატურობა; კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიების ეფექტიანობა; საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო, რეპუტაციული, ESG და სხვა სახის რისკების ეფექტიანი მართვის პროცესები; რისკებთან დაკავშირებული ანგარიშგების სისტემის გამართულობა, მათ შორის პილარ 3-ის ანგარიშგების პროცესი და ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) საკითხების ანგარიშგების მონიტორინგი.

## ღირებულებები

ემბისის ყოველდღიურ ოპერაციულ მართვას ხელმძღვანელობს დირექტორატი, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის სტრატეგიული მიზნების წარმატებით განხორციელებაზე. დირექტორატის თითოეული წევრი კოლექტიურად აგებს პასუხს მიკრობანკის საქმიანობაზე სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავს დირექტორატის შემადგენლობას.

სხვა საკვანძო ფუნქციებთან ერთად, დირექტორატი უზრუნველყოფს ორგანიზაციის ბიზნეს სტრატეგიების აღსრულებას, ქმნის და ამკვიდრებს ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის ეფექტიან სისტემებსა და რისკის კულტურას, ზედამხედველობს ბიზნეს პროცესებსა და შიდა კონტროლს, ასევე რეგულარულად აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

გარდა ამისა, დირექტორატი პასუხისმგებელია მიკრობანკის თანამშრომელთა ფუნქციური მოვალეობების განაწილებაზე და ეფექტიანი მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, რაც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტებს კომპანიის შიგნით.

მიკრობანკის დირექტორატი შედგება 4 წევრისგან - გენერალური დირექტორი, კომერციული დირექტორი, საოპერაციო დირექტორი და რისკების დირექტორი. დირექტორატის წევრების დანიშვნის წესს, ვადებსა და საქმიანობის რეგლამენტს საქართველოს კანონმდებლობა, მიკრობანკის წესდება და დირექტორატის დებულება ადგენს.

ემბისი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მმართველობით ორგანოებში გენდერულ და ეთნიკურ მრავალფეროვნებას, ასევე სამუშაო გამოცდილების მრავალფეროვნებას. კომპანია თანამშრომლებისა და ხელმძღვანელი პოზიციების დაკომპლექტებას ახორციელებს სამუშაო გამოცდილების, განათლების, პროფესიული ცოდნისა და საჭირო უნარების გათვალისწინებით. დირექტორატის შემადგენლობაში გენდერული თანასწორობა დაცულია, რაც გამოიხატება ოთხ წევრს შორის ორი ქალის (50%) წარმომადგენლობით.

## მდგრადი განვითარების მენეჯმენტი

ემბისიში კორპორაციული მდგრადობისა და ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) საკითხების ეფექტური იმპლემენტაციის, ასევე მიკრობანკის გრძელვადიან ბიზნეს სტრატეგიასთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს.

კორპორაციული მდგრადობის სტრატეგიის, შესაბამისი მიდგომებისა და პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და მართვა, ისევე როგორც დაფინანსების პროცესში სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების ეფექტური მართვა, მიკრობანკის დირექტორატის კომპეტენციაში შედის.

ამასთან, კორპორაციულ მდგრადობასთან და ESG ფაქტორებთან დაკავშირებული საკითხების ყოველდღიურ მართვას უზრუნველყოფს საოპერაციო დეპარტამენტი, კერძოდ - ადამიანური კაპიტალის მართვისა და კორპორაციული მდგრადობის განყოფილება, რომელიც ანგარიშვალდებულა საოპერაციო დირექტორის წინაშე.

# 21 კორპორაციული მართვა

მდგრად განვითარებასა და ESG საკითხებთან დაკავშირებული მართვის პრინციპები და სტრუქტურა ასახულია ბანკის შიდა დოკუმენტებსა და მართვის პროცედურაში. აღნიშნული დოკუმენტების ჩამონათვალი მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით: ეთიკის კოდექსი, ESG პოლიტიკა, დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა, პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა, ფინანსური დანაშაულის და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, რისკების მართვის პოლიტიკა და სხვა.

მიმდინარე წელს მიკრობანკი აგრძელებს მდგრადი მენეჯმენტის მიმართულებით სტრატეგიულ განვითარებას და ორიენტირებულია საქმიანობის უწყვეტ გაუმჯობესებასა და ეფექტიანობის ზრდაზე. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში, კომპანიამ შეიმუშავა ESG პოლიტიკა და ESG რისკების მართვის ჩარჩო, რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ფაქტორების სისტემურ ინტეგრაციას ყოველდღიურ ოპერაციებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

## ეთიკის კოდექსი

2025 წელს ემბისიმ განაახლა ეთიკის კოდექსი, რაც წარმოადგენს ჩვენი კორპორაციული მართვისა და პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის კიდევ უფრო გაძლიერების მნიშვნელოვან ეტაპს. განახლებული კოდექსი უკეთ ასახავს თანამედროვე ბიზნეს გარემოს მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს, ამავდროულად ამყარებს კომპანიის ძირითად ღირებულებებსა და ქცევის პრინციპებს.

ეთიკის კოდექსი მოიცავს კომპანიის საქმიანობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან მიმართულებებს და განსაზღვრავს როგორც ზოგად ეთიკურ პრინციპებს, ისე ბანკის ურთიერთობის სტანდარტებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან. დოკუმენტი არეგულირებს მომხმარებლებთან, თანამშრომლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის წესებს, ასევე მოიცავს ინტერესთა კონფლიქტის მართვისა და ინფორმირების ვალდებულებას, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალე, პასუხისმგებლიან და ეთიკურ საბანკო საქმიანობას.

## ფინანსური დანაშაულის და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა

2025 წელს მიკრობანკმა განაახლა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის პოლიტიკა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს კომპანიის შესაბამისობის ჩარჩოს და რისკების მართვის პრაქტიკას. განახლებული პოლიტიკა ასახავს მოქმედი რეგულაციების მოთხოვნებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას, უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებას და თანამშრომელთა პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრას აღნიშნული მიმართულებით.

პოლიტიკა პირდაპირ უკავშირდება მიკრობანკის კორპორაციული მდგრადობის პრინციპებს. კერძოდ, პასუხისმგებლიანი მმართველობის გაძლიერებას, რისკების ეფექტიან მართვასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. ძლიერი შესაბამისობის სისტემა ხელს უწყობს ფინანსური დანაშაულის პრევენციას, ზრდის დაინტერესებულ მხარეების ნდობას და უზრუნველყოფს კომპანიის გრძელვადიან მდგრადობასა და რეპუტაციული რისკების მინიმიზაციას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესში. განახლებული შესაბამისობის ჩარჩო უზრუნველყოფს ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას, ამყარებს შიდა კონტროლის მექანიზმებს და ემნის საფუძველს მდგრადი, სანდო და საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი საბანკო ინსტიტუტის ჩამოყალიბებისთვის.

სამეთვალყურეო

საბჭოს

წევრები

# 22 სამეთვალყურეო საბჭოს წევრები



## მურმან ამბროლაძე

სამეთვალყურეო საბჭოს  
თავმჯდომარე

**მურმან ამბროლაძე** 2014 წლიდან გახლავთ ემბისის პარტნიორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2025 წლიდან კი იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას.

1993 წელს, გია პეტრიაშვილთან ერთად, დააფუძნა კომერციული ბანკი - სს "ბაზისბანკი" და წლების მანძილზე იყო მისი დირექტორი, ხოლო 2008-2012 წლებში გახლდათ სს "ბაზისბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

2017 წლიდან დღემდე მურმან ამბროლაძე სს "თავისუფალი აკადემიის ჯგუფი"-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორია.

მურმან ამბროლაძეს აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის და დოქტორის ხარისხი მათემატიკის განხრით და არის რიგი სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. მან სამეცნიერო და პედაგოგიური კარიერა თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე დაიწყო.



## ვალერი ჩეჩელაშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს  
დამოუკიდებელი წევრი,  
აუდიტის კომიტეტის  
თავმჯდომარე

**ვალერი ჩეჩელაშვილს** დამთავრებული აქვს კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით და აქვს საერთაშორისო ეკონომიკის დოქტორის ხარისხი.

1989 წლიდან იგი დიპლომატიური ურთიერთობების სფეროში მოღვაწეობდა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ეკავა სხვადასხვა თანამდებობები - მეორე მდივნიდან მინისტრის მოადგილის პოზიციამდე. 2005 წელს ვალერი ჩეჩელაშვილი იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ხოლო 2005-2007 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა.

1994-1998 წლებში იგი იყო საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში, ხოლო 2004-2005 წლებში რუსეთის ფედერაციაში. 2000-2004 წლებში ჩეჩელაშვილს ეკავა გენერალური მდივნის პოზიცია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში, ხოლო 2007-2016 წლებში - გენერალური მდივნის პოზიცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციაში.

2000-2004 წლებში, როგორც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალური მდივანი, იგი მონაწილეობდა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მისი აფილირებული ორგანო) მმართველთა საბჭოს მუშაობაში.

2002-2012 წლებში იყო სს "ბაზისბანკის" აქციონერი.

2016 წლიდან ვალერი ჩეჩელაშვილი არის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

იგი დაჯილდოებულია სხვადასხვა მედლითა და ორდენით და ასევე, გახლავთ რამდენიმე ათეული პუბლიკაციის ავტორი რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

## 22 სამეთვალყურეო საბჭოს წევრები



### სოფიო ცხვიტავა

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, რისკების კომიტეტის თავმჯდომარე

**სოფიო ცხვიტავა** 2025 წლიდან არის მიკრობანკი ემბისის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და რისკების კომიტეტის თავმჯდომარე. მას აქვს მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება საბანკო და მიკროსაფინანსო სექტორში.

სოფიოს 2005 წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის მიმართულებით, ხოლო 2007 წელს მიიღო ამავე უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი.

2006 წლიდან მუშაობდა „პროკრედიტ ბანკში“ სხვადასხვა პოზიციებზე, 2007 წლიდან იკავებდა AML ოფიცრის პოზიციას, ხოლო 2010 წლიდან უფროსი AML ოფიცრის პოზიციას, 2013-2018 წლებში კი იყო ამავე ბანკის გამოცდილი აუდიტორი.

2018 წელს სოფიო ცხვიტავა შეუერთდა ემბისის გუნდს და 2019 წლის მარტამდე ეკავა საოპერაციო რისკების მენეჯერის თანამდებობა.

2019-2024 წლებში სოფიო ცხვიტავა იკავებდა FINCA Network Support B.V-ის ფინკა ჯგუფის შესაბამისობის ოფიცრის თანამდებობას, ხოლო 2024 წლიდან დღემდე არის ფინკა ჯგუფის შესაბამისობის უფროსი მენეჯერი.

სოფიო ცხვიტავას აქვს მრავალწლიანი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება საბანკო და მიკროსაფინანსო სფეროს მიმართულებით. 2023 წლიდან დღემდე იგი აქტიურად უწევს საკონსულტაციო მომსახურებას სხვადასხვა ორგანიზაციებს.

დირექტორთა

საბჭოს

წევრები

# 23 დირექტორთა საბჭოს წევრები



**გია პეტრიაშვილი**  
გენერალური დირექტორი

**გია პეტრიაშვილმა**, საბანკო სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების შემდეგ, 2012 წელს დააფუძნა კომპანია ემბისი და დაარსების დღიდან იკავებს გენერალური დირექტორის პოზიციას.

1993 წლიდან გია პეტრიაშვილი გახლდათ სს "ბაზისბანკის" დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს პირველი თავმჯდომარე, ხოლო 1998-2012 წლებში იყო ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

1999 წლიდან იგი საქმიანობდა OPIC-ის მიერ დაფინანსებულ საინვესტიციო ფონდში - "კავკასიის ფონდი", 1999-2002 წლებში კი, გახლდათ LLC Caucasus Advisors-ის თბილისის ოფისის დირექტორი.

2002-2005 წლებში გია პეტრიაშვილი იყო შპს "გასართობი ცენტრი მეიდანის" დამფუძნებელი და მმართველი დირექტორი. 2006-2009 წლებში კი დააფუძნა და ხელმძღვანელობდა უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანიას - შპს "სოლო-ლაკი ინვესტორს".

გია პეტრიაშვილს აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრისა და დოქტორის აკადემიურ ხარისხი თეორიული და მათემატიკური ფიზიკის განხრით. სამეცნიერო კარიერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერ-მკვლევრის პოზიციაზე დაიწყო. ასევე იყო მოსკოვის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული მეცნიერ-თანამშრომელი.



**ეთერ ჩაჩიბაია**  
საოპერაციო დირექტორი

2013 წლიდან **ეთერ ჩაჩიბაია** ემბისის გუნდის წევრია. მისი, როგორც საოპერაციო დირექტორის საკურატორო სფეროში შედის შემდეგი მიმართულებები: ცენტრალიზებული ბექ-ოფისი, სატელეფონო და დისტანციური მომსახურება, მარკეტინგი, ადამიანური რესურსების მართვა, პიარი და კორპორაციული მდგრადობა, ლოჯისტიკა და შესყიდვები, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მომხმარებელთა გამოცდილების მართვის მიმართულებები.

მრავალი წლის განმავლობაში ეთერ ჩაჩიბაია დასაქმებული იყო სს "ბაზისბანკსა" და "HSBC-ბანკ საქართველოში" - საოპერაციო, საცალო და კორპორაციული მომსახურებების მიმართულებით.

გარდა ამისა, სხვადასხვა დროს იგი საქმიანობდა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და არასამთავრობო სექტორში.

ეთერ ჩაჩიბაიას აქვს საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი.

# 23 დირექტორთა საბჭოს წევრები



**გიორგი ღვალაძე**  
კომერციული დირექტორი

**გიორგი ღვალაძე** ემბისიში 2013 წლიდან მუშაობს. კარიერის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საკრედიტო და არასაკრედიტო გაყიდვების დეპარტამენტებს, ხოლო ამჟამად იკავებს კომერციული დირექტორის პოზიციას. მას საბანკო-საფინანსო სფეროში მუშაობის მრავალწლიანი და მრავალმხრივი გამოცდილება აქვს.

გიორგი ღვალაძემ კარიერა 2005 წელს „ბანკ კონსტანტაში“, დაკრედიტების ექსპერტის პოზიციაზე დაიწყო. პროფესიული ზრდის პარალელურად კი სხვადასხვა მენეჯერული პოზიცია ეკავა, მათ შორის გახლდათ ფილიალის მმართველი, ასევე მინი და მინი-აგრო მიმართულებების ხელმძღვანელი.

გიორგი ღვალაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და აქვს ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკის მიმართულებით. 2006 წელს კავკასიის აკადემიურ ცენტრში (CAC) მიენიჭა ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხი. ამჟამად არის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების (MBA) პროგრამის მაგისტრანტი.



**ნინო დევდარიანი**  
რისკების დირექტორი

**ნინო დევდარიანი** ემბისიში რისკების დირექტორის პოზიციას 2016 წლიდან იკავებს და ხელმძღვანელობს როგორც საკრედიტო და საოპერაციო რისკების, ასევე AML (ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა), იურიდიულ განყოფილებებს, ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების, ფინანსური ანგარიშგების, ინვესტიციების ურთიერთობის, პრობლემური აქტივების მართვისა, უძრავი ქონების შეფასების მიმართულებებს.

2008-2013 წლებში იგი საქართველოს ეროვნულ ბანკში მუშაობდა საერთაშორისო რეზერვების რისკების მართვისა და კონტროლის განხრით, 2014-2016 წლებში კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროში საქმიანობდა სახელმწიფო ვალის რისკების მართვის მიმართულებით.

ნინო დევდარიანს აქვს Williams College-ის (აშშ) მაგისტრის ხარისხი (2014) და არის მსოფლიო ბანკის სტიპენდიატი.

სამეთვალყურეო

საბჭოსა და

აქციონერთა

პრობის საკითხები

# 24 სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა კრების საკითხები



## აქციონერთა საერთო კრება

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს კომპანიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს, რომლის უფლებამოსილებები, მანდატი, როლი და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით.

აქციონერთა საერთო კრების მოწვევა ხდება მიკრობანკის წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად და წარიმართება წლიური (მორიგი) საერთო კრების ან რიგგარეშე საერთო კრების სახით. აქციონერებს მოწვევას უგზავნის მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრი) ან/და სამეთვალყურეო საბჭოს დავალებით, გენერალური დირექტორი. აქციონერებს ეცნობებათ კრების ჩატარების დრო, ადგილი და განსახილველი საკითხები (დღის წესრიგი). აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, აქციონერთა ინფორმირებულობასა და მათ აქტიურ ჩართულობას კომპანიის მართვაში.

საერთო კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრაში მონაწილე აქციონერთა ხმათა უბრალო უმრავლესობით, გარდა წესდებითა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საერთო კრებას უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, მიკრობანკის წესდებით განსაზღვრული პირი. საერთო კრებას ესწრებიან და მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ მიკრობანკის დირექტორატის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, რაც უზრუნველყოფს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ყოველმხრივ განხილვასა და კონსტრუქციულ თანამშრომლობას.

## აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება, მათ შორის და არა მხოლოდ:

- სამეთვალყურეო საბჭოს (კომიტეტების) წევრების დანიშვნა და სამეთვალყურეო საბჭოს (კომიტეტების) ბიუჯეტის განსაზღვრა;
- კაპიტალის გაზრდის/შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- წესდებაში ცვლილებების შეტანა და ახალი რედაქციის დამტკიცება;
- მიკრობანკის რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით, აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება.

# 24 სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა კრების საკითხები

2025 წლის განმავლობაში ჩატარდა აქციონერთა ერთი მორიგი და ორი რიგგარეშე საერთო კრება. საერთო კრებებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კომპანიის მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესსა და მიკრობანკების მარეგულირებელი ჩარჩოს შიდაორგანიზაციულ დონეზე იმპლემენტაციის საკითხს. ამასთან, 2025 წელს შეიცვალა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, განხორციელდა პოლიტიკა-პროცედურების განახლება და მიკრობანკების მარეგულირებელ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანა - მათ შორის, რისკების მართვისა და სხვა საკვანძო ფუნქციების მიმართულებით. საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს კომპანიის შესაბამისობას საზედამხედველო მოთხოვნებთან და ქმნის საფუძველს მისი მდგრადი განვითარებისათვის.

## სამეთვალყურეო საბჭო

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა ეფუძნება ადეკვატური ზედამხედველობის, მკაფიო ანგარიშვალდებულებისა და ფუნქციონალური პასუხისმგებლობების ოპტიმალურ განაწილებას. კომპანიის რისკების მართვის უმაღლეს რგოლს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია ბანკის კორპორაციულ მართვაზე, რისკების ძლიერი მართვის სისტემის შექმნასა და შენარჩუნებაზე. ის განსაზღვრავს კომპანიის ღირებულებებს, ხედვას, მისიას, ორგანიზაციული სტრუქტურას და უზრუნველყოფს, რომ კომპანია იმართებოდეს სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით. სამეთვალყურეო საბჭო მოქმედებს მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტების, კომპანიის წესდებისა და „სამეთვალყურეო საბჭოს“ დებულების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის გამჭვირვალობას, დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას.

კომპანიის „სამეთვალყურეო საბჭოს“ დებულებით მკაფიოდ არის განსაზღვრული სამეთვალყურეო საბჭოს მანდატი, საქმიანობის მიმართულებები, ფუნქცია-მოვალეობები, საბჭოს წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვები და სხვა საკვანძო საკითხები. წინამდებარე დებულებით, მათ შორის, რეგულირდება ინტერესთა კონფლიქტის მართვის მექანიზმები, საბჭოს წევრების დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურები და ანგარიშგების წესი.

საბჭო მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის მდგრად განვითარებაში, რისკების მართვის სისტემის ზედამხედველობასა და შიდა კონტროლის ეფექტიანობის შეფასებაში. ის აქტიურად თანამშრომლობს დირექტორატთან და შესაბამისობის ფუნქციასთან და უზრუნველყოფს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, კომპანიის გრძელვადიანი ბიზნეს სტრატეგიების გათვალისწინებით.

მიკრობანკების მარეგულირებელ ჩარჩოსთან და საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, 2025 წელს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილება განხორციელდა.

### 2025 წლის 17 იანვრიდან, სამეთვალყურეო საბჭო შემდგენილად დაკომპლექტდა:

- **მურმან ამბროლაძე** - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
- **ვალერი ჩიჩელაშვილი** - უფროსი დამოუკიდებელი წევრი, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე
- **სოფიო ცხვიტავა** - დამოუკიდებელი წევრი, რისკების კომიტეტის თავმჯდომარე

სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია განსხვავებული უნარ-ჩვევების, პროფესიული გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე წევრებით, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მიკრობანკის საქმიანობის სპეციფიკისა და მარეგულირებელი გარემოს გათვალისწინებით და უზრუნველყოფს მოსაზრებათა მრავალფეროვნებასა და რისკების მართვის ეფექტურ ექსპერტიზას. ამასთან, დამოუკიდებელი წევრების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ობიექტური ზედამხედველობისა და რისკების ადეკვატური შეფასების უზრუნველსაყოფად.

სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი გამოირჩევა მაღალკვალიფიციურობითა და მრავალწლიანი, წარმატებული პროფესიული გამოცდილებით ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: ფინანსები, შიდა კონტროლი და აუდიტი, საბანკო და არასაბანკო სექტორი, სტრატეგიული მართვა, კორპორაციული მმართველობა, კრიზისების მართვა თუ რეპუტაციული რისკების შეფასება. სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი გამოცდილება უზრუნველყოფს სტრატეგიული ზედამხედველობის მაღალ სტანდარტებს, რისკების მართვისა და მენეჯმენტის მხარდაჭერის მიმართულებით, რაც ხელს უწყობს კომპანიის გრძელვადიან და მდგრად განვითარებას.

სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს კომპანიის მასშტაბთან, ორგანიზაციულ სტრუქტურასა და რისკის პროფილთან სრულ თანხვედრაში მყოფი, ძლიერი და ეფექტიანი რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბება და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

# 24 სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა კრების საკითხები

## სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს შორისაა:

- კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრა;
- კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის, მათ შორის, როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა;
- რისკის კულტურის საუკეთესო პრაქტიკის წახალისება, თანამშრომელთა შორის ეფექტური კომუნიკაციის, კონსტრუქციული დისკუსიისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა;
- რისკების დირექტორთან და დირექტორატის სხვა წევრებთან თანამშრომლობის შედეგად, რისკის აპეტიტის განსაზღვრა;
- კომპანიის საქმიანობის კანონმდებლობასთან, მათ შორის, საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

სამეთვალყურეო საბჭო, მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად, სულ მცირე, კვარტალში ერთხელ, მართავს სხდომებს, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია, გაზარდოს შეხვედრების სიხშირე. სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები დოკუმენტირდება და სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მიეწოდება საქართველოს ეროვნულ ბანკს.

**2025 წლის მონაცემებით, სულ, ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 20 სხდომა, რაც მიუთითებს სამეთვალყურეო საბჭოს აქტიურ ჩართულობაზე კომპანიის საქმიანობის მართვასა და ზედამხედველობაში. საბჭოს მიერ განხილული საკითხები მოიცავდა როგორც საოპერაციო, ისე სტრატეგიულ მიმართულებებს, მათ შორის და არა მხოლოდ, ფინანსურ შედეგებს, რისკების მართვას და დირექტორატის საქმიანობის შეფასებას. მიღებული გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა კომპანიის გრძელვადიან სტრატეგიას, რისკების გააზრებულ მართვასა და მარეგულირებელ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.**

სამეთვალყურეო საბჭო მომავალშიც გააგრძელებს აქტიურ ჩართულობას კომპანიის სტრატეგიულ მართვასა და მიკრობანკის მდგრადი განვითარების, ფინანსური სტაბილურობისა და კორპორაციული მმართველობის მაღალი სტანდარტების შენარჩუნებაში.

## სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მიკრობანკში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან, შექმნილია აუდიტისა და რისკების მართვის კომიტეტები, რომელთა მანდატი, სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების წესი, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვები და საქმიანობის მიმართულებები განსაზღვრულია „აუდიტის კომიტეტისა“ და „რისკების მართვის კომიტეტის“ დებულებებით. კომიტეტების მიზანია საბჭოს მხარდაჭერა მის ზედამხედველობით ფუნქციაში, გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესება და კომპანიის საქმიანობის ეფექტიანი კონტროლის უზრუნველყოფა.


კომიტეტები დაკომპლექტებულია საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად. თითოეული კომიტეტი საქმიანობას ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული მანდატის ფარგლებში და რეგულარულად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშებსა და რეკომენდაციებს.

კომიტეტები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ და მიიღონ კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია მათთვის საჭირო ფორმატითა და სიხშირით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებლად შეხვდნენ შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციების წარმომადგენლებს, გარე აუდიტორებსა და კონსულტანტებს.

კომიტეტების სხდომები ტარდება, სულ მცირე, კვარტალში ერთხელ, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია შეხვედრების სიხშირის გაზრდა. სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები დოკუმენტირდება და მიეწოდება სამეთვალყურეო საბჭოს და საქართველოს ეროვნულ ბანკს.

# 24 სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა კრების საკითხები

სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა



კუდიტის

კომპიტი

# 25 აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სანდოობის, შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობისა და შიდა და გარე აუდიტის ფუნქციების ზედამხედველობაზე. კომიტეტი საქმიანობას ახორციელებს კომპანიის წესდების, „აუდიტის კომიტეტის“ დებულების, მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

აუდიტის კომიტეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კორპორაციული მმართველობის ხარისხის ამაღლებაში, ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფასა და კომპანიის საქმიანობის მარეგულირებელ მოთხოვნებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში. კომიტეტი უზრუნველყოფს შიდა აუდიტის დამოუკიდებლობას, გარე აუდიტორთან ეფექტიან ურთიერთობასა და ფინანსური ანგარიშგების პროცესის სათანადო მონიტორინგს.

აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებით, მათ შორის, დამოუკიდებელი წევრებით, რაც უზრუნველყოფს ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კომიტეტს ხელმძღვანელობს უფროსი დამოუკიდებელი წევრი, რაც შეესაბამება კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკას.

## 2025 წელს აუდიტის კომიტეტმა ჩაატარა ექვსი სხდომა, რომელთა ფარგლებშიც განხილული საკითხები და მიღებული ძირითადი გადაწყვეტილებები დაკავშირებული იყო ისეთ საკითხებთან, როგორებიცაა:

- **ფინანსური ანგარიშგება და გარე აუდიტი** - კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება, შეაფასა გარე აუდიტორის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და მათი შესრულების სტატუსები. ასევე, განხორციელდა 2025 და 2026 წლების ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების აუდიტისათვის გარე აუდიტორის შერჩევის პროცესის ზედამხედველობა და მისი დამოუკიდებლობის შეფასება. კომიტეტის მიერ განხილულ იქნა IT აუდიტისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს აუდიტის შედეგები, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია კომპანიის ტექნოლოგიური რისკების მართვისთვის.
- **შიდა აუდიტი და შიდა კონტროლი** - აუდიტის კომიტეტი აქტიურად არის ჩართული შიდა აუდიტის ფუნქციის ზედამხედველობაში. 2025 წლის განმავლობაში გამართულ სხდომებზე კომიტეტმა განიხილა შემდეგი საკითხები და დაამტკიცა ისეთი დოკუმენტები, როგორებიცაა:
  - შიდა აუდიტის სტრატეგიული და სამუშაო გეგმები;
  - შიდა აუდიტის საქმიანობის კვარტალური და წლიური ანგარიშები;
  - შიდა აუდიტის საქმიანობის შედეგები;
  - შიდა აუდიტის სამოქმედო რეგლამენტები (დებულება, სახელმძღვანელო და ეთიკის კოდექსი);
  - შიდა აუდიტის ბიუჯეტი, მათ შორის, საკადრო გეგმა, თანამშრომელთა ანაზღაურების ოდენობები და შესაბამისი კორექტივები;
  - შიდა და გარე აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის (Follow-up) შედეგები.ასევე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რისკებზე დაფუძნებული აუდიტის მიდგომის განვითარებას.
- **მარეგულირებადი მოთხოვნებთან შესაბამისობა** - აუდიტის კომიტეტმა 2025 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კომპანიის საქმიანობის შესაბამისობას მიკრობანკების მარეგულირებელ ჩარჩოსთან და საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან. ამ მიმართულებით განხორციელდა როგორც შიდა აუდიტის სამუშაო გეგმაში ცვლილებების შეტანა, მარეგულირებლის მოთხოვნების გათვალისწინებით, ასევე IT აუდიტისა და კიბერუსაფრთხოების შეფასებების შედეგების განხილვა და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა.

2025 წლის განმავლობაში აუდიტის კომიტეტი საქმიანობას ახორციელებდა პროფესიონალიზმის, დამოუკიდებლობისა და კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტების დაცვით. კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მიმართული იყო კომპანიის ფინანსური გამჭვირვალობის გაზრდისკენ, შიდა კონტროლის სისტემის გაძლიერებისა და რისკების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფისკენ.

# 25 აუდიტის კომიტეტი



## აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარის წერილი

ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

2025 წელი კომპანიისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა, რაც დაკავშირებული იყო მიკრობანკის ლიცენზიის მიღებასთან და კომპანიის ახალ ეტაპზე გადასვლასთან. აღნიშნულმა ტრანსფორმაციამ კიდევ უფრო გაზარდა კორპორაციული მმართველობის ხარისხის, სანდო ფინანსური ანგარიშგებისა და ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემების მნიშვნელობა.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობა კომპანიისთვის ყოველთვის პრიორიტეტს წარმოადგენდა, მიკრობანკად გარდაქმნის პროცესში ეს მიმართულება კიდევ უფრო გაძლიერდა და სისტემური ხასიათი შეიძინა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, აუდიტის კომიტეტმა დანერგა განახლებული მიდგომები და პრაქტიკები, რაც ფინანსური ანგარიშგებისა და კონტროლის პროცესების უფრო თანმიმდევრულ და სტრუქტურირებულ მართვას უწყობს ხელს. 2025 წლის განმავლობაში კომიტეტის ერთ-ერთ ძირითად ფოკუსად კვლავ ფინანსური ანგარიშგების

ხარისხისა და სანდოობის უზრუნველყოფა რჩებოდა. კომიტეტმა განიხილა 2024 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, გარე აუდიტორის დასკვნა და რეკომენდაციები და სისტემურად აკონტროლებდა მათი შესრულების პროგრესს. ამასთანავე, კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული გარე აუდიტორის შერჩევის პროცესში, განსაკუთრებული ყურადღებით მისი დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის შეფასებაზე.

შიდა აუდიტის მიმართულებით კიდევ უფრო გაძლიერდა ზედამხედველობა. მიკრობანკად ტრანსფორმაციის საჭიროებების გათვალისწინებით განახლდა შიდა აუდიტის პრიორიტეტები, დამტკიცდა შესაბამისი გეგმები და გამკაცრდა რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რისკებზე დაფუძნებული აუდიტის მიდგომის განვითარებასა და მის ეფექტიან დანერგვას.

კომპანიისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას ციფრული ტრანსფორმაცია წარმოადგენს, რის გამოც გასულ წელს აუდიტის კომიტეტის განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ მიმართულებას დაეთმო. ჩატარდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით გარე აუდიტორული შემოწმებები, განისაზღვრა პრიორიტეტები და რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა.

მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობა კომპანიისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, თუმცა 2025 წელს, ტრანსფორმაციის პროცესის პარალელურად, კომიტეტმა გააძლიერა მონიტორინგის მექანიზმები და სისტემურად აკონტროლებდა საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებისა და საგამონაკლისო დაშვებებთან (waiver) დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას.

აუდიტის კომიტეტი მიიჩნევს, რომ 2025 წელს განხორციელებულმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის ზრდაში, შიდა კონტროლის სისტემების გაძლიერებასა და კორპორაციული მმართველობის პრაქტიკის განვითარებაში, რაც ქმნის მყარ საფუძველს კომპანიის მდგრადი განვითარებისათვის.

2026 წელს აუდიტის კომიტეტი, რისკების მართვის კომიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით, კვლავ გააგრძელებს მუშაობას ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორცაა ფინანსური ანგარიშგების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება, შიდა აუდიტის ფუნქციის ეფექტიანობის ზრდა, ინფორმაციული უსაფრთხოების გაძლიერება და მარეგულირებელ მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა, მათ შორის მიკრობანკად ოპერირების ახალი ეტაპის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აუდიტის კომიტეტი მადლობას უხდის კომპანიის აქციონერებსა და პარტნიორებს გამოხატული ნდობისა და მხარდაჭერისთვის და კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის ერთგულებას გამჭვირვალობის, პასუხისმგებლიანი მმართველობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების მიმართ.

## ვალერი ჩეჩელაშვილი

აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

რისკების

მართვის

კომპიტიტი

# 26 რისკების მართვის კომიტეტი

რისკების მართვის კომიტეტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის ჩარჩოს ეფექტიანობის ზედამხედველობაზე, რისკის აპეტიტის ფარგლებში საქმიანობის უზრუნველყოფასა და რისკ-პროფილის მუდმივ მონიტორინგზე. კომიტეტი საქმიანობას ახორციელებს კომპანიის წესდების, მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

რისკების მართვის კომიტეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის მდგრადობის უზრუნველყოფაში, რისკების იდენტიფიცირებაში, შეფასებასა და მართვაში, ასევე, მენეჯმენტის მიერ განხორციელებული რისკების მართვის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასებაში. კომიტეტი რეგულარულად განიხილავს კომპანიის რისკ-პროფილს, აკონტროლებს რისკის აპეტიტთან შესაბამისობას და უზრუნველყოფს შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებას, გადახრების შემთხვევაში.

კომიტეტის შემადგენლობა დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებით, მათ შორის, დამოუკიდებელი წევრებით, რომელთაგან ერთ-ერთი იკავებს კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციას. აღნიშნული უზრუნველყოფს დამოუკიდებელ და ობიექტურ შეფასებას რისკებთან დაკავშირებულ საკითხებზე და შეესაბამება კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკას.

## 2025 წელს ჩატარდა რისკების მართვის კომიტეტის ოთხი სხდომა, რომელთა ფარგლებშიც განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები დაკავშირებული იყო ისეთ საკითხებთან, როგორებიცაა:

- **რისკის პროფილი და რისკის კულტურა** - კომიტეტი რეგულარულად განიხილავს კომპანიის რისკის პროფილსა და რისკის კულტურას, როგორც წლიურ, ისე კვარტალურ ჭრილში. სხდომების დროს შეფასდა როგორც 2024 წლის, ასევე 2025 წლის რისკის პროფილი და კულტურა. აღნიშნული ანალიზი უზრუნველყოფს რისკების დროულ იდენტიფიცირებასა და მართვის პროცესის გაუმჯობესებას.
- **რისკის აპეტიტი და შესაბამისობა** - კომიტეტმა განიხილა რისკის აპეტიტთან შესაბამისობის როგორც 2024 წლის, ისე 2025 წლის ანგარიშები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სიგნალის დონეების შეფასებასა და გაუმჯობესებას, რის საფუძველზეც შემუშავდა შესაბამისი სამოქმედო გეგმები.
- **რისკების მონიტორინგი და ანალიზი** - კომიტეტის მიერ აქტიურ რეჟიმში ხორციელდება კომპანიის ფაქტობრივი რისკების მაჩვენებლების შედარება უშუალო კონკურენტების მაჩვენებლებთან, რაც უზრუნველყოფს რისკების ადეკვატურ შეფასებას. ასევე, კომიტეტი განიხილავს საოპერაციო რისკების მართვის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობას და ამტკიცებს შესაბამის ანგარიშებს.
- **მარაგულირებალ მოთხოვნებთან შესაბამისობა** - კომიტეტი რეგულარულად განიხილავს კომპანიის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საზედამხედველო მოთხოვნების შესრულების სტატუსებს, მათ შორის, ვალდებულებისგან გათავისუფლების („კვივერი“)/ვალდებულების შესრულების გადავადებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმებს.
- **ანგარიშგება და გამჭვირვალობა** - 2025 წლის კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა კომპანიის 2024 წლის პილარ 3-ის ანგარიშგება, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.
- **ორგანიზაციული განვითარება** - კომიტეტი სისტემატურად განიხილავს რისკების დეპარტამენტში განხორციელებულ და დაგეგმილ ცვლილებებს, რაც მიზნად ისახავს ფუნქციის ეფექტიანობის გაზრდასა და რისკების მართვის პროცესის გაუმჯობესებას.

2025 წლის განმავლობაში რისკების მართვის კომიტეტის საქმიანობა წარიმართა პროფესიონალიზმისა და დამოუკიდებლობის მაღალი სტანდარტების დაცვით. მიღებული გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა კომპანიის გრძელვადიან სტრატეგიას, რისკების გააზრებულ მართვასა და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

# 26 რისკების მართვის კომიტეტი



## რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარის წერილი

ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

2025 წელი კომპანიისთვის მნიშვნელოვანი და გარდამტეხი ეტაპი იყო როგორც მიკრობანკის სტატუსის მიღების, ისე რისკების მართვის სისტემის ინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით. აღნიშნულ წელს ორგანიზაციაში ფუნქციონირება დაიწყო სამეთვალყურეო საბჭოს ქვეკომიტეტმა რისკების მართვის მიმართულებით, რომლის მიზანია უზრუნველყოს რისკების მართვის ჩარჩოს ეფექტიანი და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

2025 წლის განმავლობაში კომიტეტი აქტიურად აკვირდებოდა კომპანიის რისკ-პროფილს. კომპანიის მენეჯმენტთან და რისკების დირექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით კომიტეტმა უზრუნველყო ძირითადი რისკების, მათ შორის, საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკების სისტემური განხილვა, მონიტორინგი და დინამიკის შეფასება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რისკების მაჩვენებლებს, პორტფელის ხარისხის ტენდენციებსა და საოპერაციო პროცესებში არსებულ შესაძლო ნაკლოვანებებს.

კომიტეტის ძირითად პრიორიტეტად ჩამოყალიბდა რისკის აპეტიტის ჩარჩოს პრაქტიკული დანერგვა და მონიტორინგი. შემუშავდა და დამტკიცდა როგორც ფინანსური, ისე არა-ფინანსური ძირითადი რისკის ინდიკატორები. კომიტეტი რეგულარულად აკონტროლებდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ლიმიტებთან შესაბამისობას და გადახრების შემთხვევაში უზრუნველყოფდა დროული რეაგირების მექანიზმების ამოქმედებასა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შესრულების ზედამხედველობას.

ამასთანავე, 2025 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შესაბამისობის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) და ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებებს. აღნიშნულის ფარგლებში გაძლიერდა კონტროლის მექანიზმები, მათ შორის დაიხვეწა მომხმარებელთა ტრანზაქციების მონიტორინგისა და საეჭვო ოპერაციების იდენტიფიცირების პრაქტიკა. ასევე, გაუმჯობესდა ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების იდენტიფიცირებისა და მონიტორინგის პროცესები, მათ შორის ინციდენტების მართვისა და რეგულარული შეფასებების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პოტენციური საფრთხეების უფრო დროულ გამოვლენასა და ეფექტიან მართვას. აღნიშნული ცვლილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპანიის ზრდისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში.

მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობა კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბდა. 2025 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესრულების სისტემური მონიტორინგი, მათ შორის საგამონაკლისო დაშვებებთან (waiver) დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობა. ამასთან, კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა 2024 წლის პილარ 3-ის ანგარიშგება, რაც ზრდის კომპანიის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას აქციონერებისა და პარტნიორების წინაშე.

ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული რისკების მართვის ფუნქციის გაძლიერებაში. 2025 წელს განხორციელდა როგორც სტრუქტურული ისე ბიზნეს-პროცესული ცვლილებები, კერძოდ დაიხვეწა საოპერაციო ინციდენტების აღრიცხვისა და ესკალაციის პროცესი, რამაც გააუმჯობესა რისკების დროული იდენტიფიცირება და მათზე რეაგირების ეფექტიანობა. ამასთან, განხორციელდა საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ცენტრალიზაცია და გაძლიერდა საკრედიტო კომიტეტის როლი, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობას, გამჭვირვალობას, და რისკების მართვის ცენტრალიზებულ და ეფექტიან კონტროლს.

ასევე, აღსანიშნავია კომიტეტის მჭიდრო თანამშრომლობა აუდიტის კომიტეტთან, რაც განაპირობებს რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურ კოორდინაციას და კორპორაციული მმართველობის საერთო ხარისხის გაუმჯობესებას. 2025 წელს განხორციელებულმა საქმიანობამ საფუძველი ჩაუყარა რისკების მართვის სისტემურ, გამჭვირვალე და მდგრად პრაქტიკას, რაც სრულად პასუხობს კომპანიის სტრატეგიულ მიზნებს.

2026 წელს კომიტეტი, აუდიტის კომიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით, კვლავ გააგრძელებს რისკების მართვის პროცესის აქტიურ ზედამხედველობას და ფოკუსირებული იქნება ისეთ

## 26 რისკების მართვის კომიტეტი

პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორცაა რისკების ადრეული იდენტიფიცირების მექანიზმების შემდგომი განვითარება, რისკების მართვის ინსტრუმენტების დახვეწა, ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული რისკების ეფექტიანი მართვა და კომპანიის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა.


რისკების მართვის კომიტეტი მადლობას უხდის კომპანიის აქციონერებსა და პარტნიორებს ნდობისა და მხარდაჭერისთვის და ადასტურებს თავის ერთგულებას ძლიერი რისკების მართვის, გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლიანი მმართველობის პრინციპების მიმართ.

### სოფიო ცხვიტავა

რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე

პროდუქტების  
განვითარების  
კომიტეტი

კოლეგიალური ორგანო



## მომხმარებლის გამოცდილებაზე ორიენტირებული სტრატეგია

### ზოგადი მიმოხილვა და როლი ორგანიზაციაში

გასული წელი ემბისისთვის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის პერიოდი იყო - კომპანიამ განახორციელა რებრენდინგის პირველი ფაზა და, ამავდროულად, მიკრობანკად ჩამოყალიბების აქტიურ ეტაპზე იმყოფება. აღნიშნული პროცესის განუყოფელი ნაწილია 2025 წელს შექმნილი პროდუქტების განვითარების კომიტეტი. კომიტეტის უპირველეს ფუნქციასა და მიზანს მომხმარებელთა საჭიროებების იდენტიფიცირება და მათზე მაქსიმალურად მორგებული პროდუქტებისა თუ სერვისების შექმნის გზით, საუკეთესო სამომხმარებლო გამოცდილების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

კომიტეტი არის ბანკის კოლეგიალური ორგანო, რომელიც გარანტიას იმისა, რომ თითოეული ახალი ინიციატივა თუ პროდუქტი არა მხოლოდ სრულად შეესაბამება მარკეტულირებელ ჩარჩოს, არამედ მაქსიმალურად პასუხობს მომხმარებლის მოლოდინებსა და ინტერესებს.

### მომხმარებელზე ორიენტირებული მართვის მოდელი

კომიტეტის შემადგენლობა სპეციალურად არის ფორმირებული ისე, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მომხმარებლის ინტერესები. კომიტეტის მუდმივი წევრები არიან კომერციული, მარკეტინგის, რისკების, ხაზინისა და, რაც მთავარია, მომხმარებელთა გამოცდილების მართვის მიმართულების ხელმძღვანელები.

### კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მომხმარებლის ჭრილში:

- ბაზრის ტენდენციებისა და მომხმარებელთა საჭიროებების სიღრმისეული კვლევა პროდუქტის დანერგვის ეტაპამდე.
- პროდუქტებისა და სერვისების ძირითადი მახასიათებლების ისეთი ფორმირება, რაც უზრუნველყოფს სამომხმარებლო გამოცდილების გაუმჯობესებასა და პროცესების მაქსიმალურ გამარტივებას.
- ფასწარმოების დაბალანსებული და ბაზარზე კონკურენტული ჩარჩოს შემუშავება.
- პროდუქტების რეალიზაციის ტექნიკური შესაძლებლობების განსაზღვრა მომხმარებლისთვის მოსახერხებელი, დისტანციური მომსახურების მისაღებად.

# 27 პროდუქტების განვითარების კომიტეტი

## 2025 წლის ძირითადი საქმიანობის მიმოხილვა

- სადეპოზიტო და საოპერაციო პროდუქტების ჩარჩო - კომიტეტის მთავარი პრიორიტეტი იყო ამ პროდუქტების მაქსიმალური მოქნილობა და მომხმარებლისთვის დაზოგვისა თუ ანგარიშსწორების მარტივი გზების შეთავაზება.
- მცირე (Small) სესხების პორტფელის ტრანსფორმაცია: ბანკის პროფილის ცვლილებიდან გამომდინარე, გადაიხედა მცირე სესხების დამტკიცების კრიტერიუმები. კომიტეტმა აქცენტი გააკეთა გადაწყვეტილების მიღების სისწრაფესა და სერვისის ხელმისაწვდომობაზე, რაც მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.
- უკუკავშირის საფუძველზე პროდუქტების რევიზია: კომიტეტი რეგულარულად ახორციელებს არსებული პროდუქტების გადახედვას მათი აქტუალობისა და მომხმარებელთა კმაყოფილების მიხედვით, რაც საჭიროების შემთხვევაში პირობების მოდიფიცირების საფუძველი ხდება.

## 2025 წლის განმავლობაში კომიტეტის საქმიანობა შემდეგ საკვანძო მიმართულებებზე იყო ფოკუსირებული:

- მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესში, კომიტეტმა შეიმუშავა სადეპოზიტო და საოპერაციო პროდუქტების სრულიად ახალი ჩარჩო. პრიორიტეტად განისაზღვრა ანაბრების, მიმდინარე ანგარიშებისა და სადებეტო ბარათების მაქსიმალური მოქნილობა, რაც მომხმარებელს დაზოგვისა და ანგარიშსწორების თანამედროვე, გამარტივებულ გზებს შესთავაზებს.
- მიკრობანკის ლიცენზიის მიღებამ კომპანიას მისცა სესხის ლიმიტების მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობა, რამაც დღის წესრიგში არსებული საკრედიტო თუ არასაკრედიტო პროდუქტების ტრანსფორმაცია დააყენა.
- კომიტეტი რეგულარულად ახორციელებს არსებული პროდუქტების გადახედვას მომხმარებელთა კმაყოფილებისა და ბაზრის აქტუალობის მიხედვით. ეს პროცესი უზრუნველყოფს პირობების მუდმივ მოდიფიცირებას რეალური საჭიროებების შესაბამისად, რაც საფუძველად უდევს პროდუქტების ეფექტიანობასა და მომსახურების მაღალ სტანდარტს.

## სამომავლო ხედვა

პროდუქტების განვითარების კომიტეტი კვლავაც აქტიურად განაგრძობს მომხმარებელზე მორგებული ეკოსისტემის განვითარებაზე ზრუნვას. ის სტრატეგიული ინიციატივები, რომლებზეც გუნდი 2025 წლის განმავლობაში მუშაობდა, 2026 წელს სრულად დაინერგება და ჩვენი მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

მომდევნო წლის მთავარი ფოკუსი სწორედ ამ პროცესის ლოგიკური გაგრძელება - ისეთი მოქნილი ციფრული პროდუქტების შექმნა იქნება, რომლებიც ფეხდაფეხ მიჰყვება ბაზრის ცვლილებებსა და ჩვენი მომხმარებლების სურვილებს.

ემბისის მიზანია, იყოს მოსახერხებელი ბანკი - მომხმარებლების ყოველდღიურობას კიდევ უფრო მარტივსა და კომფორტულს ხდიდეს.

# ინფორმაციული ტექნოლოგიების კომიტეტი

კოლეგიალური ორგანო



## ზოგადი მიმოხილვა და როლი ორგანიზაციაში

გასული წელი ემბისისთვის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის სანყისი პერიოდი იყო - კომპანია მიკრობანკად ჩამოყალიბების აქტიურ ეტაპზე იმყოფება. აღნიშნული პროცესის ნაწილია 2025 წელს შექმნილი ინფორმაციული ტექნოლოგიების კომიტეტი, რომლის უპირველეს მიზანს წარმოადგენს მიკრობანკის ბიზნეს სტრატეგიის ტექნოლოგიური მხარდაჭერა, ინოვაციური და ავტომატიზებული პროცესების დანერგვა და გაუმჯობესება.

IT კომიტეტი არის კოლეგიალური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესებას მიკრობანკში დანერგილი სხვადასხვა პროდუქტის/მომსახურების ტექნოლოგიური გაუმჯობესებისა და ავტომატიზაციის გზით. კომიტეტის შემადგენლობა ფორმირებულია ისე, რომ ტექნოლოგიური პროცესის დანერგვა/გაუმჯობესებისას მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ბიზნეს პროცესების უწყვეტობა, უსაფრთხოება და მომხმარებლის (მათ შორის მიკრობანკის თანამშრომლების) გამოცდილების გაუმჯობესება.

## კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიის შემუშავება.
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიისა და ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- ბიზნეს დავალებების ტექნოლოგიური ანალიზი.
- ინფორმაციულ ტექნოლოგიური პროექტების მომზადება და პრიორიტეტიზაცია.
- ინოვაციებისა და ტექნოლოგიური ინიციატივების მხარდაჭერა.
- მიკრობანკის ციფრული ტრანსფორმაციისა და პროცესების ავტომატიზაციის ხელშეწყობა.
- მიკრობანკის ტექნოლოგიური უსაფრთხოება.

## 2025 წლის ძირითადი საქმიანობის მიმოხილვა

- **ინფრასტრუქტურული განახლებები** - მიკრობანკის ძირითადი ინფრასტრუქტურა განთავსდა მაღალი დაცულობისა და ხელმისაწვდომობის მქონე დატა ცენტრში.
- **ძირითადი საბანკო სისტემების განახლება** - მიკრობანკის საბანკო სისტემები განახლდა და შეიქმნა ავტომატიზებული პროცესები.
- **უსაფრთხოების სისტემები** - მიკრობანკის შიდა უსაფრთხოების სისტემები განახლდა და დაფარა სხვადასხვა ბიზნეს პროცესების შედეგად წარმოშობილი გამოწვევები.
- **შესაბამისობის აუდიტი** - მიკრობანკში ჩატარდა რეგულატორულ ჩარჩოსთან შესაბამისობის სხვადასხვა სახის აუდიტი და აღმოიფხვრა მაღალი კრიტიკულობის მიგნებები.

## სამომავლო ხედვა

ინფორმაციული ტექნოლოგიების კომიტეტი კვლავაც აქტიურად განაგრძობს მიკრობანკის ეკოსისტემის განვითარებასა და მრავალფეროვნებაზე ზრუნვას. 2026 წლიდან მომხმარებლებს შეეძლებათ მიიღონ მათზე მორგებული გადაწყვეტილებები, ნაწილობრივ ან/და სრულად ავტომატიზებული ბიზნეს პროცესები, უსაფრთხოების კიდევ უფრო მაღალი სტანდარტები, ინოვაციური ციფრული საბანკო სერვისები და საგადამხდელო არხები.

# ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
საანგარიშგებო წლისთვის დამოუკიდებელი  
აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2025

# სარჩევი

## 01 ფინანსური ანგარიშგება

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	112
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	114
3. სრული შემოსავლის ანგარიშგება	115
4. კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	116
5. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	117

## 02 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	119
2. მომზადების საფუძვლები	120
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	122
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	135
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა	136
6. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია	141
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	142
8. სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში	142
9. კლიენტებზე გაცემული სესხები	142
10. სხვა აქტივები	147
11. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება	148
12. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	148
13. ძირითადი საშუალებები	149
14. მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	150
15. სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები	150
16. სხვა ვალდებულებები	152
17. საწესდებო კაპიტალი და რეზერვები	152
18. წმინდა საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი	154
19. სხვა საოპერაციო ხარჯები	155
20. პირობითი ვალდებულებები	155
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	157
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	158

# 1 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

## სს „მიკრობანკი ემბისი“-ს აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

### მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „მიკრობანკი ემბისი“-ს (შემდგომში „მიკრობანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მიკრობანკის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ მიკრობანკისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### სხვა გარემოება

#### შესადარისი ინფორმაციის კორექტირება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე ჩავატარეთ მე-6 შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის მიკრობანკის ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. შესადარისი ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

წინა პერიოდის აუდიტებული ანგარიში - 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიში აუდიტებულია სხვა აუდიტორის მიერ, რომელაც გამოსცა არამოდიფიცირებული მოსაზრება 2025 წლის 29 მაისს.

### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელზეც პასუხისმგებელია მიკრობანკის ხელმძღვანელობა და რომელიც შეიტანება მმართველობის ანგარიშგებაში, არ გვქონდა მიღებული აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. სავარაუდოდ, მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

### ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს მიკრობანკის

# 1 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მიკრობანკის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მიკრობანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან მიკრობანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დაგვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ მიკრობანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად მიკრობანკის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა მიკრობანკის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება მიკრობანკი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

**ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)**  
**შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)**  
**31 მარტი, 2026**  
**თბილისი, საქართველო**

# 2 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ათას ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024 *(გადაანგარიშებული)
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	21,650	16,039
სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში	8	9,048	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	153,239	119,464
სხვა აქტივები	10	1,105	714
გადავადებული საგადასახადო აქტივები	11	280	74
არამატერიალური აქტივები		891	659
აქტივების გამოყენების უფლება	12	4,715	5,102
ძირითადი საშუალებები	13	2,668	2,951
<b>სულ აქტივები</b>		<b>193,596</b>	<b>145,003</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ნასესხები ფულადი სახსრები	15	88,573	78,203
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	14	3,183	-
სუბორდინირებული სესხები	15	5,335	5,461
საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	15	60,834	30,041
საიჯარო ვალდებულება	12	4,901	5,475
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		199	423
სხვა ვალდებულებები	16	1,999	2,159
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>165,024</b>	<b>121,762</b>
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	17	2,314	2,255
სააქციო პრემია	17	1,623	1,136
პრივილეგირებული აქციები	17	7,209	6,989
გაუნაწილებელი მოგება		17,426	12,861
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>28,572</b>	<b>23,241</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>193,596</b>	<b>145,003</b>

\* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი რეკლასიფიკაციის შედეგს.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2026 წლის 31 მარტს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ:

გენერალური დირექტორი  გია პეტრიაშვილი

თბილისი, საქართველო

# 3 სრული შემოსავლის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ათას ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
საპროცენტო შემოსავალი	18	37,011	30,282
საპროცენტო ხარჯი	18	(14,181)	(11,286)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე</b>		<b>22,830</b>	<b>18,996</b>
გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე	9	125	(2,138)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>22,955</b>	<b>16,858</b>
ჯარიმა და სხვა საკომისიო შემოსავალი		2,932	2,980
წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		(3,834)	(2,050)
წმინდა მოგება/(ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან		1,506	1,112
პერსონალის ხარჯები		(11,844)	(9,383)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,191)	(2,047)
სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(3,415)	(2,998)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		452	-
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>6,561</b>	<b>4,472</b>
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,095)	(942)
<b>წლის წმინდა მოგება</b>		<b>5,466</b>	<b>3,530</b>

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2026 წლის 31 მარტს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ:

გენერალური დირექტორი  
თბილისი, საქართველო



გია პეტრიაშვილი


# 4 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	პრივილეგირებული აქციები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
<b>დეკემბერი 31, 2023</b>	<b>2,255</b>	<b>1,136</b>	<b>6,989</b>	<b>10,197</b>	<b>20,577</b>
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	3,530	3,530
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	(866)	(866)
<b>დეკემბერი 31, 2024</b>	<b>2,255</b>	<b>1,136</b>	<b>6,989</b>	<b>12,861</b>	<b>23,241</b>
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	59	-	-	-	59
ჩვეულებრივ აქციათა ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები	-	487	-	-	487
პრივილეგირებული აქციების გამოშვება	-	-	220	-	220
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	5,466	5,466
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	(901)	(901)
<b>დეკემბერი 31, 2025</b>	<b>2,314</b>	<b>1,623</b>	<b>7,209</b>	<b>17,426</b>	<b>28,572</b>

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2026 წლის 31 მარტს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ:

გენერალური დირექტორი  
თბილისი, საქართველო



გია პეტრიაშვილი

# 5 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ათას ლარში)

	შენიშვნები	2025	2024
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>6,561</b>	<b>4,472</b>
<b>კორექტირებები:</b>			
გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე		(125)	2,138
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება	9	(338)	(264)
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაციის მოგება	9	(144)	(94)
ცვეთა და ამორტიზაცია		2,191	2,047
საიჯარო კონტრაქტის გაუქმება	12	(119)	-
ბონუსის და სხვა ხარჯის ანარიცხები		1,457	1,117
დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		-	309
საპროცენტო ხარჯი	12; 15	14,136	11,420
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		3,834	2,050
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>27,453</b>	<b>23,195</b>
<b>ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:</b>			
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	(33,199)	(20,284)
საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო რეზერვების ზრდა	8	(9,069)	-
მიმდინარე ანგარიშების და ანაბრების ზრდა	14	3,195	-
სხვა აქტივები	10	(1,269)	1,332
საგადასახადო აქტივი/ვალდებულება		(220)	(82)
სხვა ვალდებულებები		(1,166)	(468)
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები მოგების გადასახადის გადახდამდე</b>		<b>(14,275)</b>	<b>3,693</b>
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,301)	(1,067)
პროცენტის გადახდა		(11,480)	(10,520)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის გადახდა		(482)	(417)
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები</b>		<b>(27,538)</b>	<b>(8,311)</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან</b>			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(281)	(747)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(440)	(423)
<b>ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>(721)</b>	<b>(1,170)</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:</b>			
შემოსულობა ნასესხები თანხებიდან	15	99,359	203,060
ნასესხები სახსრების დაფარვა	15	(58,343)	(181,804)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	12	(1,308)	(1,231)
გადახდილი დივიდენდები		(901)	(866)
<b>ფულადი ნაკადების შემოღინება ფინანსური საქმიანობებიდან</b>		<b>38,807</b>	<b>19,159</b>
<b>წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში</b>		<b>10,548</b>	<b>9,678</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>	6	<b>16,039</b>	<b>6,286</b>
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(4,937)	75
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>		<b>21,650</b>	<b>16,039</b>

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2026 წლის 31 მარტს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ:

გენერალური დირექტორი  გია პეტრიაშვილი  
თბილისი, საქართველო

ფინანსური

ანგარიშგებაზე

დართული

განმარტებითი

შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

# 1 ზოგადი ინფორმაცია

## მიკრობანკი

კომპანიამ ბაზარზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფორმით 12 წლიანი წარმატებული ოპერირების შემდეგ, 2024 წლის 5 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია მიიღო და საქართველოში პირველი მიკრობანკი გახდა. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მოპოვების შემდგომ, კომპანია საქმიანობას განაგრძობს სს მიკრობანკი „ემბისის“ საფირმო სახელწოდებით, საიდენტიფიკაციო კოდით - 404967078 (შემდგომში „კომპანია“/„მიკრობანკი“).

საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით, ლიცენზიის მოპოვებამდე კომპანიის საქმიანობა ეფუძნებოდა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს, მიკრობანკის ლიცენზიის მიღების შემდგომ კი, „ემბისი“ თავის საქმიანობას წარმართავს მიკრობანკების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. კომპანიის მიზანია კლიენტებისთვის მათ საჭიროებებზე მორგებული და ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების განევა, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საკრედიტო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და კლიენტებთან გრძელვადიანი, გამჭვირვალე ურთიერთობების შენარჩუნება, ამასთან, სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, ეკონომიკის მდგრად განვითარებაში წვლილის შეტანა.

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. კორპორაციულ მართვაზე პასუხისმგებელია და კომპანიის საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც აირჩევიან აქციონერთა საერთო კრების მიერ. ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება დირექტორატის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის სტრატეგიული მიზნების წარმატებით განხორციელებაზე. დირექტორატის თითოეული წევრი კოლექტიურად აგებს პასუხს მიკრობანკის საქმიანობაზე სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავს დირექტორატის შემადგენლობას.

მიკრობანკს სრულად ფლობენ „აქციონერთა ჯგუფის“ წევრები. არ არსებობს მიკრობანკის ერთპიროვნული მაკონტროლებელი მხარე 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. დეტალურად განხილულია მე-14 შენიშვნაში.

საქართველოს მასშტაბით კომპანია წარმოდგენილია 17 სერვის ცენტრით. მიკრობანკის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 284 თანამშრომელს. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 290 ადამიანი, საიდანაც: უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა - 4 თანამშრომელი, შუა რგოლის მენეჯმენტი - 41 თანამშრომელი და სხვა თანამშრომლები - 245 თანამშრომელი. ყველა თანამშრომელი, გარდა ერთისა დასაქმებულია სრული განაკვეთით. მიკრობანკის სათავო ოფისი არის ქუთეჯან დედოფლის 68 ნომერში, თბილისი, საქართველო. მიკრობანკის გენერალური დირექტორია გაი პეტრიაშვილი.

## 2 მომზადების საფუძვლები

### ანგარიშების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს სტანდარტები) შესაბამისად.

მიკრობანკის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

მიკრობანკის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

თანხობრივი მაჩვენებლები ფინანსურ ანგარიშგებაში დამრგვალებულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, მიკრობანკის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-4 შენიშვნაში. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

### შეფასების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღრიცხული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისა.

### საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მიკრობანკის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ მიკრობანკი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ მიკრობანკი საქართველოში. ხელმძღვანელობის შეფასებით ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია მიკრობანკისთვის.

### ახალი სტანდარტების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

#### ა) 2025 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

**გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში)** შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

#### ბ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

**ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში).** ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

#### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

• ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

#### ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები ( მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – 'SPPI ტესტი' );
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

#### ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

## 2 მომზადების საფუძვლები

**ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება.** წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

• მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესებები შეეხება შემდეგ სტანდარტებს: ფასს 1, ფასს 7, ფასს 9, ფასს 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

**ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერჯიას (ადრე ელექტროენერჯიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:**

- „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად;
- ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

### გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

**ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში.** ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

### ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

2024 წლის 9 მაისს, ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა ფასს 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანსს დარტებს.

ამჟამად კომპანია ახორციელებს აღნიშნული ცვლილებების შესაძლო გავლენის შეფასებას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ამასთან, კომპანიას არ აქვს მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოცემულ აღნიშნულ ან სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა, ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

# 3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

## ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება მიკრობანკის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, მიკრობანკი სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მიკრობანკი ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი იქნება გონივრულად გაზომვადი, ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

## ფინანსური აქტივები

### კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

### ამორტიზებული ღირებულებით

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის მიკრობანკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- მიკრობანკი აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- მიკრობანკი აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

### რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიკრობანკის ყველა ფინანსური აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

# 3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

## ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ მიკრობანკმა შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხვდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას მიკრობანკის მიერ გათვალისწინებული ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- პორტფელთან მიმართებაში არსებული ამოცანები და პოლიტიკა და ამგვარი პოლიტიკის მოქმედებას პრაქტიკაში, მათ შორის არის თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია მიმართული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადის ვალდებულებების ვადასთან თანხვედრაზე, რაც მოიცავს ამგვარი აქტივების დაფინანსებას ან ფულადი ნაკადების რეალიზაციას აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ ხდება პორტფელის შედეგების შეფასება და ამ შეფასებების კომუნიკაცია მიკრობანკის ხელმძღვანელობისთვის;
- რისკები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს მოდელის (და ამგვარ ბიზნეს მოდელში არსებული ფინანსური აქტივების) მაჩვენებლებზე და რამდენად იმართება ამგვარი რისკები;
- როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა ანაზღაურება მართვის ქვეშ არსებული აქტივების სამართლიან ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს;
- განვლილ პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მომავალი სავაჭრო საქმიანობის მოლოდინები. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია სავაჭრო საქმიანობის შესახებ ცალკე არ განიხილება, ის წარმოადგენს მიკრობანკის შეფასების ნაწილს, თუ რამდენად არის მიღწეული ფინანსური აქტივების მართვასთან დაკავშირებით მიკრობანკის მიერ განსაზღვრული მიზნები და რამდენად არის რეალიზებული ფულადი ნაკადები.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

## მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ მიკრობანკმა უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI -ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, მიკრობანკი აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს

# 3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

## ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- მიკრობანკი გადასცემს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (ბ) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური ინსტრუმენტი ჩამოიწერება ბალანსიდან და გადადის გარებალანსზე, როდესაც არ არსებობს გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტის გადახდის გონივრული მოლოდინი. ფინანსური ინსტრუმენტი უნდა ჩამოიწეროს, თუ:

- სამართლებრივად არ არის აღსრულებადი თანხის (ან მისი ნაწილის) ანაზღაურება, მათ შორის, უზრუნველყოფის საშუალების რეალიზაციის ან დასაკუთრების გზით, მსესხებლისგან ან ნებისმიერი მესამე მხარისგან;
- სამართლებრივად შესაძლებელია თანხის ანაზღაურება მსესხებლისგან ან მესამე მხარისგან, მაგრამ აღნიშნულის ალბათობა ძალიან მცირეა;
- თუ არ არსებობს ექსპერტული დასაბუთება განსხვავებულ მიდგომაზე, გაუფასურებული ფინანსური აქტივების ჩამოწერისას, მათ შორის, გაითვალისწინება: ფინანსური ინსტრუმენტის ვადაგადაცილებული დღეები და უზრუნველყოფის ტიპი.

## რეკლასიფიკაცია

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ მიკრობანკი არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს.

## ფინანსური აქტივების გაუფასურება

### ცვლილება გაუფასურების შეფასებაში

ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას მიკრობანკის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხვით.

გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შექმნილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება რისკის პოზიციისთვის შესაძლოა განხორციელდეს კოლექტიურად ან ინდივიდუალურად. ინდივიდუალურად ფასდება, Stage 3 საკრედიტო რისკის კატეგორიის მატერიალური რისკის პოზიციები, თუ შესაფასებლად გამოსაყენებელი ინფორმაცია მიკრობანკისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

კოლექტიურად შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ჯგუფები, ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობის მხრივ, იმდენად დიდი და ფინანსური ინსტრუმენტების სახეობების მრავალფეროვნების მხრივ, იმდენად პატარაა, რომ უზრუნველყოს ჯგუფზე რელევანტური სტატისტიკური ანალიზის საკმარისი სანდოობა. დაჯგუფების ადეკვატურობა მონმდება ზარალის შესახებ ისტორიული მონაცემების გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტების კოლექტიური შეფასების მიზნით, დადგენილია ჰომოგენური ჯგუფები, უზრუნველყოფის საშუალების ტიპის და სესხის მიზნობრიობის ტიპის მიხედვით, რაც წარმოადგენს საერთო საკრედიტო რისკის ძირითად მახასიათებელს.

# 3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

## სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შექმნის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1-ლი ეტაპი: მიკრობანკი აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: მიკრობანკი აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე.

ანარიცხი საკრედიტო ზარალზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. მიკრობანკი აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.

1-ლი ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორია - პირველი ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორიაში კლასიფიცირდება ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ ერთ ან რამდენიმე ძირითად საყურადღებო ინდიკატორს.

განახლებადი ლიმიტის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, როგორცაა საკრედიტო ხაზები, ოვერდრაფტები და სხვა, რომლებზეც არ მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტის ამორტიზაცია (დაფარვა), მსესხებელს გააჩნია აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტის გონივრული ვადის ფარგლებში დაფარვის უნარი.

თუ ფინანსურ ინსტრუმენტზე ფიქსირდება 30 დღეზე მეტი მიმდინარე ვადაგადაცილება, მაგრამ არაუმეტეს 90 დღისა, მიკრობანკს შეუძლია მსესხებელს მიანიჭოს პირველი ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ანალიზით დასტურდება, რომ ვადაგადაცილება გამოწვეულია მხოლოდ ტექნიკური მიზეზით და არა მსესხებლის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის გაუარესებით.

მაღალი საკრედიტო რისკის კატეგორია - მაღალი საკრედიტო რისკის კატეგორიაში კლასიფიცირდება ის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს პირველი ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორიით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, თუმცა მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა პოტენციურად სუსტია, რაც გამოიხატება მის საკრედიტო რეიტინგში (როცა საკრედიტო რეიტინგი მიკრობანკის პროდუქტების ინსტრუქციებით გათვალისწინებულ საკრედიტო რეიტინგის დამაკმაყოფილებელ მნიშვნელობას განეკუთვნება).

მაღალი საკრედიტო რისკის ფინანსურ ინსტრუმენტზე იწარმოება ინტენსიური მონიტორინგი, რათა დროულად დადგინდეს, ხომ არ არის აუცილებელი ამ ფინანსური ინსტრუმენტისთვის მე-2 ან მე-3 ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორიის მინიჭება.

მე-2 ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორია - ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირდება მე-2 ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორიად თუ ის არ არის გაუფასურებული და დაკმაყოფილებულია ერთ-ერთი ძირითადი საყურადღებო ინდიკატორი.

ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია მე-2 ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორიად, ასევე უნდა ემყარებოდეს მაკროეკონომიკური უარყოფითი ფაქტორების განვითარების შეფასებას, რომლებიც შესაძლოა უკვე მომხდარი, ან შესაძლოა მომავალში მოხდეს და რომელთა ზედმინევენითი ანალიზისა და განსჯის შემდეგ, ნათელი ხდება, რომ მსესხებლის ვალდებულებების დროულად შესრულების რისკი მნიშვნელოვნად იზრდება.

მე-3 ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორია - მე-3 ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორიას მიეკუთვნება გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, თუ ის აკმაყოფილებს ერთ ან რამდენიმე ძირითად საყურადღებო ინდიკატორს.

თუ მსესხებლის რომელიმე არსებითი სააღრიცხვო ფინანსური ინსტრუმენტი 90-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებულია, მსესხებლის სხვა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტებიც გაუფასურებულად უნდა ჩაითვალოს, გარდა არამატერიალური ვალდებულებების შემთხვევისა.

POCI-ად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტი - აღნიშნულ კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც გაუფასურებულია აღიარებისთანავე.

# 3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

## ჩამონერები

მიკრობანკი ფინანსურ აქტივებს ჩამონერს მაშინ, როდესაც მათი ამოღების გონივრული მოლოდინი აღარ არსებობს. იპოთეკური სესხების ჩამონერის საჭიროება ინდივიდუალურად ფასდება, იპოთეკების და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სხვა სესხების შემთხვევაში ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა, რომლის შემდეგაც ნაშთები მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება, არის 720 დღე, ხოლო სხვა არაუზრუნველყოფილი პორტფელი ჩამოიწერება 360-დღიანი ვადაგადაცილების შემდეგ. თუ ჩამოსაწერი თანხა სესხებზე შესაძლო დანაკარგების დარიცხულ რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ აღირიცხება, როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი. ნებისმიერი შემდგომი ანაზღაურება განეკუთვნება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯს.

## ძირითადი საყურადღებო ინდიკატორები საკრედიტო რისკის კატეგორიების მიხედვით

1-ლი ეტაპი	მაღალი რისკი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი	POCI
ვადაგადაცილებული დღეები ≤ 30;	მსესხებლის შემოსავალი მოქმედია თუმცა მისი საკრედიტო რეიტინგი (კრედიტინფოს მონაცემთა ბაზის მიხედვით) განეკუთვნება დამაკმაყოფილებელ დონეს.	30 < ვადაგადაცილებული დღეები ≤ 90;	ვადაგადაცილებული დღეები > 90;	ისეთ მსესხებელზე გაცემული ახალი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც კლასიფიცირდება მე-3 ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორიად.
არ არის რესტრუქტურირებული		განხორციელდა რესტრუქტურისა, რაც არის მისი აღიარების მომენტიდან პირველი და რესტრუქტურისა შუამდგომლობის ფინანსური ინსტრუმენტის ვადიანობა შესაბამისობაშია დადგენილ მაქსიმალურ ვადიანობასთან.	განხორციელდა ფინანსური ინსტრუმენტის რესტრუქტურისა, რაც არ არის მისი აღიარების მომენტიდან პირველი.	მოხდა მსესხებლის მე-3 ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტის რესტრუქტურისა რეფინანსირების გზით.
არ მიეკუთვნება მე-2 და მე-3 ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორიებს			მსესხებლის გადახდისუნარიანობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, თავდაპირველი აღიარების შემდგომ.	შეძენილი საკრედიტო პორტფელი (მაგალითად, სხვა ფინანსური ინსტიტუტისგან) რომელიც შეიცავს ისეთ სესხებს, რომლებიც მიიჩნევა გაუფასურებულად ამ პოლიტიკის მე-3 ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორიის შესაბამისად.
			მსესხებელს შეუმცირდა ვალდებულება, 5%-ზე მეტით, ფინანსური ინსტრუმენტის ძირის ან/და დარიცხული პროცენტის ნაწილობრივი პატივით ან/და ჩამონერით.	

# 3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

## კონტამინაციის პრინციპი

კონტამინაციის პრინციპი გულისხმობს უმაღლესი საკრედიტო რისკის კატეგორიის გავრცელებას მსესხებლის/მსესხებელთა ჯგუფის ფინანსურ ინსტრუმენტებზე, კერძოდ, კონტამინაციის პრინციპის დაცვა ხორციელდება შემდეგი წესების დაცვით:

- მსესხებლის ერთ-ერთი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა/გაუფასურება, როგორც წესი, გამოიწვევს ამავე მსესხებლის სხვა ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას/გაუფასურებას, მიუხედავად იმისა, ეს ინსტრუმენტები ერთ ჰომოგენურ ჯგუფში ხვდება თუ სხვადასხვაში. გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა/გაუფასურება ეხება მსესხებლის არამატერიალურ ფინანსურ ინსტრუმენტს;

- თუ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფში შემავალი ზოგიერთი მსესხებლის ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია ან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, კეთდება შესაბამისი შეფასება, იმის დასადგენად, სხვა მსესხებლების ფინანსური ინსტრუმენტები ხომ არ არის გაუფასურებული ან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილი ფასს-ის მიხედვით თავდაპირველი აღიარების შემდგომ. თუ მსესხებლის ან მსესხებელთა ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტებს მიენიჭა სხვადასხვა საკრედიტო რისკის კატეგორია, მიკრობანკი ვალდებულია დაასაბუთოს, ინდივიდუალური ან/და სტატისტიკური ანალიზის მეშვეობით, რომ უფრო მაღალი საკრედიტო რისკის კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტის განმაპირობებელი ფაქტორები არ იწვევს უფრო დაბალი საკრედიტო რისკის კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად ზრდას ან გაუფასურებას;

- მსესხებელთა ჯგუფის დონეზე კონტამინაციის პრინციპის გავრცელებისას უნდა განისაზღვროს არამატერიალური ვალდებულების მქონე მსესხებელი, რომლის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა/გაუფასურება, არ გამოიწვევს ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფის სხვა მსესხებლების საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას/გაუფასურებას. არამატერიალური ვალდებულების მქონე მსესხებლის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის/გაუფასურების შემთხვევაში, მიკრობანკი უნდა ფლობდეს დეტალურ და ამომწურავ ინფორმაციას მაპროვოცირებელი ინდიკატორის შესახებ.

## საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

მიკრობანკი საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

მიკრობანკმა მოახდინა საკრედიტო რისკის და საკრედიტო ზარალის საკვანძო მამოძრავებლის იდენტიფიცირება და დოკუმენტირება თითოეული ფინანსური ინსტრუმენტის პორტფელისთვის და ისტორიული მონაცემების ანალიზის გამოყენებით, ივარაუდა დამოკიდებულებები მაკროეკონომიკურ ცვლადებსა და დეფოლტის ალბათობებს შორის. საკვანძო მამოძრავებელს ეფექტური გაცვლითი კურსის პროგნოზები წარმოადგენს. ნავარაუდები დამოკიდებულებები საკვანძო ინდიკატორებსა და დეფოლტსა და სესხის პორტფელის ზარალის განაკვეთებს შორის, ჩამოყალიბებულ იქნა ბოლო 5 წლის ისტორიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

## საყურადღებოდ მოდიფიცირებადი ფინანსური აქტივები

საყურადღებოდ მოდიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტი – ახალი ან არსებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომლითაც განხორციელდა არსებული ფინანსური ინსტრუმენტის გადაფარვა ან დაფარვის პირობების ცვლილება, რაზეც არსებობს შეთანხმება მიკრობანკსა და მსესხებელს შორის. აღნიშნული განპირობებულია მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებით, რომელიც არ წარმოადგენს საკრედიტო რისკის კატეგორიის გაუარესების მაპროვოცირებელ ფაქტორს. მსესხებელი საყურადღებოდ მოდიფიკაციის მომენტისათვის სრულად უნდა აკმაყოფილებდეს პირველი ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორიის პირობებს. ფინანსური ინსტრუმენტის საყურადღებოდ მოდიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციიდან ამოღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საყურადღებოდ მოდიფიკაციიდან გასულია ერთ წელზე მეტი პერიოდი.

## რესტრუქტურირებადი ფინანსური აქტივები

რესტრუქტურირებადი ფინანსური ინსტრუმენტი – ახალი ან არსებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომლითაც განხორციელდა არსებული ფინანსური ინსტრუმენტის გადაფარვა ან დაფარვის პირობების ცვლილება, რაზეც არსებობს შეთანხმება მიკრობანკსა და მსესხებელს შორის და აღნიშნული განპირობებულია მსესხებლის ფინანსური პრობლემებით. ფინანსური ინსტრუმენტის, რესტრუქტურირებადი ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციიდან, ამოღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რესტრუქტურირებადიდან გასულია ერთ წელზე მეტი პერიოდი. რესტრუქტურირებულ ფინანსურ ინსტრუმენტს მიეკუთვნება ყველა ის ფინანსური

# 3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ინსტრუმენტი, რომლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შეცვლილია ერთ-ერთი შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- შენატანის შემცირების მიზნით, საპროცენტო განაკვეთის შემცირება ან დარიცხული პროცენტების მიღების უფლებაზე უარის თქმა;
- დარიცხული საპროცენტო შემოსავლების კაპიტალიზაცია;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის დაფარვა (მათ შორის, რეფინანსირება), რაც არ არის მსესხებლის მიერ გადახდის შედეგი, მათ შორის, ისეთი შემთხვევები, როდესაც მსესხებელმა დაფარა პროცენტები ან ძირითადი თანხა თავისი, სხვა ან ურთიერთდაკავშირებული ჯგუფის სხვა წევრების მიერ აღებული ფინანსური ინსტრუმენტებით;
- დაფარვის ვადის გაგრძელება;
- საშუალო პერიოდის დაწესება (გარდა სეზონური ტიპის ბიზნესის შემთხვევაში); მიკრობანკის მიერ მსესხებლისათვის მინიჭებული ნებისმიერი სხვა უფლება ან პრივილეგია, რაც ნორმალურ პირობებში არ მოხდებოდა.

## ECL-ის გაზომვა

ECL-ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი. ეს ცვლადები (EAD-ის გარდა) დაანგარიშებულია მინიმუმ წელიწადში ორჯერ. EAD განახლდება ყოველთვის, როდესაც ხდება სესხის გაუფასურების ანარიცხის კალკულაცია.

## დეფოლტის ალბათობა (PD)

დეფოლტის ალბათობა (PD) - დეფოლტის მოვლენების მოხდენის ალბათობა, რაც მოსალოდნელია, რომ ფინანსური ინსტრუმენტზე საკრედიტო ზარალს გამოიწვევს.

დეფოლტის ალბათობის დასათვლელად მიკრობანკი აანალიზებს წარსულ ისტორიულ მონაცემებს ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული ჰომოგენური ჯგუფისთვის. თითოეული ჰომოგენური ჯგუფისთვის, მიგრაციის მატრიცების გამოყენებით, ანალიზდება ვადაგადაცილების კალათიდან კალათაში მიგრაციის ალბათობა. ანალიზისას გამოიყენება, არსებობის შემთხვევაში, მინიმუმ 5 წლის ისტორიული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ხდება ერთთვიანი დეფოლტის ალბათობების დაანგარიშება. ყოველთვიური საშუალო დეფოლტის ალბათობების შესაბამისი პერიოდზე ექსტრაპოლაციით, ანგარიშდება როგორც 12 თვიანი, ასევე ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე, დეფოლტის ალბათობა.

## ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) - ანგარიშდება დეფოლტის და ფინანსური ინსტრუმენტის თანხის ამოღებების ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით. ამოღებების პროცენტული მაჩვენებლის დღევანდელი ღირებულების დასადგენად, რამდენიმე (საშუალოდ 5 წელი) წლის ისტორიული ამოღებების პროცენტული მაჩვენებლები (ამოღებული თანხები გაყოფილი ანალიზის პერიოდში გადეფოლტებულ პორტფელზე) დისკონტირდება შესაბამისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

## დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD) - მოსალოდნელი დაუფარავი რისკის პოზიცია, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს იმ პერიოდში/თარიღში, რომელშიც მოსალოდნელია დეფოლტი.

EAD-ის გამოსათვლელად გაითვალისწინება როგორც პორტფელის გრაფიკით გათვალისწინებული დაფარვები (ძირი თანხა და პროცენტი), ასევე მოსალოდნელი წინსწრებით დაფარვების ოდენობა (რომელიც დაანგარიშდება წარსულ მონაცემებზე დაყრდნობით).

## ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

# 3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

## ფინანსური ვალდებულებები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსური ვალდებულებებად“. მიკრობანკმა ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

მიკრობანკის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან.

მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

## ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

მიკრობანკი ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვას აკეთებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და მიკრობანკი გეგმავს ანგარიშსწორებას გადახურული ნაშთის საფუძველზე, ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

## რეკლასიფიკაცია

ფინანსური ვალდებულებები არ რეკლასიფიცირდება პირველადი აღიარების შემდგომ.

## ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

მიკრობანკი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

## რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან. სამართლიანი ღირებულების შეფასება მიზნად ისახავს იმ ფასის მიახლოებას რომელიც მიღებულ იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციებში შეფასების დღისთვის. ამასთან, გაურკვევლობების და სუბიექტური მსჯელობების გამოყენების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

# 3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მიმდინარე საკრედიტო რისკის კატეგორია			
		მე-2 ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორია	მე-3 ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორია
რეკლასიფიკაციის შემდგომ საკრედიტო რისკის კატეგორია	1-ლი ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორია	<ul style="list-style-type: none"> <li>· თუ განხორციელდა მსესხებლის <b>ფინანსური ანალიზი</b>, ფინანსური ინსტრუმენტი სრულად და უპირობოდ აკმაყოფილებს პირველი ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორიის პირობებს და განხორციელებულია ბოლო <b>3 თანმიმდევრული დემონსტრაციული გადახდა</b>.</li> <li>· თუ ფინანსური ინსტრუმენტის რეკლასიფიკაციის (კატეგორიის გაუმჯობესება) მიზნით, ვერ ხერხდება მსესხებლის ფინანსური ანალიზის ჩატარება, მე-2 ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორიიდან ფინანსური ინსტრუმენტის რეკლასიფიკაცია პირველი ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორიაში შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ფიქსირდება <b>6 თანმიმდევრული დემონსტრაციული გადახდა</b>.</li> </ul>	<p>თუ განხორციელდა მსესხებლის <b>ფინანსური ანალიზი</b>, ფინანსური ინსტრუმენტი სრულად და უპირობოდ აკმაყოფილებს შესაბამისი რისკის კატეგორიის პირობებს და განხორციელებულია ბოლო <b>6 თანმიმდევრული დემონსტრაციული გადახდა</b>.</p>
	მე-2 ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორია		<ul style="list-style-type: none"> <li>· თუ განხორციელდა მსესხებლის <b>ფინანსური ანალიზი</b>, ფინანსური ინსტრუმენტი სრულად და უპირობოდ აკმაყოფილებს პირველი ან მე-2 ეტაპის საკრედიტო რისკის კატეგორიის პირობებს და განხორციელებულია ბოლო <b>3 თანმიმდევრული დემონსტრაციული გადახდა</b>.</li> <li>· თუ ფიქსირდება <b>6 თანმიმდევრული დემონსტრაციული გადახდა</b>.</li> </ul>

## საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო ხარჯები და შემოსავლები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში ჩაირთვება ისეთი შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და მიღებასთან. მაგალითად, საკომისიო შემოსავალი, რომელიც მოიცავს მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის შეფასებას, უზრუნველყოფის საგნის შეფასებასთან.

სხვა შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია გაცემული ან მიღებული სერვისის მოცულობასთან.

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, მიკრობანკი საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

## წარდგენა

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე პროცენტს. მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი საპროცენტო ხარჯი მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებზე პროცენტს.

## საკომისიოები

საკომისიო ხარჯი და შემოსავალი ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და შედის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში.

მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც იწვევს მიკრობანკის ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტის აღიარებას, შეიძლება ნაწილობრივ ესადაგებოდეს ფასს 9 და ნაწილობრივ ფასს 15-ი. ამ შემთხვევაში მიკრობანკი ჯერ იყენებს ფასს 9-ს, რომ დაეყოს და აღრიცხოს ხელშეკრულების ის ნაწილი რომელიც ფასს 9-ს მიეკუთვნება და შემდეგ დარჩენილ ნაწილზე იყენებს ფასს 15-ს. სხვა საკომისიო ხარჯები ძირითადად უკავშირდება გარიგებების და მომსახურების საკომისიოს და აღიარდება ხარჯად მომსახურების განვეისთანავე.

# 3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

## პერსონალის ხარჯი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო მიკრობანკმა დასაქმებულისგან.

## საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების აღიარება

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ვერ მოხდება მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა აქტივად აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## იჯარა

### მიკრობანკი როგორც მემფარე

#### იჯარის იდენტიფიკაცია

იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მიკრობანკმა უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

## საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მიკრობანკი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა მიკრობანკის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მიკრობანკი საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მიკრობანკის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მიკრობანკი აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;

# 3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

## შედეგითი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მიკრობანკი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამომწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა მიკრობანკი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდებები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

## იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე

# 3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

## ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუნვედა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

## საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანანერს (ან მოიცავს არასრულს ჩანანერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

## მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ორგანიზაციამ გადაწყვიტა მოკლევადიანი იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

## დაბეგვრა

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად.

მიკრობანკის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, განგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას. 2022 წლის დეკემბერში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები, რომლებიც ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან შედის. საქართველოს ფინანსური სექტორის კომპანიებზე მოგების გადასახადი 20 პროცენტით განისაზღვრა და საფინანსო სექტორის დაბეგვრა ესტონურ საგადასახადო მოდელზე აღარ გადავა.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით განგარიშების მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადის თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის მიკრობანკი გადააფასებს აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.

გადავადებული მოგების გადასახადი აღიარდება იმითომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული, როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახადო აქტივი საგადასახადო ვალდებულების მიმართ.

## ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა (ამორტიზაციის) და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე (და არამატერიალურ აქტივებზე) ცვეთის (და ამორტიზაციის) დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით. ცვეთა (და ამორტიზაცია) ერიცხება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

# 3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)	
მინა	არ იცვითება
შენობა-ნაგებობები	30-40
ავეჯი და მოწყობილობები	5-7
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	3-7

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულება და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით.

## არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა მარაგებისა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მიკრობანკი მიმოიხილავს აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შემთხვევის მიზნებისთვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალი იდენტიფიცირებადი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების მიხედვით.

## სააქციო კაპიტალი და დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი აქციებისა თუ ოფციონების გამოშვებასთან ნაჩვენებია კაპიტალში საგადასახადო გამოქვითვებით შემცირებული შემოსულობების სახით. სხვაობა ნომინალურ ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის აღიარდება საემისიო კაპიტალში.

დივიდენდის თანხით კაპიტალი დაკორექტირდება იმ პერიოდში, როდესაც ის არის გამოცხადებული. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც გამოცხადდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე გაიშიფრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში. ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, მათი გამოცხადების პერიოდში. პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, როდესაც მათი დამტკიცება ხდება წლიური საერთო კრების მიერ ყოველ მოცემულ წელში.

პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი რომელიც არის არადაბრუნებადი, დისკრეციული დივიდენდებით, ბასს 32-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი.

## უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

მიკრობანკი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად მიკრობანკი იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი/ლარი	ევრო/ლარი
2025 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6951	3.1737
2024 წლის 31 დეკემბრის	2.8068	2.9306

# 3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

## საანგარიშგებო პერიოდის შედეგოები მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვანჯდის დამატებით ინფორმაციას მიკრობანკის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას მიკრობანკის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

# 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

მიკრობანკი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებაზე და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

## მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებასთან დაკავშირებული განსჯა და შეფასებები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა მნიშვნელოვანი შეფასებაა, რაც მოიცავს მეთოდოლოგიის განსაზღვრას, მოდელის შემუშავებას და ამოსავალი მონაცემების მომზადებას. ხელმძღვანელობის კომპეტენტური განსჯაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია.

ხელმძღვანელობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას ხელმძღვანელობის შემდეგ განსჯას და შეფასებებს ითვალისწინებს: დეფოლტის განმარტებაში გამოყენებული კრიტერიუმების განსაზღვრისას გამოყენებული განსჯა.

მიკრო ბანკის დეფოლტს განმარტავს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმების გამოყენებით. მსესხებელი კლასიფიცირდება დეფოლტის სიტუაციაში მყოფად, თუ:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველგვარი გადახდები 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული, ან
- ფაქტორები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ მსესხებლისგან გადახდების მიღება არ არის მოსალოდნელი. ის, რომ დაფარვა არ არის მოსალოდნელი წარმოადგენს ხარისხობრივ და რაოდენობრივ კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა კლიენტის მონიტორინგს/ფინანსურ სტაბილურობას.

გარდა ამისა, დეფოლტიდან გასვლის კრიტერიუმები განისაზღვრება განსჯის საფუძველზე, ასევე იმის დასადგენად, დეფოლტი მსესხებელზე უნდა გამოიყენებოდეს, თუ რისკის (კრედიტის ოდენობის) დონეზე დაწვრილებითი ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

## შეფასების კრიტერიუმების დასადგენად გამოყენებული განსჯა, თუ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც განისაზღვრება როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმების გამოყენებით.

ხარისხობრივი ფაქტორები, ჩვეულებრივ, მოიცავს განსჯას ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილების პერიოდის თაობაზე; კრედიტის მოცულობა რესტრუქტურირებულია, მაგრამ არ არის დეფოლტის სიტუაციაში.

მიკრობანკი ყოველი კონკრეტული დავალიანებისთვის აფასებს დეფოლტის პარამეტრის ალბათობის ცვლილებას რაოდენობრივ საფუძველზე და მას ადარებს დავალიანების საწყისი აღიარებისას განსაზღვრულ ზღვრულ დონეს. როდესაც დეფოლტის ალბათობის აბსოლუტური ფარდობითი ცვლილება აღემატება კონკრეტულ ზღვრულ დონეს, მიიჩნევა, რომ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და დავალიანება გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე.

საკრედიტო რისკის პარამეტრების გასაანგარიშებლად გამოყენებული განსჯა, კერძოდ, დეფოლტის ალბათობა და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში.

განსჯაში, სხვებთან ერთად, შედის შემდეგიც:

- (i) სეგმენტაციის განმარტება რისკის პარამეტრების შეფასების მიზნებისთვის,
- (ii) დრო დეფოლტის თარიღის შემდეგ, რომლის შემდეგაც არსებითი თანხების ამოღება მოსალოდნელი არ არის.

# 5 ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად მიკრობანკი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს მიკრობანკის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი რიცხვობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

## ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

რისკის მართვის პროცესში ჩაბმულია მიკრობანკის ყველა თანამშრომელი, რაც რისკის მართვის სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ხელს უწყობს კომპანიის მდგრადობას. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული მისი როლი და პასუხისმგებლობა რისკების მართვის ნაწილში, რაც პროცესების ეფექტიანობას უზრუნველყოფს.

რისკების მართვა ხორციელდება რისკების მართვის ერთიანი სისტემის ფარგლებში, რომლის მიზანია:

- არსებული რისკებისა და საფრთხეების დროული იდენტიფიცირება;
- შესაძლო დანაკარგების პრევენცია;
- დამდგარი ინციდენტების ეფექტიანი მართვა;
- ბანკის მიზნების მიღწევის ხელშეწყობა;
- კონტროლის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება;
- ოპერაციების ეფექტიანობის გაზრდა;
- ორგანიზაციის მდგრადობის ხელშეწყობა;
- მარეგულირებელ მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს ადეკვატურ ზედამხედველობას, ანგარიშვალდებულებასა და მოვალეობათა მკაფიო განაწილებას. რისკების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც კომპანიის სტრატეგიას განსაზღვრავს და მასში გაწერილი მიზნების შესრულებას უწევს ზედამხედველობას, ხოლო დირექტორატი ბანკის ყოველდღიური პროცესების მართვაში მონაწილეობს.

ინდივიდუალური რისკების მართვა ყოველდღიურ რეჟიმში დამყარებულია „დაცვის სამი ხაზის“ პრინციპზე, რომელიც უზრუნველყოფს ვალდებულებების და პასუხისმგებლობების გამიჯვნას, რათა მიღწეულ იქნეს მთლიანი რისკების ეფექტიანი მართვა, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბანკის შიდა კონტროლის ჩარჩოს გაძლიერებას.

დაცვის სამხაზიანი მიდგომა აცალკევებს მფლობელობას/რისკის მართვას იმ ფუნქციებისგან, რომლებიც ახდენენ რისკების ზედამხედველობას და დამოუკიდებელ აუდიტს:

- **ბიზნესის ხაზი** - ბანკის სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ფლობენ და მართავენ რისკს.
- **დაცვის მეორე ხაზი** - დამოუკიდებელია დაცვის პირველი ხაზისგან და მონიტორინგს უწევს კომპანიის მიერ რისკის აღების პროცესს, ბიზნესის ხაზისგან დამოუკიდებლად აფასებს რისკებსა და მათთან დაკავშირებულ საკითხებს.
- **დაცვის მესამე ხაზი** - მიკრობანკში დაცვის მესამე ხაზს წარმოადგენს შიდა აუდიტი. შიდა აუდიტი დამოუკიდებელია დაცვის პირველი და მეორე ხაზისგან და მისი ძირითადი ფუნქცია კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის, დაცვის პირველი და მეორე ხაზების და რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოს თანამიმდევრულობისა და ეფექტიანობის შეფასებაა.

## რისკების კომიტეტი

რისკების კომიტეტი მეთვალყურეობას უწევს მიკრობანკის რისკის პროფილს; აფასებს ძირითადი რისკების ადეკვატურობის მოთხოვნებს, მათ შორის რისკების შეფასებას, მონიტორინგს და ლიმიტებს; მსჯელობს და ათანხმებს რისკის პროფილისა და რისკების სტრატეგიისთან დაკავშირებულ ქმედებებს ბანკის შიგნით; იხილავს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებელ ყველა პოლიტიკას და სხვა დოკუმენტს მათ საბჭოში წარდგენამდე; შიდა აუდიტის კომიტეტთან ერთად აფასებს ბანკის შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემების ეფექტიანობას; ამომწმობს გარე აუდიტის მიერ ჩატარებული ტესტებს რისკების მართვის გარემოს შეფასებისთვის და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს; პერიოდულად ამომწმობს რისკების ლიმიტების არსებულ სისტემებს.

## რისკების მართვა

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბანკის რისკების აპეტიტს. რისკების აპეტიტის შემუშავებისას გათვალისწინებულია კომპანიის სტრატეგია, კაპიტალი, ფინანსური გეგმები და ანაზღაურების პრაქტიკები.

რისკის აპეტიტი ითვალისწინებს ყველა მატერიალურ რისკს, რაც უკავშირდება ბანკის პროდუქტებს, საქმიანობას,

# 5 ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა

პროცესებს, სისტემებს, ოპერაციებს, სტრატეგიას - განსაზღვრავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს/საზომებს, რომელთა საშუალებითაც ხდება რისკის აპეტიტის ფარგლებში საქმიანობის ბანკის სტრატეგიასთან შესაბამისობის შეფასება.

რისკის აპეტიტი ადგენს რიცხობრივი და ხარისხობრივი რისკის ინდიკატორებს, როგორც ინდივიდუალურ, ასევე აგრეგირებულ დონეზე და მათ დასაშვებ საზღვრებს, რომლის ფარგლებშიც მიკრობანკმა უნდა წარმართოს თავის ბიზნეს საქმიანობა და რომელთა აღების საშუალებაც აქვს მიკრობანკს არსებული კაპიტალის, რისკების მართვისა და კონტროლის მექანიზმებით, განსაზღვრული სტრატეგიის და იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რაც დაწესებულია აქციონერების, კრედიტორების, მარეგულირებელი და სხვა დაინტერესებული პირების მიერ.

რისკის აპეტიტის ჩარჩო მოიცავს რისკების შეფასებას და მართვას ყველა მატერიალური რისკისთვის, რომელიც უზრუნველყოფს რისკის დროულ გამოვლენას, ინფორმაციის გავრცელებასა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას რისკის დადგომამდე.

რისკების აპეტიტი გათვლილია ბანკის მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან სტრატეგიაზე. მისი შემუშავებისას გათვალისწინებულია კონკურენტული გარემო, საზედამხედველო ხედვები, ბანკის გრძელვადიანი ინტერესები, ორგანიზაციის ყველა რისკის პოზიცია, კომპანიის ზომა, კომპლექსურობა და რისკის პროფილი.

რისკების აპეტიტზე დაყრდნობით მიკრობანკში შემუშავებულია რისკების მართვის საქმიანობასთან დაკავშირებული დეტალური ინსტრუქციები და პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს რისკების მართვის სტანდარტებსა და კრიტერიუმებს, თანამშრომლების უფლებამოსილებებსა და მოვალეობებს, ბანკის რისკების ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად.

ასევე, რისკების ეფექტიანი მართვის პროცესი მოიცავს რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, სასურველი დონის დადგენას, მონიტორინგს და რისკების მიტიგაციის ქმედებების განხორციელებას, იმ შემთხვევაში თუ ის სცილდება ბანკის მიერ დადგენილ საზღვრებს.

ბანკის მიერ იდენტიფიცირებულია და იმართება შემდეგი რისკები:

## საკრედიტო რისკი

ბანკის საქმიანობიდან გამომდინარე, დამახასიათებელია საკრედიტო რისკი. ეს ის რისკია, როცა ფინანსური ტრანზაქციის მონაწილე ერთ-ერთი მხარე ვერ შეასრულებს მის მოვალეობას, რითაც კონტრაგენტის ფინანსურ ზარალს იწვევს. საკრედიტო რისკის პოზიცია წარმოიშობა ბანკის საკრედიტო საქმიანობის და პარტნიორებთან განხორციელებული სხვა ოპერაციების გამო, რაც იწვევს ფინანსურ აქტივებისა და კრედიტთან დაკავშირებული გარებალანსური ვალდებულებების გაჩენას. ცხადია, საკრედიტო რისკი ბანკებისთვის და ბანკების საზედამხედველო ორგანოებისთვის უმნიშვნელოვანესი რისკია. ბანკის საკრედიტო სტრატეგია დივერსიფიცირებული და მომგებიანი საკრედიტო პორტფელის შექმნა და ამასთან მაქსიმალური ხარისხის შენარჩუნებაა.

მიკრობანკს შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივებისათვის ასევე აღიარება შეწყვეტილი სახელშეკრულებო ვალდებულებებისათვის), რომელშიც გათვალისწინებულია საკრედიტო პოლიტიკაში და მტკიცდება მმართველთა საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლების გადახდისუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიას;
- კონტრაგენტების გადახდისუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიას;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

საკრედიტო კომიტეტს წარედგინება სასესხო განაცხადი, რომელიც მოიცავს კლიენტის შემოსავლების დეტალურად შესწავლასა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის გადახდისუნარიანობა; საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს.

რისკების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს კლიენტების ინდივიდუალური რისკის შეფასებას და ასევე მთლიანი საკრედიტო პორტფელის, კრედიტების კონცენტრაციის და საბაზრო რისკების შეფასებას მიკრობანკი ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს და რეგულარულად აფასებს მისი კლიენტების გადახდისუნარიანობას (კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხი იხილეთ მე-6 შენიშვნაში).. მიმოხილვა ეფუძნება კლიენტების ყველაზე ახალ ფინანსურ მდგომარეობას და სხვა მსგავსი ჯგუფის მსესხებლის მიერ წარმოდგენილ ან მიკრობანკის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას. რეგულარული მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის აღმოჩენას, მართვას და მის დროულ განეიტრალებას.

# 5 ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებასა და არალიარებულ სახელშეკრულებო ვალდებულებების ოდენობებში. აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვის გავლენა პოტენციური საკრედიტო დაქვემდებარების შემცირებაზე არ არის არსებითი.

საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	21,650	16,039
სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში	9,048	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	153,239	119,464
სხვა აქტივები	18	82
<b>სულ</b>	<b>183,955</b>	<b>135,585</b>

## საოპერაციო რისკი

გულისხმობს ზარალის რისკს, რომელიც ბანკმა შესაძლებელია მიიღოს არაადეკვატური ან გაუმართავი შიდა პროცესებით, სისტემების ჩავარდნით/უმოქმედობით, ადამიანური შეცდომების, თაღლითობის ან სხვა გარე ზემოქმედების გამო მათ შორის როგორცაა კიბერ შეტევების რისკი და სხვა.

## ლიკვიდურობის რისკი

წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობებიდან. ამ შეუსაბამობის გამო მოზიდული სახსრების დაფარვისას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას შესაძლოა წარმოშვას საკმარისი ფინანსური რესურსების უკმარისობის რისკი.

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ მიკრობანკი სიძნელეებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. ფინანსურ ინსტიტუტში სრული შესაბამისობის მიღწევა იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც ის სხვადასხვა ტიპის არის. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, თუმცა, შესაძლოა ზრდიდეს ზარალის საფრთხესაც.

მიკრობანკის ლიკვიდურობის მართვის ამოცანაა, რომ ფულადი თანხები იყოს ხელმისაწვდომი, დამდგარი ფინანსური ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- ფულადი ნაკადების დაგეგმვას ძირითადი ვალუტების ჭრილში და მათთან დაკავშირებით საჭირო ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებას;
- დაფინანსების წყაროების მრავალფეროვანი დიაპაზონის უზრუნველყოფას;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- სესხის დაფინანსების გეგმის უზრუნველყოფას;
- ლიკვიდურობისა და გაუთვალისწინებელი დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები სესხის გაცემასთან დაკავშირებული პირობებისა და მათი ყველაზე ადრინდელი სახელშეკრულებო ვადიანობის გათვალისწინებით. ცხრილებში განხილული მთლიანი შემოდიდება და გადინება მოიცავს სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	უვადო	სულ
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>						
ნასესხები ფულადი სახსრები	3,258	33,244	52,071	-	-	<b>88,573</b>
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	404	887	254	-	1,638	<b>3,183</b>
სუბორდინირებული სესხები	-	-	5,335	-	-	<b>5,335</b>
საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	-	7,510	53,324	-	-	<b>60,834</b>
საიჯარო ვალდებულება	5	-	3,636	1,260	-	<b>4,901</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,999	-	-	-	-	<b>1,999</b>
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>5,666</b>	<b>41,641</b>	<b>114,620</b>	<b>1,260</b>	<b>1,638</b>	<b>164,825</b>

# 5 ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
ნასესხები ფულადი სახსრები	14,425	19,495	43,927	356	<b>78,203</b>
სუბორდინირებული სესხები	-	-	5,461	-	<b>5,461</b>
საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	30,041	-	<b>30,041</b>
საიჯარო ვალდებულება	464	1,297	4,651	179	<b>6,591</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,585	437	-	-	<b>2,022</b>
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>16,580</b>	<b>26,455</b>	<b>96,371</b>	<b>234</b>	<b>139,640</b>

## საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შეიცვლება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას მიკრობანკის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

## სავალუტო რისკების მართვა

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს მიკრობანკის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. მიკრობანკი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა მიკრობანკზე 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15,452	4,975	1,037	186	<b>21,650</b>
სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში	-	9,031	17	-	<b>9,048</b>
კლიენტებზე გაცემული სესხები	152,787	452	-	-	<b>153,239</b>
სხვა ფინანსური აქტივები	-	3	-	-	<b>3</b>
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>168,239</b>	<b>14,461</b>	<b>1,054</b>	<b>186</b>	<b>183,940</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
ნასესხები ფულადი სახსრები	30,483	58,004	86	-	<b>88,573</b>
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	1,764	1,418	1	-	<b>3,183</b>
სუბორდინირებული სესხები	-	5,335	-	-	<b>5,335</b>
საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	60,834	-	-	-	<b>60,834</b>
საიჯარო ვალდებულება	3,048	1,853	-	-	<b>4,901</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,997	2	-	-	<b>1,999</b>
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>98,126</b>	<b>66,612</b>	<b>87</b>	<b>-</b>	<b>164,825</b>
<b>ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>70,113</b>	<b>(52,151)</b>	<b>967</b>	<b>186</b>	<b>19,115</b>
<b>რისკების მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი</b>	<b>(51,481)</b>	<b>52,433</b>	<b>(952)</b>	<b>-</b>	<b>-</b>
<b>წმინდა ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>18,632</b>	<b>282</b>	<b>15</b>	<b>186</b>	<b>19,115</b>

# 5 ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა

სავალუტო რისკის ზეგავლენა მიკრობანკზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,773	2,219	924	123	16,039
სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში	-	-	-	-	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	118,849	615	-	-	119,464
სხვა ფინანსური აქტივები	81	1	-	-	82
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>131,703</b>	<b>2,835</b>	<b>924</b>	<b>123</b>	<b>135,585</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
ნასესხები ფულადი სახსრები	32,703	45,469	31	-	78,203
სუბორდინირებული სესხები	-	5,461	-	-	5,461
საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	30,041	-	-	-	30,041
საიჯარო ვალდებულება	121	5,354	-	-	5,475
სხვა ვალდებულებები	1,646	444	1	-	2,091
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>64,511</b>	<b>56,728</b>	<b>32</b>	<b>-</b>	<b>121,271</b>
<b>ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>67,192</b>	<b>(53,893)</b>	<b>892</b>	<b>123</b>	<b>14,314</b>
<b>რისკების მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი</b>	<b>(52,715)</b>	<b>53,091</b>	<b>(879)</b>	<b>-</b>	<b>(503)</b>
<b>წმინდა ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>14,477</b>	<b>(802)</b>	<b>13</b>	<b>123</b>	<b>13,811</b>

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს მიკრობანკის მგრძობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად სახსრებს და აკორექტირებს წლის ბოლოსთვის უცხოურ ვალუტას 20% საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით. გავლენა მოგება/ზარალსა და კაპიტალზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025			31 დეკემბერი 2024		
	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / ევრო	ლარი / სხვა ვალუტები	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / ევრო	ლარი / სხვა ვალუტები
20% ზრდა	56	3	37	(160)	3	25
20% შემცირება	(56)	(3)	(37)	160	(3)	(25)

ანალიზისას გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა ცვლადი, უცვლელი დარჩება.

## საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მიკრობანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	160,172	131,253
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	(151,481)	(119,180)
	<b>8,691</b>	<b>12,073</b>

# 5 ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა

## შესაბამისობის რისკი

წარმოადგენს რისკს, რომ მიკრობანკი არ/ვერ იმოქმედებს მოქმედი რეგულაციების, კანონების და ხელშეკრულებების შესაბამისად და ამის შედეგად შესაძლოა მიიღოს ფინანსური ზარალი.

## მაკროეკონომიკური რისკი

წარმოადგენს რისკს, რომ ქვეყნის, რეგიონის ან გლობალურ დონეზე განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა (მაგალითად, მშპ-ს შემცირება, უმუშევრობის ზრდა ა.შ.) შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მიკრობანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

## კაპიტალის მართვა

მიკრობანკის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს მიკრობანკის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ მიკრობანკმა გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა; და
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

მიკრობანკი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. მიკრობანკი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, მიკრობანკმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

ასევე, მიკრობანკმა უნდა შეასრულოს სესხის ხელშეკრულებაში მითითებული კოვენანტები. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

# 6 წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

